# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 18 ოქტომბერი 2000 №201 (1223) | ფასი 50 თეთრი


# სამი წინ და რვა მადრიდში


REUTERS
გუშინ რომში: ანჯელო პერუცი ვერას გახდა — რობერ პირესმა გაათანაბრა

წინა გათამაშების ფინალისტები და „არსენალი“ — აი, ის სამი გუნდი, რომელთაც გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლა პირველებმა გაინაღდეს.

თასის რვაგზის მფლობელმა „რეალმა“ საკუთარ მაყურებელს რვა გოლის ნახვის საშუალება მისცა, თუმცა მადრიდელმა ქომაგებმა „მხოლოდ“ ხუთჯერ გაიხარეს, დანარჩენი სამი კი კრისტოფ დაუმის შეგირდებმა გაიტანეს.

„ვალენსიამ“, 32 მონაწილეს შორის ერთადერთმა ქულადაუკარგავმა, მომდევნო ეტაპის საგზური საფრანგეთში მოიპოვა, სადაც ათკაციან „ლიონს“ მოუგო.

ლონდონის „არსენალმა“ კი დამთავრებამდე ორი წუთით ადრე გამოგლიჯა ქულა „ლაციოს“.

იხილეთ მეორე გვერდი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| რეალი | 5 |
| ლევერკუზენი | 3 |
| სპორტინგი | 0 |
| სპარტაკი | 3 |
| **B ჯგუფი** | |
| ლაციო | 1 |
| არსენალი | 1 |
| შახტარი | 2 |
| სპარტა | 1 |
| **C ჯგუფი** | |
| ლიონი | 1 |
| ვალენსია | 2 |
| ჰერენვენი | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 0 |
| **D ჯგუფი** | |
| რეინჯერსი | 0 |
| გალათასარაი | 0 |
| შტურმი | 2 |
| მონაკო | 0 |


ზურაბ ხიზანიშვილი

## ჰაიბერიდან კოცნას ველით

### არსენ ვენგერი და არსენალი 19 წლის ქართველს იწვევენ

გახსოვთ 1981 წლის 13 მაისი და ნოდარ ხიზანიშვილის ტელე-კოცნა? ჰოდა, არ გაგიკვირდეთ, მალე მისი ვაჟი ზურაბი ამგვარად ლონდონის „ჰაიბერიდან“ რომ მოგვესალმოს. როგორც ჩვენთვის გუშინ გახდა ცნობილი, ანკონაში ღირსეული თამაშით 19 წლის მცველს თვით არსენ ვენგერიც მოუხიბლავს. და აი, შედეგიც — „არსენალი“ თბილისის „ლოკომოტივის“ ზურაბ ხიზანიშვილს იწვევს და ის დღე-დღეზე ლონდონში გაემგზავრება.

იხილეთ მესამე გვერდი

## სუპროლიგა და ზაზა ფაჩულია ერთად იწყებენ


ფაჩულია: სუპროლიგას გაუმარჯოს!

ევროპის ჩემპიონთა თასი, ევროპის საკლუბო ჩემპიონატი, ევროლიგა, სუპროლიგა... ეს ერთიდაიგივე ტურნირია, ოღონდ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა სახელით გამართული.

ევროპის საკლუბო კალათბურთის უმთავრესი შეჯიბრება დღეს 43-ედ დაიწყება, ამჯერად სუპროლიგის სახელით. პირველი მატჩი თბილისის დროით საღამოს ცხრა საათზე სტამბოლში გაიმართება — „ულქერი“ ხორვატიის „სპლიტს“ უმასპინძლებს. კალათბურთის ქართველი მოყვარულების ყურადღებაც სტამბოლში იქნება გადატანილი — „ულქერის“ რიგებში საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია ითამაშებს.

ქართველები ევროპის საკლუბო კალათბურთის უმთავრეს შეჯიბრებას ორი წლის შემდეგ დაუბრუნდნენ — ფაჩულიამდე ევროლიგაში მაშინ ლიუბლიანის „ოლიმპიას“, ამჟამად კი „ნიუ იორკ ნიქსის“ ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას უთამაშია.

სუპროლიგის მონაწილეთა შემადგენლობები
იხილეთ მეთორმეტე-მეცამეტე გვერდებზე


გუშინ ბათუმში: „ბასკო“ — „მაკაბი“ 97:87. ბასკოელ კონერლის (№12) მაკაბელები დაჩუმი (№14) და ქოქოსაძე მეურვეობენ

## ქართულ კალათბურთს ეშხი შეემატა

### ბასკო — მაკაბი ოთხი ზანგით

ის, რაც საკალათბურთო ევროპაში დიდი ხანია ჩვეულებრივ ამბად ქცეულა, საქართველოში პირველად გუშინ მოხდა. ბათუმში, საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტურიდან გადმოტანილ მატჩში მოედანზე ერთბაშად ოთხი შავკანიანი მოთამაშე იყო — „ბასკოს“ ამერიკელები ჯეფ როჯერსი და ჯუნიორ კონერლი და „მაკაბის“ კამერუნელები ჟოლივეტ ტუჯანი და დიდიე დაჩუმი.

მატჩის წინა დღეს ბათუმში ჩამოსაღწევად კონერლის 18-საათიანი ფრენა დასჭირდა და რა გასაკვირია, რომ მოედანზე ხეირიანი ვერაფერი გააკეთა. დანარჩენებმა კი თავი გამოიდეს და მატჩს რომ ინტრიგა ახლდა, ამაში მათი წვლილიცაა — „ბასკომ“ ვერა და ვერ მოახერხა დიდი სხვაობით დაწინაურება და ათქულიანი მოგება იკმარა — 97:87.

გიორგი ბიკაშვილის
რეპორტაჟი ბათუმიდან
იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე

## გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტური

### A ჯგუფი

**რეალი 5:3 ლევერკუზენი**

1:0 გუტი (3), 1:1 ბრდარიჩი (19), 2:1 ელგერა (24), 2:2 კირსტენი (55), 3:2 გუტი (65), 4:2 რაული (75), 4:3 რინკი (78), 5:3 ფიგუ (88პ)
რეალი: სესარი, ჯერემი, კამპო, იერო (სელადესი 46), რობერტო კარლოსი, მაკელელე, ელგერა, გუტი, ფიგუ (მუნიტისი 89), სავიო (სოლარი 71), რაული
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, ჟივკოვიჩი, ოფსნოვოტნი, რ. კოვაჩი, რეები, რამელო (რინკი 71), ბალაკი, ზე რობერტო, ბრდარიჩი (ნეიდერი 89), ნოივილი, კირსტენი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)
60 000 მაყურებელი

**სპორტინგი 0:3 სპარტაკი**

0:1 დიმაში (16ს.კ.), 0:2, 0:3 ტიტოვი (52, 67)
სპორტინგი: შმაიხელი, ანდრე კრუზი, დიმაში, რუი ჟორჟე (ფაბრი 37), ბინუ, ბეტუ სევერუ, პრატესი, პ. ბორვატი (ბარბოსა 57), ჟოაუ პინტუ (მ. მბენზა 57), აკოსტა, ზა პინტუ
მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო
სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბარანოვი, ბულატოვი, ტიტოვი, მარკაო (კალინიჩენკო 62), პარფიონოვი, ბეზროდნი, რობსონი (ბისარევი 84)
მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი
მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)
30 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11:7 | 10 |
| სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 0 | 3 | 8:12 | 3 |
| სპორტინგი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:11 | 1 |

### B ჯგუფი

**ლაციო 1:1 არსენალი**

1:0 ნედვედი (24), 1:1 პირესი (88)
ლაციო: პერუცი, ნეგრო, მიხაილოვიჩი, ნესტა, პანკარო, სტანკოვიჩი (კლაუდიო ლოპესი 46), სიმეონე, ნედვედი, ვერონი, ს. ინძაგი (კრესპო 69), სალასი
მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი
არსენალი: ლუკიჩი, დიქსონი, კიოუნი, ლუჟნი, სილვინიო, პარლოუ (პირესი 60), ვიეირა, გრიმანდი (ლორენი 69), ლიუნგბერგი (ვილტორდი 74), კანუ, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
55 000 მაყურებელი

**შახტარი 2:1 სპარტა**

0:1 იაროშიკი (16), 1:1 გლევეცკასი (35), 2:1 ზუბოვი (87პ)
შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი (ბიელიკი 65), გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, პოპოვი, ბახარევი, ზუბოვი, ატელკინი, ვორობეი (კოვალევი 90), აბრამოვი (კრივენცოვი 57), ოკოროწვო
მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო
სპარტა: პოსტულკა, გრიგერა, პორნაკი, ირგი ნოვოტნი, ბოლფი (კინცლი 89), ლაბანტი, პაშეკი, იაროშიკი, როსიცკი, ობაიდინი (კოლუშეკი 78), სიონკო
მწვრთნელი: ივან ჰაშეკი
გაძევება: გრიგერა (87)
მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| ლაციო | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 6:10 | 3 |
| სპარტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 3 |

### C ჯგუფი

**ლიონი 1:2 ვალენსია**

0:1 ხუან სანჩესი (45), 0:2 ბარახა (85), 1:2 მარლე (90)
ლიონი: კუპე, დელფლანდრე, ედმილსონი, ლავილი, მარლე, ლეგლი (ვიოლო 67), ს. ანდერსონი, დელმოტი (ვერელი 67), ფოე, მალბრანკი (ლინარესი 67), ბრეშე
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, ჯუკიჩი, მენდიეტა (ანგულო 70), კარეუ, ზაჰოვიჩი, კარბონი, ხუან სანჩესი, კილი გონსალესი, ბარახა, ანგლომა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაძევება: ფოე (61)
მსაჯი: პოლ დარკინი (ინგლისი)
38 959 მაყურებელი

**ჰერენვენი 1:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 იენსენი (82)
ჰერენვენი: ვონკი, ვენემა, კლომპე, გ. დე ნოიერი, რადომსკი, ნურმელა, ტალანი, იენსენი, ლურლინგი, ჰუიზინგი, ნვანკვო (ვან გესელი 31)
მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, პაცაცოღლუ, ამანატიდისი, ლუსიანო (ანატოლაკისი 75), ჯოვანი, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ზეტერბერგი, გეორგატოსი (ხუტოსი 83), კონტისი, ოფორი კუაე
მწვრთნელი: იანის მაცურაკისი
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
12 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 4 | 0 | 0 | 6:2 | 12 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 6 |
| ლიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| ჰერენვენი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:6 | 3 |

### D ჯგუფი

**რეინჯერსი 0:0 გალათასარაი**

რეინჯერსი: კლოსი, რეინა, ვიდმარი (უილსონი 71), კონტერმანი, პორინი, კანჩელსკისი, ფერგიუსონი, თუგაი, ალბერტცი, რ. დე ბური, ლოვენკრანდსი (მაკკანი 55)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
გალათასარაი: ტაფარელი, პოპესკუ, ბიულენთ ქორქმაზი, ფათიჰი, ბიულენთ აქინი, ჰაქან უნსალი, დავალა უმითი, ჰაჯი (ოკანი 71), ერგუნი, ჟარდელი (მარსიო 86), ჰასან სასი
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
49 603 მაყურებელი

**შტურმი 2:0 მონაკო**

1:0, 2:0 შოპი (40, 88)
შტურმი: სიდორჩუკი (შიკლგრუბერი 83), პოპოვიჩი (პრილასნიგი 59), მამედოვი, ნოიკირხნერი, შოპი, შუპი, რაინმაიერი (შტრაფნერი 70), ფლურკინი, კორსოში, ვასტიჩი, კოციანი
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
მონაკო: პორატო, ჟურიეტი, კრისტენვალი, ირლი, კონტრერასი, ჟიული, ჯეტუ, დაბო (ბონალი 46), გალიარდო, სიმონე, პრსო (ელუა 83)
მწვრთნელი: კლოდ პუელი
მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია)
15 400 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:7 | 7 |
| რეინჯერსი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:3 | 7 |
| შტურმი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:10 | 6 |
| მონაკო | 4 | 1 | 0 | 3 | 7:6 | 3 |




ლიონი — ვალენსია 1:2. ესპანელ რუბენ ბარახას ფრანგი კუპეს კარში გამარჯვების გოლი გააქვს



რეალი — ლევერკუზენი 5:3. ფიგუმ ერთი, რაულმაც ერთი, კიდევ სამი სხვებმაც დაამატეს



შტურმი — მონაკო 2:0. გრაცელებმა მარკუს შოპის წყვილი გოლით იმარჯვეს



სპორტინგი — სპარტაკი 0:3. გმირი ტიტოვი, ანტიგმირი დიმაში და საბრალო შმაიხელი




რეინჯერსი — გალათასარაი 0:0. გეორგე ჰაჯი (№10) და ტონი ვიდმარი

## ინგლისი

### I დივიზიონი

**XIII ტური**

ბარნსლი — ტრანმერი 1:1; ბირმინგემი — სტოკპორტი 4:0; ბოლტონი — ნოტინგემი 0:0; ბარნლი — უეზდი 1:0; გრიმსბი — ქუინზ პარკი 3:1; პორტსმუთი — ქრიუ 2:1; პრესტონი — ნორვიჩი 1:0; შეფილდი — ჰადერსფილდი 3:0; უოტფორდი — ჯილინგემი 0:0; ვესტ ბრომვიჩი — ვულვერჰემპტონი 1:0

### II დივიზიონი

**XIII ტური**

ბორნმუთი — უიგანი 0:0; ბრენტფორდი — კოლჩესტერი 1:0; როვერსი — როტერჰემი 1:1; კემბრიჯი — სტოკი 1:1; მილუოლი — ბრისტოლი 1:1; ნოთს ქაუნთი — ბერი 1:0; ოლდემი — უიკომბი 2:0; ოქსფორდი — ლუთონი 0:0; პორტ ვეილი — ნორთჰემპტონი 2:2; რედინგი — რექსჰემი 4:1; სუონსი — სუინდონი 0:0; უოლსოლი — პიტერბრო 1:1

### III დივიზიონი

**XIII ტური**

კარლაილი — კარდიფი 2:2; დარლინგტონი — კიდერმინსტერი 1:2; ექსეტერი — ჰალი 0:1; ჰალიფაქსი — ჩელტენემი 1:2; ლეიტონი — შრიუსბერი 2:0; ლინკოლნი — იორკი 2:1; მაკლსფილდი — ტორკი 2:1; მენსფილდი — ბლექპული 0:1; პლიმუთი — სკანთორპი 1:0; როჩდეილი — ჩესტერფილდი 2:2; საუთენდი — ბარნეტი 2:0

## შოტლანდია

### გამოტოვებული მატჩი

**სენტ ჯონსტონი 0:2 სელტიკი**

0:1 ვალგარენი (42), 0:2 ლარსონი (86პ)
გაძევება: მალკოლმი (83, სენტ ჯონსტონი)

# ხიზანაც გაიხიზნება



ლიტვა — საქართველო 0:4. ზურაბ ხიზანიშვილი (№5) და ვალდას ივანაუსკასი

**ისეთი** შემთხვევა, როცა ფაქტებს ლოგიკურ შედეგამდე მივყავართ.

11 ოქტომბერი. ანკონის მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე. ათოლ სტილი — „ზურაბ, სტუმრები გვეყოლება“.

მატჩი: იტალია — საქართველო. საპატიო ლოჟაში მჯდომი ტანხმელი პიროვნების მზერა საჯარიმოში ტოტი-დელვეკიოს დუეტთან მებრძოლი ქართველი მცველისკენაა მიმართული.

ისევ ანკონა. საფინალო სასტვენიდან ორი საათის შემდეგ. ათოლ სტილი — „ყოჩაღ, ის მოხიბლულია“.

14 ოქტომბერი. სატელეფონო საუბარი. ათოლ სტილი — „ყველაფერი რიგზეა, აქ გელოდებიან, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოხვიდე...“

დროა, ფაქტები დავაკონკრეტოთ. ტოტი-დელვეკიოსთან მებრძოლი ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილია, საპატიო ლოჟაში მოკალათებული ტანხმელი პიროვნება „არსენალის“ მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი გახლავთ. აი, ათოლ სტილს კი უკვე მეორედ უწევს „სარბიელის“ ფურცლებზე მოხვედრა. პირველად მკითხველმა იგი ჯანლუკა ვიალის აგენტის რანგში გაიცნო. ალბათ, თავადაც მიხვდით, გამოცდილი ლონდონელი ფიფას აგენტი ზურაბ ხიზანიშვილის აგენტიც გახლავთ. ახლა კი თავში მოყვანილი პატარა რებუსიც გავხსნათ და ერთობ შთამბეჭდავ რეალობას მივიღებთ: ლონდონის „არსენალი“ ზურაბ ხიზანიშვილს ელის. მეტიც, ლონდონური კლუბი ტრანსფერის გაჭიანურებას არ აპირებს და მზადაა, ახალგაზრდა ქართველი დაუყოვნებლივ შეიძინოს.

გუშინ ერთ-ერთმა ინგლისურმა საინტერნეტო გვერდმა ზურაბ ხიზანიშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ წარმოადგინა. „არსენალი“ ქართველ ვარსკვლავს იწვევს“ — იუწყებიან ინგლისელები და იქვე აღნიშნავენ: უაღრესად ნიჭიერი 19 წლის ქართველი მცველი პირველად იოჰან ბოსკამპმა ათამაშა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ვენგერი აღტაცებული დარჩა ხიზანიშვილით და მას „ჰაიბერიზე“ ელის“.

გუშინ თავად ზურაბს ჩვენ დავუკავშირდით:

— რა მეთქმის. ბედმა დიდი საჩუქარი მომიძღვნა. უკეთეს ვარიანტს ვერც ვინატრებდი. ვიცოდი, რომ იტალიასთან მატჩს ინგლისელი სკაუტები ესწრებოდნენ, მაგრამ თუ თავად არსენ ვენგერი მნახავდა, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ნამატჩევს ფრანგები იყვნენ ჩემთან (როგორც შემდეგ გავიგე, „ბორდოს“ წარმომადგენლები), მაგრამ „არსენალის“ ვარიანტით მოხიბლულმა განვუცხადე, რომ ჩემს აგენტს, ათოლ სტილს დაუკავშირდით-მეთქი. სტილი რამდენიმე დღის წინ შემეხმიანა ინგლისიდან და მითხრა, რომ ყველაფერი რიგზეა. ცოტა დაუჯერებელიცაა — „ჰაიბერიზე“ მელიან. ლონდონში ერთ კვირაში წავალ. ზუსტ თარიღს ამ დღეებში გავიგებ — სტილის ზარს ველი.

არსენ-„არსენალის“ სურვილი, ბუნებრივია, „ლოკომოტივისთვისაც“ ცნობილია. გუშინ ზურაბ ხიზანიშვილის ამჟამინდელი კლუბის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, რომ ინგლისიდან ოფიციალური წერილი მიიღეს. ფაქსში ნათქვამია, რომ „არსენალს“ გადაწყვეტილი აქვს ხიზანიშვილის შეძენა და ფეხბურთელს დაუყოვნებლივ ელის ლონდონში.

— ეს მოსალოდნელიც იყო, ზურაბი ნიჭიერი ფეხბურთელია, კაუნასში და ანკონაში საუცხოოდ ითამაშა და ეს ამბავი დიდად არც გამკვირვებია. ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს. ხიზანიშვილი იმსახურებს ამ წარმატებას — გვითხრა ძოძუაშვილმა.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ „არსენალი“ იტალიურ „ლეჩესთან“ და რუსულ „სპარტაკთან“ ერთად აქამდეც იყო დაინტერესებული ხიზანიშვილით, ახლა კი, როგორც ჩანს, მისი გადაბირება საბოლოოდ მოინდომა.

**ბაატა კვანტალიანი**

# რევაზ ძოძუაშვილმა სტვენა უნდა ისწავლოს

## საქართველოს ნაკრებმა მომენტების გამოყენება



რევაზ ძოძუაშვილი

*საქართველოს ნაკრებმა, როგორც იქნა, ისე ითამაშა, ქართველი გულშემატკივარი აანერვიულა და იმედი მისცა, რომ წახდენილი საქმის გამოსწორება შეიძლება.*

*ალბათ დაგვეთანხმებით, ჩვენი ეროვნული გუნდისგან მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ ორ შესარჩევ მატჩში მეტსაც არავინ მოელოდა. მეტსაც კი არა, იმასაც ამბობდნენ, ლიტვა-იტალიიდან ნაკრები მთლად უქულოდ დაბრუნდებაო.*

*კარგია, რომ სხვაგვარად მოხდა — დიდი ანგარიშით მოგება ლიტვაში, სხვათა შორის, სტუმრად პირველად ქვეყნის ისტორიაში და დასანანი მარცხი იტალიაში, ევროპის ვიცე-ჩემპიონებთან.*

*სამი ქულა, შელახული ავტორიტეტის აღდგენა და შანსი იმისა, ოცნება რეალობად იქცეს, ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშოს — აი, ეროვნული გუნდის ორი შესარჩევი მატჩის შედეგი, რითაც, ბუნებრივია, ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილიც კმაყოფილია. მას შინ ვესტუმრეთ და ლიტვა-იტალიაში გამართულ მატჩებზე, ნაკრების მომავალზე ვესაუბრეთ.*

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ — გვითხრა რევაზ ძოძუაშვილმა — არც ერთ ფეხბურთელს თავი არ დაუზოგავს, მონდომებულები იყვნენ, მწვრთნელთა მითითებები კარგად შეასრულეს. ისე, რომ ვთქვა, ორი გასვლითი მატჩიდან ოთხი ქულით დაბრუნებაც რეალური იყო, მაგრამ იმ შვედი არბიტრისა რა ვთქვი, იტალიასთან რომ გვიმსაჯა.

**— ზოგი მთლად უიმედოდ უყურებდა ნაკრების ამ შესარჩევ მატჩებს და თქვენ ახლა ერთბაშად ოთხ ქულაზე ალაპარაკდით. ისე ხომ არაა, მადა ჭამაში მოდისო, რომ ამბობენ? ლიტვაში დიდი ანგარიშით მოიგეთ და...**

— არა, რატომ? ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთი ვიცით, იტალიაში კი, არ ვაჭარბებ, მართლაც ჩინებულად ვითამაშეთ, სახელოვან მეტოქეს არაფერი დავუთმეთ. ეგ კი არა, პირველ ტაიმში მასპინძლები დავჯაბნეთ კიდეც და იმ მომენტებიდან, რომლებიც მათ კართან შევქმენით, ერთიც რომ გამოგვეყენებინა, მატჩი სხვანაირად დამთავრდებოდა.

**— როგორ?**

— უფრო მგონია, რომ მოვიგებდით. თუ არადა, დარწმუნებული ვარ, ქულას მაინც წამოვიღებდით. ისიც კი ჩაფიქრებული გვქონდა, პირველი გოლი რომ გაგვეტანა, რა შეცვლები გაგვეკეთებინა.

**— ვინ უნდა შეგეცვალათ?**

— დაცვას გავაძლიერებდით, არჩილ არველაძეს კი ნახევარმცველით შევცვლიდით, ან ჯამარაულს ვათამაშებდით მის ნაცვლად, ანაც მენთეშაშვილს.

**— როცა 0:1 იყო, თამაში ძველებურად რატომ გააგრძელეთ. თავდასხმა რატომ არ გააძლიერეთ?**

— როცა მსაჯმა პირველი პენალტი დანიშნა, მაშინვე ვაპირებდით ერთი თავდამსხმელის დამატებას, მაგრამ თავი შევიკავეთ, მიზეზი გვქონდა და იმიტომ. საქმე ის იყო, ქეცბაიას მუხლი, ქინქლაძეს კი საზარდული აწუხებდა და ყოველ წუთს მოველოდით, რომ ისინი შეცვლას მოითხოვდნენ. ეს მათ მატჩის წინ გვითხრეს. ხომ ნახეთ, ასეც მოხდა. ჩვენ კი მეორე ტაიმის დასაწყისშივე ორი შეცვლა რომ გაგვეკეთებინა, შეიძლებოდა მატჩი კაცნაკლულებს ჩაგვემთავრებინა. ქეცბაიას და ქინქლაძეს თამაშის გაგრძელება აღარ შეეძლოთ. არჩილ არველაძის გამოცვლის მიზეზი კი მისი დაღლა იყო, მან ბევრი იმოძრავა, დიდი სამუშაო შეასრულა, ნახევარმცველებს ზონებს უთავისუფლებდა, თანაც იტალიელი მცველები სულ დაძაბული ჰყავდა, მათ მოსვენებას არ აძლევდა.

**— იაშვილი ტურისტად რატომ გყავდათ?**

— იცით, ლიტვაში ჩვენ კონტრშეტევებზე ვთამაშობდით და იქ სწრაფი თავდამსხმელი გვჭირდებოდა, ისეთი, როგორიც — დემეტრაძეა. ლიტველები სამი მცველით თამაშობდნენ, თანაც მათგან ორი თავის ზონას ტოვებდა, წინ მიდიოდა და დემეტრაძის სისწრაფის ხარჯზე ბევრი ურეალესი მომენტი შევქმენით, გოლებზე აღარაფერს ვამბობ. კონტრშეტევის მაგალითი მესამე გოლი გახლდათ, რომელიც დემეტრაძემ ქინქლაძეს გაატანინა. იტალიელებთან კი უფრო ინდივიდუალისტი თავდამსხმელი იყო საჭირო. მართალია, ისინიც სამნი თამაშობდნენ, მაგრამ ზონას არავინ ტოვებდა და მათ წინააღმდეგ სწორედ არველაძის ტიპის ფეხბურთელი გამოგვადგებოდა. იაშვილი ისეთ მეტოქესთან უნდა ვათამაშოთ, ვინც მთელ მოედანზე პერსონალურ მეურვეობას ამჯობინებს და ბურთის თავისუფლად მიღების საშუალებას არ იძლევა. იაშვილი ღონიერია, ძალისმიერად მოთამაშე მეტოქესთან უფრო გამოსადეგია.

**— ჯამარაული რატომ არ ათამაშეთ ძირითად შემადგენლობაში?**

— ის უფრო შემქმნელია და რადგანაც სტუმრად ვთამაშობდით, თანაც კონტრშეტევებზე ჩამშლელი ფეხბურთელი გვჭირდებოდა. ამიტომ ვამჯობინეთ მას რეხვიაშვილი.

**— და გაგიმართლათ. ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო ორივე მატჩში. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— დიახ, რეხვიაშვილმა ძალიან კარგად ითამაშა. საგრძნობლად მოუმატა და ახლა არ გამიკვირდება, თუ კარიერას რომელიმე ძლიერ გუნდში გააგრძელებს.

**— ალალად თქვით, ელოდით ლიტვაში ასეთი ანგარიშით მოგებას?**

— მოგებას, რა თქმა უნდა, ველოდი, თუმც ამხელა უპირატესობით, არა. ჩვენ ამ მატჩისთვის კარგად მოვემზადეთ, ვნახეთ ლიტვის ნაკრების რამდენიმე მატჩის ფირი, გავითვალისწინეთ მათი ფსიქოლოგია, მე ხომ ლატვიაში ნამუშევარი ვარ და ლიტველების ხასიათიც კარგად ვიცი. თანაც მეტოქის ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი რიგის „სკონტოშია“ და საკმაო ინფორმაცია გვქონდა.

**— რომელი თამაშით დარჩით უფრო კმაყოფილი — ლიტვასთან თუ იტალიასთან?**

— გამორჩევით ვერ გეტყვით. ფაქტი კი არის, ორგანვე ვიყოჩაღეთ. ხომ ვთქვი, იმ შვედი მსაჯის შეცდომები რომ არა, უქულოდ არც იტალიას დავტოვებდით. ჩვენი ტაქტიკა ლიტვაშიც და იტალიაშიც თითქმის ერთნაირი იყო. ზამბარისებურად ვთამაშობდით, მეტოქის შეტევისას ჩვენები ერთმანეთთან ახლოვდებოდნენ, შეცდომებისგან მაქსიმალურად თავს ვიზღვევდით და ბურთის წართმევისთანავე ბიჭები იშლებოდნენ, მეტოქესაც უჭირდა გაფანტულ ფეხბურთელებთან წინააღმდეგობა. ტაქტიკის არჩევისას არ შევმცდარვართ. რამდენიმე ჩანაფიქრიც გვქონდა და ისიც შევასრულეთ. ამიერიდან ყველაფერს კიდევ უფრო დავხვეწთ და იმედი მაქვს, მარტის თამაშებისთვის უკეთ მომზადებულები ვიქნებით. მთავარია, სიახლე ბიჭებმა კარგად აითვისეს. მარტში კი თუ შინ რუმინელებს მოვუგეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშიც შედარებით რეალური იქნება.

**— იტალიასთან მატჩის წინ ფეხბურთელებს რა უთხარით?**

— ჯერ ერთი, მეტოქის თამაში გავურჩიეთ, მათ სუსტ და ძლიერ მხარეებზე დაწვრილებით ველაპარაკეთ, მერე ფსიქოლოგიურადაც მოვამზადეთ. ვარსკვლავი არც ერთი თქვენგანია, ყველაფერი გააკეთეთ, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი როგორც ტოლს ისე გვეთამაშოს-მეთქი. კიდევ რაღაც-რაღაცეებიც ვთქვით, მაგრამ ახლა ამის დაკონკრეტება, ვფიქრობ, ნაკლებ საინტერესოა.

**— პრემიებზე ილაპარაკეთ?**

— ამ თემაზე საერთოდ არავის არაფერი უთქვამს. ვაჭრული სულით ლიტვაში და იტალიაში არავის უთამაშია. ისე კი, რასაც დაგვპირდნენ, ალბათ მოგვცემენ.

**— ისევ იტალიასთან მატჩზე. შესვენებაზე რაღა უთხარით ფეხბურთელებს?**

— ის, რომ ილუზიებს არ აჰყოლოდნენ. ყველაფერი კარგად მიდის და გადამწყვეტ მომენტში დარტყმას დაუკვირდითო.

**— როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდა თავის შეგირდებს ტრაპატონი?**

— როგორც კი შანსი მოგეცემათ, მეტოქის საჯარიმოში წაიქეცით — ალბათ ამას ეტყოდა მწვრთნელი ფეხბურთელებს.

**— ხუმრობთ?**

— არა, რატომ, გამორიცხული სულაც არ არის, ტრაპატონის ეს ეთქვა. ესეც მწვრთნელის სიძლიერეზე მეტყველებს. გამარჯვებისთვის მან ყველა ხერხი გამოიყენა.

**— ამით გაჯობათ ტრაპატონიმ?**

— კიდევ სტვენით. ბევრს უსტვენდა, ფეხბურთელებსაც ამაზე ჰქონდათ ყურადღება გამახვილებული და შეცდომას მაშინვე ასწორებდნენ.

**— თქვენ იცით სტვენა?**

— არა, მაგრამ ვისწავლი. მითითებებისთვის სხვა ხერხიც არსებობს.

**— ნემსაძე ლიბეროდ რატომ არ ათამაშეთ? ამხანაგურ მატჩებში ხომ ცდიდით ამ პოზიციაზე?**

— სულ ორჯერ ვათამაშეთ ამხანაგურებში ნემსაძე ლიბეროდ. ამჯერად კი ვამჯობინეთ მოედნის შუაში ეთამაშა. რეხვიაშვილი და ის ერთმანეთს ჩინებულად შეეწყვნენ. ისე კი გამორიცხული არ არის, გიამ სხვა დროს ლიბეროდ ითამაშოს.

**— თოდუამ თითქმის ყველა ამხანაგური მატჩი ჩაატარა. შესარჩევებში კი სკამზე დასვით. რატომ?**

— მას ჩვენ მეტოქესთან პერსონალურად სათამაშოდ ვამზადებთ. ლიტვასთან და იტალიასთან ეს საჭიროდ არ ჩავთვალეთ.

**— ტრაპატონი გამოგელაპარაკებიათ მატჩის შემდეგ. რაო, რა გითხრათ?**

— ბევრი არაფერი კომპლიმენტები და მადლობა კარგი თამაშისთვის. მატჩისას ძალიან ნერვიულობდა, მერე კი გახარებული იყო.

**— ამ ორი შეხვედრიდან ვის გამოყოფდით?**

— ვერავის. ყველას თამაშით კმაყოფილი დავრჩი. გვარამაძის მეშინოდა, მაგრამ მას ისეთი შეცდომა არ დაუშვია, რომ ვუსაყვედურო. ის ახლა კლუბში არ თამაშობს და მიუხედავად ამისა, ნაკრებში ნორმალურად გამოიყურებოდა.

**— მარტში რუმინელებთან თამაში გელით და ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ დავუშვათ, ქინქლაძე დაშავდა, ქეცბაია, რამდენიმე ფეხბურთელი ერთად, მათი შემცვლელები შეგულებულები გყავთ?**

— მოვძებნით. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია. რამდენიმეს თვალი უკვე დავადგით, მაგრამ ახლა მათ გვარებს ვერ გეტყვით, ხომ იცით, გაიგებენ და ერთი ამბავი ატყდება. გაიხსენეთ, ადრე რომ ვამბობდი, ნაკრებში ყველაზე სუსტი მარჯვენა მცველის პოზიცია არის-მეთქი. ხომ ვნახეთ ამ ადგილზე მოთამაშე? ზურაბ ხიზანიშვილზე ძლიერი მარჯვენა მცველით ბევრი გუნდი იტრაბახებს? ასევე ვიპოვით სხვათა შემცვლელებსაც.

**— დაბოლოს, მომავალზე გვითხარით. ეს ორი თამაში ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.**

— ნაკრები უსახურად აღარ ითამაშებს. ახლა ჩვენი საფიქრალი უახლოესი, რუმინეთთან მატჩია. მათთან მოგება უმნიშვნელოვანესი იქნება. ვეცდებით, სამს სამი ქულაც დავამატოთ. მთავარია, ფეხბურთელებმა გაიგეს, მათგან რას და როგორ თამაშს მოვითხოვთ. მარტში უკეთესად ვითამაშებთ და მერე ალბათ მეტსაც მივაღწევთ.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს 12 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე

8 ტური

# პურმარილი ტრიბუნაზე, დროსტარება მინდორზე

**„ტორპედო"** ისევ დაუმარცხებელია. „ლოკომოტივმა" მეორედ წააგო. „ვიტ ჯორჯიამ" დღესასწაული შეირგო. „მერანი" — „სიონი" ისევ ფრედ დამთავრდა. „გორდამ" მღევარ თსუ-ს შინიდან ქულა გამოატანა. „დინამომ" მორიგი ქულები გაფანტა, ხოლო ზღვისპირელთა დერბი „კოლხეთმა" მოიგო და ბოლოსწინა ადგილს „ბათუმი" არ ააცილა.

ყველაფერი ეს იმის მანიშნებელია, რომ ეროვნული ჩემპიონატის მერვე ტური ჩამთავრდა, მეცხრეც მალე შემოაღებს კარებს.

ტურის ცენტრალური მატჩი მცხეთაში იყო. მცხეთობის დღესასწაულზე შეკრებილმა სატახტო ქალაქის სტუმრებმა ფეხბურთის ქომაგებს მხარი აუბეს და სტადიონზეც შეიარეს, მაგრამ „არმაზის" ტრიბუნები სანახევროდაც ვერ შეავსეს. ტრიბუნებზე პურმარილის გასაწყობი ადგილიც გამოინახა, ქეიფიც გახურდა. მინდორზე კი ფეხბურთელები ოფლს ღვრიდნენ.

მთლად გადასარევი მატჩი არ ყოფილა, მაგრამ არც შეუხედავი გამოდგა და გოლიც კი გავიდა, ოღონდ ერთი და მხოლოდ სტუმართა კარში.

ვინც ტოტალიზატორში ფსონის დადებას გადაწყვეტს, მათ საყურადღებოდ ერთს ვიტყვით. არ დაიზაროთ, ცოტას თუ დაიხარჯებით, კიდევ უკეთესი, მიაკითხეთ „ლოკომოტივის" დასტაქარ ზურაბ ლომინაძეს, მის პროგნოზებს ენდეთ და არ ინანებთ. ის კაცი აქამდე ზედიზედ სამჯერ შეუმცდარი იყო. რკინიგზელთა სამწუხაროდ, ლომინაძის წინასწარმეტყველებამ „ლოკომოტივს" ვერ უშველა, მაგრამ ვეტერინართა თავდამსხმელ ლევან მელქაძის შეჩერება კი შეძლო.

პირველ ტაიმში სტუმარი უკეთესი იყო, მეორეში მასპინძელმა იძალა, ხოლო მელქაძის საკეთებელი შეცვლაზე შესულმა დეკანოსიძემ იტვირთა და „ვიტ ჯორჯია" „ლოკომოტივს" ქულით რომ ჩამორჩება, ეს სულ გიორგის დამსახურება გახლავთ.

ვიცე-ჩემპიონი გამარჯვებამ გაახარა, ვიტელებმა დღესასწაულიც შეირგეს, მაგრამ ერთი სამწუხარი მაინც დარჩათ — ძირითადის მეკარე მირზა მერლანი დაშავდა, ალბათ, მომავალ ტურში ვერც ითამაშებს. სერგო ჭურაძე ჯერ არ მომჯობინებულა, ზვიად სტურუასაც არ მოშუშებია ძველი ტრავმა.

„ლოკომოტივმა" გოგიჩაიშვილი ვერ ათამაშა. კახამ ისევ ვერ მოირჩინა მტკივანი ფეხი, რომელიც ლიტვაში, ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე დაიზიანა. უიმისობა რკინიგზელებს აკი დაეტყოთ კიდეც.

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებებიდან დაბრუნებული ფეხბურთელები დაღლილები ჩანდნენ და ამან თავისი დაღი დაამჩნია თამაშს, სხვა მხრივ, ყველაფერი ნორმალურად და მშვიდობიანად დასრულდა.

„ასეთი რამ ზოგს ტელევიზორში გვინახავს, ზოგსაც გვსმენია. არა უშავს, უფრო გამოცდილ მეკარეებსაც შემთხვევიათ მსგავსი კურიოზი. ამის გამო დინამოელთა ახალგაზრდა მეკარე როდი უნდა დავძრახოთ" — ასე ბჭობდნენ გორელი ფეხბურთის ქომაგები მატჩის შემდეგ.

ჩიხრაძემ თავის კარში გოლი საკუთარი ხელით შეაგდო, მაგრამ არც ერთ დინამოელს საყვედური არ წამოსცდენია. პირიქით, გაამხნევეს შემცბარი მეკარე.

„დინამომ" კინაღამ წააგო, მაგრამ მაინც რომ გუნდია, იმ ბოლო ექვს წუთშიც გამოჩნდა, რომელიც აშკარად სტუმრების იყო. დაქანცული „დილა" ჯერ ზირაქაშვილმა არ დაასვენა, მერე — გადელიამ. „დინამოს" გატანა ადრეც მართებდა, მაგრამ სამიზნე გვიან გაისწორეს დინამოელებმა, თუმც სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ძირითადის ფეხბურთელები ორივე გუნდს აკლდა. „დილამ" დისკვალიფიცირებული ლევან გოჩაშვილი, ტრავმირებულები — სოლოლაშვილი და გრიგალაშვილი მოისაკლისა, ხოლო „დინამომ" შელია, გრიშიკაშვილი და სახვაძე ვერ ჩაიყვანა გორში.

ფოთში ვერ იყო ისეთი თამაში, როგორიც ზღვისპირელთა პაექრობას შეეფერება. არც „ბათუმს" უნდა წაეგო და საერთოდ, ფრე ყველაზე ლოგიკური შედეგი იქნებოდა, მაგრამ ბათუმელებმა გატანა ვერ მოახერხეს, ხოლო გოლი ლამის მეტოქის ნახევრიდან გაუშვეს და მოიგო „კოლხეთმა".

ექვსი ქულის ამარა და ბოლოსწინა ადგილზეა „ბათუმი". ასეთ დღეში არასდროს ყოფილან აჭარლები და ექვსეულის პერსპექტივაც უტოპია უფროა, ვიდრე რეალობა, მაგრამ ბათუმელთა ახალდანიშნული მწრთნელი, რომელიც იმავდროულად გუნდის ტექნიკური დირექტორიცაა, უკეთესი მომავლის იმედსა და რწმენას არ კარგავს. ასლან ბალაძემ, ექვსეულში მაინც უნდა მოვხვდეთო...

„მერანსა" და „სიონს" ერთი ტრადიცია ჰქონდათ. სადაც უნდა ეთამაშათ, შინ თუ გარეთ, მათი ორთაბრძოლა ფრედ მთავრდებოდა. მხოლოდ ერთხელ იყო, რომ „მერანმა" ჯონი ჯანელიძის მწვრთნელობისას ნეიტრალურ სტადიონზე მოუგო „სიონს". მერე ხან ასე იყო, ხან ისე. ახლა, ეტყობა, ტრადიცია აღორძინდება. „მერანი" — „სიონი" ფრედ დამთავრდა.



მერანი — სიონი 0:0. ბოლნისელები ბარნოვი და სვანიძე (№3) დავით (№10) და კახა გოდერძიშვილის ბრძოლას შესცქერიან

სტუმრებმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენეს. მასპინძლებს ეკუთვნოდათ და არ დაუნიშნესო, ამან მწყობრიდან გამოიყვანა ავჭალელთა ერთ-ერთი თავკაცი ვოვა ჩერქეზოვი და ინციდენტიც პატარა, მაგრამ მაინც მოხდა. მერანელმა მსაჯისკენ გაიწია, თუმც კახა მესხს არაფერი დაშავებია.

რუსთავის „გორდამ" ბევრიც დაკარგა, შინიდან თსუ დაუმარცხებელი რომ გამოუშვა. არადა, მათ შორის სხვაობა სულ ერთი ქულაა.

რუსთაველებს ჰქონდათ მომენტები. ბურთიც საკმაოდ უბაგუნეს მეტოქის ძელ-ხარიხას, მაგრამ სტუდენტებმა კონტრშეტევა განახორციელეს და მეორე ტაიმის შუაში დაწინაურდნენ.

მასპინძლებმა გახარება არ აცალეს სტუდენტებს, ერთ წუთშივე გაქვითეს ანგარიში, მაგრამ მეტიც ვერაფერი მოახერხეს.

წესით და რიგით, ახლა „იბერიამ" ხაშურში უნდა ითამაშოს და „ტორპედოსაც" ლიხს გამოღმა ბურთაობა შესთავაზა, მაგრამ ქუთაისელებმა უარი განაცხადეს. კანონიც მათ მხარეს იყო, ამიტომ „იბერიამ" კიდევ ერთხელ „შეაწუხა" ზესტაფონური სარბიელის მუშაკები.

სოსო ფრუიძის გუნდს ერთადერთი ქულა ზესტაფონში მოუპოვებია და მატჩის დაწყებამდე იქნებ კიდევ ჰქონდა იმედი, მაგრამ „ტორპედოსთან" მხოლოდ იმედის ანაბარა რას გახდებოდნენ.

თამაში არც ქუთაისელებს წაუვიდათ, მაგრამ „იბერიას" ისიც ეყო, რაც მოახერხა. მართალია, ტორპედოელმა ფორვარდებმა მოიკოჭლეს, მაგრამ დანაკლისი მცველებმა და ნახევარმცველებმა აანაზღაურეს. ვერ გაიტანა მეთერთმეტე ეროვნულის უპირველესმა მეგოლე იონანიძემ, არადა, მომენტი იმდენი ჰქონდა, რომ გამოეყენებინა, წლევანდელი დავის ლიდერ გოდერძიშვილს თუ ვერ გაუსწრებდა, გაუთანაბრდებოდა მაინც.

ზესტაფონში არ იყო „ტორპედოს" თავკაცი დავით ყიფიანი. მთავარი მწვრთნელი შეუძლოდ ყოფილა და ჩემპიონიც მისმა თანაშემწეებმა დამოძღვრეს.

ექვს მატჩში გატანილი 11 გოლი, მასპინძელთა ორი და სტუმრთა ერთი გამარჯვება, სამიც ფრე — აი, მერვე ტურის სტატისტიკური მონაცემები. არადა, ბურთების შეფარდებით სტუმრებმა აჯობეს მასპინძლებს 6:5.

წინ მეცხრე ტურია, რომლის ცენტრალური მატჩები, „დინამო" — „მერანი" და „ლოკომოტივი" — „კოლხეთი", „ეროვნულზე" ჩატარდება, ოღონდ ერთი შაბათს, მეორე კი კვირას. კიდევ, არ არის გამორიცხული, „მერანის" რიგებში, ძირითადშივე ვიხილოთ ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე მიხეილ ფოცხვერია. ვნახოთ, ერთი კვირაც დავიცადოთ და სანახაობაც იქნება.

**მამუკა ძგანტალიანი**



მსაჯობით უკმაყოფილება ავჭალური მატჩის შემდეგ „მერანის" ფეხბურთელმა გიორგი კვეტენაძემაც (მარცხნივ) გამოთქვა

## საქართველოს თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები. 17 ოქტომბერი

# კულაში ბათუმი გაქურდეს

**გუშინ** ზღვისპირელები ქვედალიგელ „ოკეანეს" საქართველოს თასის საპასუხო შეხვედრის გასამართად დაბა კულაშში რომ ეწვივნენ, 1:0 კი გაიმარჯვეს, მაგრამ ნამატჩევს გასახდელში უსიამოვნო სიურპრიზი დახვდათ — ქურდებს ოთხი ბათუმელის სამოსი და პირადი ნივთები წაეღოთ.

გუშინვე „ბათუმის" პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძეს რომ დავუკავშირდით, ეს გვითხრა: გასახდელი გატეხილი და რამდენიმე ფეხბურთელის სპორტული ტანსაცმელი მოპარული დაგვხვდა. ასეთ დროს დაკარგული სად მოიძებნებოდა. კიდევ კარგი, ფეხბურთელებს გასახდელში მნიშვნელოვანი თანხაც არ ჰქონდათ.

შარშანს აქეთ ეს ფეხბურთელთა გაქურდვის მეორე ფაქტია. შარშან კი, ალბათ გახსოვთ, ქუთაისური კლუბის სალორიის საწვრთნელი ბაზა გაქურდეს „ტორპედოს" და ბერძნული აეკ-ის უეფას თასის მატჩისას.

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი** — თორი 9:0 (2:1) | **თსუ** — დინამო 2 5:0 (1:3) |
| **მერანი** — თბილისი 2 1:1 (3:0) | ლაზიკა — **ტორპედო** 0:3 (0:4) |
| მილანი — **დინამო** 0:0 (0:5) | კოლხეთი 2 — **კოლხეთი** 0:1 (0:4) |
| ლოკომოტივი 3 — **გორდა** 2:3 (0:3) | **სამგურალი** — იბერია 0:0 (1:0) |
| **თბილისი** — ცხინვალი 3:0 (2:2) | ოკეანე — **ბათუმი** 0:1 (0:6) |
| ივერია — **სიონი** 2:5 (0:3) | **მეტალურგი** — გურია 2 3:1 (1:0) |
| ჭაბუკიანი — **დილა** 3:0 (0:4) | **გურია** — შუქურა 1:1 (2:0) |
| ს.ა. იბერია — **ვიტ ჯორჯია** 1:4 (0:4) | ხობი — **ზუგდიდი** 3:2 (0:3) |

მეთექვსმეტედფინალის მიმოხილვა იხილეთ ხვალინდელ „სარბიელში"

საქართველოს უმაღლესი ლიგა 12 ჩემპიონატი პირველი წრე

# 8 ტური

სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 8 |
| მატჩი | 47 |
| გოლი | 114 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,43 |
| მასპინძელთა მოგება | 25 (53%) |
| ფრეები | 8 (17%) |
| სტუმართა მოგება | 14 (30%) |
| საერთო დასწრება | 65 850 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 401 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 104 | 17,35 |
| სტუმარი | 108 | 18,00 |
| სულ | 212 | 35,35 |
| **კუთხური** | | სემ |
| მასპინძელი | 23 | 3,85 |
| სტუმარი | 21 | 3,50 |
| სულ | 44 | 7,35 |
| **კარისკენ დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 35 | 5,85 |
| სტუმარი | 32 | 5,35 |
| სულ | 67 | 11,15 |
| **კარში დარტყმა** | | სემ |
| მასპინძელი | 25 | 4,15 |
| სტუმარი | 31 | 5,15 |
| სულ | 56 | 9,30 |
| **თამაშგარე** | | სემ |
| მასპინძელი | 21 | 3,50 |
| სტუმარი | 18 | 3,60 |
| სულ | 39 | 7,10 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 7 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 5 - იონანიძე | ტორპედო |
| 4 - ზ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| 3 - ა. მუჯირი | ბათუმი |
| ფუფუნაშვა | თსუ |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| შაშგულიძე | კოლხეთი |
| გონჩაროვი | ლოკომოტივი |
| იმედაძე | ტორპედო |
| მიშველიძე | გორდა |

### მერანი 0:0 სიონი

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 11 |
| 9 | კუთხური | 3 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 4 | კარში დარტყმა | 4 |
| 7 | თამაშგარე | 4 |

### დილა 2:2 დინამო

| | | |
|---|---|---|
| 27 | დაჯარიმდა | 13 |
| 2 | კუთხური | 8 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 3 | კარში დარტყმა | 6 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### იბერია 0:3 ტორპედო

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 29 |
| 0 | კუთხური | 3 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 6 |
| 1 | კარში დარტყმა | 10 |
| 0 | თამაშგარე | 0 |

### ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 18 | დაჯარიმდა | 9 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 5 | კარში დარტყმა | 3 |
| 5 | თამაშგარე | 4 |

### გორდა 1:1 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 10 | დაჯარიმდა | 30 |
| 6 | კუთხური | 2 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 8 | კარში დარტყმა | 6 |
| 4 | თამაშგარე | 5 |

### კოლხეთი 1:0 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 16 |
| 1 | კუთხური | 2 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 4 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 4 |



ლოკომოტიველი ზურაბ ხიზანიშვილი (ბურთით) და ვიტელები: ლაშა ნოზაძე, თენგიზ კობიაშვილი, ზვიად გვაზავა, გიორგი ჭანკოტაძე

თბილისი
14 ოქტომბერი
16 საათი
სინათლე
800 (ტევადობა 3 000)

## მერანი 0:0 სიონი

ისიანმა ვერ გაიტანა პენალტი (29)

მერანი: დევაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, პოდლესნი, დ. გოდერძიშვილი, ხორხელი (გ. კვეტენაძე 60), კაკუბავა (როსტიაშვილი 63) ქინქარაული, მუხინი (მინაშვილი 60), ბოლქვაძე

სათადარიგონი: ნაჭყებია, ოდიშარია, კობესაშვილი, ივანიშვილი

სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი, ისიანი (გამცემლიძე 88), ბარნოვი, მოსეშვილი (სვანიძე 82), სოლოღაშვილი, ვ. მაისურაძე, კ. მეტრეველი (წიგნიძე 46)

სათადარიგონი: დოლაქიშვილი, ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი

გაფრთხილება: გუჯაბიძე (15) ცქიფურიშვილი (32), კ. გოდერძიშვილი (74), ბარნოვი (89)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, გ. კუკუჩიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)

სფფ-ის დელეგატი: ვ. ელოშვილი

გორი
14 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 230)

## დილა 2:2 დინამო

1:0 ჩიხრაძე (პ.კ.), 2:0 კოტორაშვილი (76), 2:1 ზირაქიშვილი (84), 2:2 გადელია (89)

დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, ლომიძე, გაგნიძე, ხოხობაშვილი, რევაზიშვილი, ციცქიშვილი (მ. ბურნაძე 81), დ. მაისურაძე (ტულუში 60), კოტორაშვილი (საყვარელიძე 78), ხმალაძე, ხორგუაშვილი

სათადარიგონი: მელიქიანი, იასაშვილი, სამნიაშვილი

დინამო: ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ეგაშაკიძე, ზამთარაძე (რუხაძე 67), შაშიაშვილი, კანდელაკი (კ. გოგოლაძე 74), ჯინჭარაძე, სიჭინავა (მაზიაშვილი 81), დათუაძე, გადელია, ზირაქიშვილი

სათადარიგონი: ბათიაშვილი; გ. მიქაძე, ბურდული, მონასელიძე

გაფრთხილება: ხორგუაშვილი (14), ხოხობაშვილი (27), ხმალაძე (79)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი (ყველა თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

ზესტაფონი
14 ოქტომბერი
16.20 საათი
მეტალურგი
200 (ტევადობა 10 000)

## იბერია 0:3 ტორპედო

0:1 ჩხეტიანი (30), 0:2 ახვლედიანი (40), 0:3 გუჩუა (63)

იბერია: ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე (მუმლაძე 60), პ. ბობოხიძე (ონიანი 70), ბიწაძე (ყურაშვილი 65), ოდიკაძე, გიგიაძე

სათადარიგონი: ჩომახიძე, ბანძელაძე

ტორპედო: ზოიძე (ქანტურია 57), ახვლედიანი, ხვადაგიანი, შალამბერიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე (ასათიანი 75), კ. კვეტენაძე, გუჩუა, ჩხეტიანი, იმედაძე (მ. ბობოხიძე 75), იონანიძე

სათადარიგონი: მახვილაძე, ვაჩიბერაძე, კვერნაძე, თურმანიძე

გაფრთხილება: ოდიკაძე (19), ხვადაგიანი (56), ახვლედიანი (82), ქანტურია (89)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე; ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

მცხეთა
14 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
800 (ტევადობა 3 000)

## ვიტ ჯორჯია 1:0 ლოკომოტივი

1:0 დევანოსიძე (65)

ვიტ ჯორჯია: მერლანი (სტურუა 21), საჯაია, ქანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი (გოჩაშვილი 71), ზ. გვაზავა, სულთანიშვილი (დევანოსიძე 59), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე

სათადარიგონი: იაშვილი, დ. დოლიძე, თაყაძე

ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, აბრამიძე, თოდუა, გ. კვარაცხელია, ხიზანიშვილი, ძოძუაშვილი (ხუროძე 46), ქიქვეიშვილი (მარამანოვი 69), გონჩაროვი (დავითაშვილი 64), რუსია, ლევან სილაგაძე

სათადარიგონი: სირაძე, გილაური, სალუქვაძე, დ. არჩვაძე

გაფრთხილება: აბრამიძე (61), დევანოსიძე (63), მელქაძე (65)

მსაჯები: ა. კრიჟაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

რუსთავი
14 ოქტომბერი
16 საათი
ფოლადი
800 (ტევადობა 10 700)

## გორდა 1:1 თსუ

0:1 ბოკერია (65), 1:1 მიშველიძე (66)

გორდა: ნიკურაძე, ბექაური, ბერიძე, ბურნაძე, გაბელაია, კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (პატარიძე 87), ა. ბუკია (მ. სახვაძე 73), მელაძე, მიშველიძე, ლაშა სილაგაძე (კიტეიშვილი 55)

სათადარიგონი: გონგაძე, ბაჩილავა, მჭედლიძე, ლ. კაპანაძე

თსუ: მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ე. ალადაშვილი, სვანიძე (მოჩილაძე 81), ფუფუნავა, ახალაძე მესხი, ერაძე, ვადაჭკორია (არეშიძე 89), ა. ბოკერია (ადამია 81)

სათადარიგო: გუგუნავა

გაფრთხილება: ვადაჭკორია (80), ე. ალადაშვილი (86)

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. ორდინიძე (ონი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

ფოთი
14 ოქტომბერი
16 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 ბათუმი

1:0 ქუნთელია (52)

კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტოროჩინავა, ქუნთელია (პაპავა 70), ფანჩულიძე, ახალკაცი (კრასოვსკი 42), კუკლიაშვილი, ღლონტი, კვირკველია, ხუჭუა, ე. გვასალია (შაშგულიძე 78)

სათადარიგონი: ჩემია; თედეევი, ქანტურიძე, ბურკვაძე

ბათუმი: ბედიაშვილი, სიხარულიძე (დარჩიძე 70), მინდიაძე, მეავანაძე, პაპიძე (კაკაბაძე 18), გელა ქორიძე, ღლონტი, თედორაძე, რომანაძე (ყულევიშვილი 61), ა. მუჯირი, აფხაზავა

სათადარიგონი: სამნიძე, ბეჟანიძე, ჩოხელი, სოხაძე

გაფრთხილება: აფხაზავა (10), ხუჭუა (35), კაკაბაძე (37), ქორიძე (75), ფანჩულიძე (88), მინდიაძე (89)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი, ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ნ. რუსიშვილი (ქუთაისი); დ. სანაია (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში



გორდელი ალექსანდრე კიტეიშვილი (ბურთით) და სტუდენტი კახა ებრალიძე

### სიმბოლური ნაკრები

| მოთამაშე | გუნდი |
|---|---|
| ზურაბ ხორგუაშვილი | დილა |
| ზაზა ზირაქიშვილი | დინამო |
| ალექსანდრე ბუკია | გორდა |
| კახაბერ ჩხეტიანი | ტორპედო |
| ვალტერ გუჩუა | ტორპედო |
| მიხო კვარაცხელია | ლოკომოტივი |
| გია ჩხაიძე | ტორპედო |
| ალექსანდრე ბურნაძე | გორდა |
| ვასილ მაისურაძე | სიონი |
| სოსო ერაძე | თსუ |
| თეიმურაზ მოლჩანოვი | სიონი |

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

### უმაღლესი ლიგა

| № გუნდები | სულ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორპედო | 8 | 8 | 0 | 0 | 15:2 | 13 | 24 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 12 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 |
| 2 ლოკომოტივი | 8 | 6 | 0 | 2 | 19:5 | 14 | 18 | 3 | 2 | 0 | 1 | 9:1 | 8 | 6 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 12 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 8 | 5 | 2 | 1 | 11:3 | 8 | 17 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 4 | 2 | 2 | 0 | 8:2 | 6 | 8 |
| 4 დინამო | 8 | 4 | 1 | 3 | 10:12 | -2 | 13 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 7 |
| 5 მერანი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 |
| 6 გორდა | 8 | 2 | 5 | 1 | 9:12 | -3 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:8 | -6 | 2 |
| 7 თსუ | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | -3 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | -2 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | [illegible] |
| 8 კოლხეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9:11 | -2 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 0 |
| 9 დილა | 8 | 2 | 2 | 4 | 8:14 | -6 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 3 |
| 10 სიონი | 8 | 2 | 1 | 5 | 6:8 | -2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 3 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 4 |
| 11 ბათუმი | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | -6 | 6 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | -8 | 0 |
| 12 იბერია | 8 | 0 | 1 | 7 | 1:14 | -13 | 1 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | -8 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | -5 | 0 |

*საქართველოს ნაკრებმა და მასთან ერთად „სარბიელის“ კორესპონდენტმაც თბილისიდან იტალიამდე და უკან ლიტვის გავლით იმოგზაურეს. ქრონოლოგია მოითხოვს, ჯერ კაუნასზე, მერე კი ანკონაზე მოგითხროთ, მაგრამ რაკი ანკონურ ვნებათა სამმა დღემ კაუნასური 4:0-ის კვირეული დაჩრდილა, პირიქით მოვიქცევით*

# ტრაიანოდან პინოქიომდე

## საქართველო იტალიელის გულზე

**ქალაქის** ერთ-ერთ, პინოქიოდვე მონათლულ გარეუბანში გაქვავებულ ზღაპრის გმირს რომ კონეროს აღმართს აყოლა შესძლებოდა, პაპა ჯეპეტოს ნაყიდ ანბანს დაუფიქრებლად გაცვლიდა იმ გაჩილარდნებულ ადგილას მოსახვედრ ბილეთზე, რომლით ხელშიც ზუსტად ერთი კვირის წინ ანკონის მთელი გოგო-ბიჭობა დაძრულიყო, საფეხბურთო სანახაობის საცქერლად.

მერე რა, რომ კარლო კოლოდიმ ასე ინება, პინოქიოს ფეხბურთი არც გაუგია. მთავარია, ხალხი საით მიილტვის. მთავარია, რომ კარაბინერები დაცობილ გზებს კაფავენ და დიდძალ პუბლიკას სტადიონისკენ მიუძღვიან — პინოქიოც უეჭველად იქითკენ წავიდოდა.

მართლაც, იტალია — საქართველოს მატჩმა დიდძალი ხალხი მიიზიდა.

18 853 მაყურებელი „კონეროზე“ მეორედ მივიდა. აქამდე ამაზე მეტს მხოლოდ წელიწადნახევრის წინ გამართული და ფრედ, 1:1 დამთავრებული იტალია — ბელარუსი ეხილა. მაშინდელმა 20 735-მა ქომაგმა შემოსავალიც 3 725 ათასი ლირით (დაახლოებით 1 800 დოლარი) მეტი მოუტანა ანკონის მთავარ სარბიელს, ვიდრე ერთი კვირის წინანდელმა 18 853-მა (854 420 000 ლირა).

ამდენი მაყურებელი კი „სტადიო დელ კონეროზე“ სერია A-ს მატჩებს არ დასწრებია „მილანთან“, „ინტერთან“, „იუვენტუსთან“ და „სამპდორიასთან“.

ანკონაში სანახავი უფეხბურთოდაც ბევრია. მაგალითად, წმინდა ჩირიაკოს ტაძარი, ხელოვნების მუზეუმი, სადაც თვით ტიციანის მადონაა ყრმით, კონეროს მთის ნაკრძალი, ანაც რომის იმპერატორ ტრაიანოს ძეგლი და თაღი.

ცხოვრება აკნონაში ნამდვილად არაა ისევე მრავალმხრივი, როგორიც რელიეფი — პელაგოს მთა, რომელიც ასევე ანკონას კომუნაში, ოღონდ სიღრმეშია, ზღვის დონიდან 181 მეტრს აღწევს. ხალხი კი, დაწყებული ზღვის დონიდან, დამთავრებული პელაგოს თხემამდე ერთნაირად თავაზიანი და ყურადღებიანია.

ეგაა, ქალაქის ქუჩებში დღისით, მზისით ბევრს ვერ მოკრავთ თვალს. განცხრომას კი დიდად არც ღამ-ღამობით ეძლევიან. ყოველ შემთხვევაში ასე იყო სამუშაო დღეებში — აკნონის ცენტრში ღია ბარის პოვნა გაგიჭირდებოდათ, ხალხი სახლებში შეკეტილიყო, ხოლო რა ხდებოდა ძველებურ ყაიდაზე შემონახულ დარაბებს მიღმა, ეს ტურისტის თვალით ორ-სამ დღეში ძნელი დასადგენია. თუმცა, დასკვნა მაინც შესაძლებელია, ანკონის მშრომელი მოსახლეობის მარშრუტი მარტივია: ქარხანა — საწოლი.

სამუშაო ადგილი კი ანკონაში დასასვენებელზე მეტია და ნამდვილად არაა საძებნელი — პორტი, გემთმშენებელი ქარხანა, თევზსაჭერი მეურნეობა, შოკოლადის ფაბრიკა.

მაგრამ ანკონა ძირითადად მაინც ტურიზმით ცხოვრობს. ლამის ყოველ მეორეს სახლში სასტუმრო აქვს. ჰოდა ეს ყოველი მეორე ტელევიზორით თუ პირსაბანით კეთილმოწყობილ საძინებელს ისე იაფად აქირავებს, ჩანს, დამქირავებელი ბევრზე ბევრია.

აი, ერთი მაგალითი, იმისა, რომ ანკონელებმა იციან ტურისტის ფასი: ქუჩაში გამვლელს, რომ ვკითხეთ, ჯუზეპე გარიბალდის აღმართი წმინდა ჩირიაკოს ტაძართან თუ მიგვიყვანსო, თავი გადააქნია, არაო და დაფიქრდა. ის იყო, თქმა დავაპირეთ, აბა, ის რა გზაა, რომელიც ტაძართან არ მიგვიყვანსო, მალაზიაში შექანდა, ტაძრის გზა ჩვენს ნაცვლად წვრილ-წვრილად გამოიკითხა და მერე სულ მცირე, ერთ ხუთ ქუჩაზე ისე გაგვიძღვა, გეგონებოდათ, სანამ ჩვენ არ შევაწუხებდით, სხვა საქმე არც ჰქონოდა.

გუასკოს გორაზე მე-18 საუკუნეში აგებული წმინდა ჩირაკოს ტაძარი ანკონას ღირშესანიშნაობათაგან მაინც ყველაზე მეტად შთამბეჭდავია.

ტაძრის ბაქნიდან ქალაქის მთელი სანაპიროს დასავლეთი ანუ ინდუსტრიული ნაწილი მოსჩანს. მოსჩანს პორტი, ხუთკუთხა ლაზარეთი, ხორვატულ რიეკას, ალბანურ შენგინის თუ ბერძნულ პადრას მაკავშირებელი საზღვაო ნავსადგური, ტა პიას კარიბჭე, ძველი ქალაქის კედელი და ტრაიანოს თაღი, რომელსაც გემთმშენებელი ქარხნის უზარმაზარი ამწეები ლამის თავზე დაალაჯებენ.

ანკონაში ტურისტის კულტის კიდევ ერთი გამოვლინება: ეროვნული გუნდის საცხოვრებელ სასტუმრო „სპორტინგიდან“ სტადიონზე მოხვედრა ნაადრევად მსურდა და იქვე, ახლოს გაჩერებაზე „კონეროსკენ“ მიმავალი ავტობუსის ნომერი ვიკითხე. შემრცხვა, ნეტავ არ მეკითხა-მეთქი, ერთ-ერთი მგზავრი თან გადამყვა. ჯერ სადგურამდე იმგზავრა ჩემთან ერთად, მერე იქიდან სტადიონამდე და უკან ბილეთის შესაძენი ჯიხურიც მაპოვნინა და იქვე ჩამომდგარ საგანგებო ავტობუსში (წარწერით „სტადიო დელ კონერო“) რომ დამიგულა, საკუთარ გზას მერეღა დაადგა.



ადრიატიკის ზღვა კონეროს სანაპიროდან



მეორე საუკუნის ძეგლი: ტრაიანოს მარმარილოს თაღი

„კონეროზე“ მოხვედრა, ცხადია, იმაზე ნაკლებად გაჭირდა, ვიდრე წინა დღეს, ფერმოში „ბრუნო რექიონეს“ სტადიო კომუნალემდე მისვლა, მაგრამ საცობი აქაც გვარიანად მჭიდრო იყო. კიდევ კარგი, რომ თადარიგი დროულად დავიჭირე. თანაც პრესის ტრიბუნისწინა შესასვლელთან მობილური ტელეფონით მოლაპარაკე ჯანი კარნევალის გადავეყარე.

„ბათუმის“ ყოფილ მწვრთნელს საუბრის დამთავრებისთანავე ორი დღის წინ მოცემული პირობა შევახსენე, ეგებ საგაზეთოდ გველაპარაკა-მეთქი, სჯობს ეს თბილისში გავაკეთოთ, მას შემდეგ, რაც რამე გაირკვევაო, მირჩია და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები გამომართვა.

— მე მიყვარს საქართველო და მზად ვარ ისევ ჩამოვიდე იქ, „ვიტ ჯორჯიაში“ თუ სხვა კლუბში სამუშაოდ. ჯერჯერობით კი ფედერაციასთან ვთანამშრომლობ და ვნახოთ რა გამოვა — გვითხრა ქართველთა მასპინძელმა კარნევალიმ, რომელმაც საგანგებოდ მოითხოვა სფფ-ს სამკერდე ნიშანი და 10 ოქტომბერს სასტუმრო „სპორტინგიდან“ ფერმოში გამგზავრების წინ მკერდზეც დაიბნია.

ასე რომ, იტალიაში ძნელი არც ისეთი იტალიელის პოვნა იყო, რომელიც ქართველებს ქომაგობდა, ასეთთა რიგში ეგებ ჩვენი ახალგაზრდული გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელი რობერტო ლანდიც გახლდათ — კარნევალიმ მითხრა, ანკონაში ისიც გამოჩენილა.

ნაცნობს დავშორდი და უცხო პიკეტს გადავეყარე. ერთი პირობა, ლამის ვიფიქრე, აქაც ციხის საავადმყოფოდან გაქცეულებს ხომ არ ეძებენ-მეთქი, მაგრამ მალე გავერკვიე, საქმე იქაური საზოგადოება „ანტიშიდსის“ აქტივისტებთან მქონდა.

— დაეხმარეთ შიდსით დაავადებულებს, მოუწოდებდნენ ახალგაზრდები გამვლელ-გამომვლელთ.

დილის მგზავრობის თადარიგის გარდა, ბოლო 2 000 ლირა დამრჩენოდა და თქვენს საქმეს ამით შევეწევი-მეთქი, საკუთარი ფაქსიმილეც არ დავამადლე ხელმოწერების და შემონაწირის შემგროვებელ იტალიელს, რომელსაც, არც გამკვირვებია, სახეზე დიდი აღფრთოვანება ვერ შევატყვე. თუმცა, როცა გაიგო სტუმარი ვიყავი, თანაც საქართველოდან, ორიოდ ტკბილი სიტყვა ჩემთვის მანაც გამოიმეტა.

„კონეროს“ ახალი, კეთილმოწყობილი ოცდარვაათასიანის ცენტრალურ ტრიბუნაზე, ზედ პრესლოჟის ქვევით იტალიაში მყოფ ლამის ყველა ქართველს მოეყარა თავი.

იქ იყვნენ, ოპერის მომღერალი ირინე რატიანი, რომელმაც ქართველთა გულითადი მასპინძლობა გასწია და ტურისტების ჯგუფი, რომელთაც ქომაგობისას ბოლნისის გამგებელი, „სიონის“ ქომაგობაში გამოცდილი ზურაბ ჯაფარიძე დირიჟორობდა.

ტურისტების უმრავლესობამ თბილისამდე ქართული დელეგაციის ტუ-154-ით იფრინა. არა, ტუ ნამდვილად არ იყო უზომო, უბრალოდ, ნამატჩევს ლეგიონერთა უმრავლესობა პირდაპირ ანკონად გაფრინდა საკუთარ ევროპულ კლუბში.

ასე მხოლოდ კიევის დინამოელი კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე არ მოქცეულან. ისინი კიევისკენ გზად, თბილისის აეროპორტის ერთი ტრაპიდან მეორეზე აღმოჩნდნენ და უკრაინაში ისე გაემგზავრნენ.

ანკონაში მატჩის მერე მცირე ხანს სტადიონზე შევყოვნდი, თბილისში ელექტრონული ფოსტით რეპორტაჟის გადმოსაგზავნად და, როცა საგანგებო ავტობუსების გაჩერებას მივადექი უკანა გზის ბილეთი ოხრად დამრჩა. ასეთ დროს კარაბინერიც შენი მეგობარია...

— მარტო ხართ, იტალიურად მკითხა და დადებითი პასუხი რომ მიიღო, წინა ადგილზე მიმითითა პოლიციელმა. მანქანაში უკვე ისხდნენ, როგორც მალევე გაირკვა, შოტლანდიელი დედაშვილი.

— პარლა ინგლეზე — ჩემზე მიუთითა უკანმიბრუნებულმა პოლიციელმა.

— თქვენ ინგლისურად ლაპარაკობთ — გაუხარდა ერთ-ერთ თანამგზავრს.

— დიახ, ქართველი ჟურნალისტი ვარ.

— ქართველი? ტოგდა ვი ნავერნო ზნაეტე ქეცბაია ი კინკლადზე — რუსულად ალაპარაკდა ჩემი ახალი ნაცნობი.

სადგურამდე გზა შორი იყო და ერთხანს ინგლისში მოთამაშე ქართველებზე ვილაპარაკეთ. მერე წინდაუხედავად ვიკითხე, ალი მაკოისტი რასა იქმს, ჩემი ფალავანი იყო-მეთქი.

— გესმის, რას ამბობს, გახარებულმა გადაულაპარაკა ქალიშვილს დედამ.

— ალისტერი ფილმებს იღებს და „კილმარნოკში“ თამაშობს — შოტლანდიურ ფეხბურთში გამანათლა „გლაზგო რეინჯერსის“ უმცროსმა ქომაგმა.

სამაგიეროდ დედა-შვილმა ჩემგან შეიტყო, რომ ქეცბაია ისევ „ნიუკასლის“ სკამზე კი აღარ ზის, არამედ „ვულვერჰემპტონ უონდერერზში“ თამაშობს.

— ნარინჯისფერებს ერთ დროს დიდი გუნდი ჰყავდათ — ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში განსწავლულობაც გამოამჟღავნეს ჩემმა თანამოსაუბრეებმა.

სულ რაღაც სამსაათნახევრის წინ სან მარინოდან დაბრუნებული ჩემი რეზონანსელი კოლეგა აკაკი გვიმრაძე აღფრთოვანებული მიყვებოდა არა ჯუჯასახელმწიფოს ციხე-სიმაგრეთა და ვიწრო ქუჩების სილამაზეზე, არამედ იმაზე, როგორ მოუსოდომ-გორომებია სამიათას შოტლანდიელ ქომაგს ახალი, ათასხუთასიანი სტადიონი.

ეს სწორედ ის კუბოკრულკაბიანი სქოთები ყოფილან, რომლებიც გზად შინისაკენ საქართველოს ნაკრებს „ფალკონარას“ აეროპორტში გადაეყარნენ. შოტლადნიელებს 21-წლიანი შესვენების შემდეგ გამარჯვებული „ფერარის“ უსაზღვროდ პოპულარული, უზარმაზარი დროშაც მიჰქონდათ შინ.

— ალბათ სან მარინოშიც იქნებოდით — იქ დატრიალებულ ცოდვა-მადლზე თვითმხილველთა აზრის მოსასმენად ვკითხე თანამგზავრებს.

— არა — აქ კი გამაკვირვა შვილზე მზრუნველმა დედამ — ჩემს გოგონას ქინქლაძის, ქეცბაიას და იტალიის ნაკრების ნახვა სურდა და პირდაპირ აქ ჩამოვედითო.

ამასობაში სადგურს მივადექით და ჯერ ჩვენს მძღოლს დავემშვიდობეთ სამადლობელი სიტყვებით, მერე კი ერთმანეთს. დროულად უნდა დამეძინა, რომ დილით „ფალკონარას“ აეროპორტში არ დამეგვიანა.

ადრიატიკის სანაპირო თვითმფრინავიდან ხუთშაბათს უკეთესი სანახავი გამოდგა. ქართველებს, რომლებიც პენალტებიანი 0:2-ის მერე იტალიას ხელცარიელნი, მაგრამ გულავსებული სტოვებდნენ, ერთხელაც შეეძლოთ დარწმუნება, ანკონა ველოსპორტზე მეტად ნაოსნობას და სერფინგს ეტანება.

ანკონა უკან დარჩა. წინ კი თბილისი იყო. თბილისი გვიანი შემოდგომით გრაფიკით გამთბარ-განათებული ზამთრის მოლოდინში. მერე გაზაფხულიც მოვა. გაზაფხულზე კი რუმინეთია სამასპინძლო.

**ვახტანგ ჭყიძაძე**
**ანკონა — თბილისი**



IL RESTO DEL CARLINO

ანკონას სტუმრები რატი ალექსიძე, გიორგი ნემსაძე, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი „მასპინძელ“ ირინე რატიანთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ხან ისე და ხან ასეო...

## ცხვრებს არც მგლები ჩამორჩნენ

**თითქოს** ერთმანეთს უყურებენო. ზოგჯერ ისეთი შაბათ-კვირა გამოერევა, ერთთავად ქართველების ქებაში ვართ. ზოგჯერ კი... აი, მაგალითად გასულ უქმეებზე ჩვენებურებმა თავი მაინცდამაინც ვერაფრით გამოიჩინეს. ალბათ, ლიტვა — იტალიაში ჩატარებულმა სანაკრებო მატჩებმაც იმოქმედა, ფეხბურთელებს დიდი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ენერგია წაართვა და გადაღალა. და მაინც...

ფრაიბურგელთაგან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მხოლოდ ლევან კობიაშვილმა ითამაშა. ალექსანდრე იაშვილი და ლევან ცქიტიშვილი სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ. პარასკევს კი დორტმუნდში, მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ სამივე სასტარტო შემადგენლობაში ათამაშა. ვერ ვიტყვით, რომ ცუდად ირჯებოდნენ, მაგრამ არც რაიმე გამოსარჩევი გაუკეთებიათ. ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ „დორტმუნდს" მთელი მატჩის განმავლობაში დიდი უპირატესობა ჰქონდა და მხოლოდ ერთი რომ გაიტანა, ეს ფრაიბურგელთა მეკარის რიხარდ გოლცის დამსახურებაა.

სამაგიეროდ მოიგო არჩილ არველაძის „კიოლნმა". როცა ანგარიში გავიგე, ვიფიქრე, ეგებ ქართველსაც შეეგდო-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ არჩიკო დასაწყისშივე დაშავებულა და მინდორი ნაადრევად დაუტოვებია.

ინგლისში ჩვენებურთა საქმეები ცუდად მიდის. გიო ქინქლაძის „დერბი" შინ „ლივერპულთან" განადგურდა 0:4. მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც, „ცხვრებმა" ისე უსუსურად ითამაშეს, თუ ახლავე რაიმე არ შეცვალეს, პრემიერლიგაში ვერ დარჩებიან. მწვრთნელმა ჯიმ სმიტმა ქინქლაძე წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, ოდნავ წინ წაწია და უშუალოდ თავდამსხმელების სიახლოვეს ითამაშა, მაგრამ გიოს აშკარად ეტყობა, რომ ტრავმა ჯერ ბოლომდე ვერ მოიშუშა. მის მოქმედებას ჩვეული სისხარტე და სიმსუბუქე აკლია.

„ცხვრებს" არც თემურ ქეცბაიას „მგლები" ჩამორჩნენ. მართალია „ვულვზი" უფრო „საპატიო" ანგარიშით დამარცხდა, მაგრამ წაგება წაგებაა. „ვულვერჰემპტონს" „ბოლტონმა" შინ 2:1 მოუგო. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა გაათანაბრეს და კიდევ რამდენიმე სახიფათო კონტრდარტყმაც მოახერხეს, თუმცა მასპინძლები გონს მალევე მოეგნენ და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ქეცბაიამ მხოლოდ ბოლო რვა წუთი ითამაშა.

მეზობელ შოტლანდიაში გიორგი ნემსაძის „დანდიმ" სტუმრად „აბერდინი" დაამარცხა 2:0. მეორე ბურთი დანდელთა დებიუტანტმა, ვარსკვლავყოფილმა არგენტინელმა კლაუდიო კანიჯამ გაიტანა. საგოლე პასი კი მარადონას ძმაკაცს სწორედ ნემსაძემ მისცა.

ამ ტურში არც შვეიცარიულ სამეულს გაუმართლა. ლევან ხომერიკმა რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენა და მისი „არაუ" შინ „სენტ გალენთან" ფრეს (1:1) დასჯერდა. „ციურიხმა" კი სულაც „ლუგანოსთან" წააგო. თამაშის დამთავრებას თითქმის აღარაფერი უკლდა, როცა მიხეილ ყაველაშვილმა მეორე ყვითელი მიიღო და მინდვრის დატოვება ნაადრევად მოუხდა.

„რუსი" ქართველებიდან ამ უქმეებზე მხოლოდ სამმა ითამაშა. მოსკოვის „ლოკომოტივის" ზაზა ჯანაშიამ „როსტსელმაშთან" მინდორზე პირველი 45 წუთი დაჰყო და ერთი გოლიც გაიტანა. მერე კი იმიტომ შეუცვლიათ, რომ გაციებული ყოფილა: „ზაზას სიცხე ჰქონდა და დასუსტებულია" — თქვა მატჩის შემდეგ რკინიგზელთა მწვრთნელმა იური სიომინმა.

როდის გაცივდა ზაზა? ჩვენი ნაკრების ბიჭები რომ ლიტვა — იტალიის მატჩებისთვის ემზადებოდნენ და ტვინშერყეული ზაზა სარეცელს მიჯაჭვული გვეგონა, სწორედ მაშინ ცსკა-სთან ამხანაგური შეხვედრა უთამაშია, მერე გასახდელიდან სველი თმებით გარეთ გამოსულა, ტრიბუნაზე დამჯდარა და გაციებულა.

მიხეილ აშვეთია, ეტყობა აღარ ხუმრობს. უკვე ზედიზედ მეორე ტურია გოლი გააქვს. ამჯერად მიხომ ელისტაში გამოიჩინა თავი. მეხუთე წუთზევე გაიტანა და „ურალანის" განადგურებას დაუდო სათავე. „ალანიამ" სტუმრად 4:0 გაიმარჯვა.

პირველ ლიგაში კი გოჩა გოგრიჭიანს ველარ აკავებენ. ბოლო დროს ტური ისე არ ჩაივლის, გოჩამ არ შეაგდოს. თანაც პენალტების დარტყმაშიც დახელოვნებულა. კალინინგრადის „ბალტიკას" ქართველმა მაშინ გაუტანა, როცა მასპინძლები 1:0 იგებდნენ და თამაშსაც აკონტროლებდნენ. გოგრიჭიანის პენალტი გადამწყვეტი გამოდგა. „ჟემჩუჟინამ" საკუთარი თავისა ირწმუნა და აკი გაიმარჯვა კიდეც.

**სოლომონ გულისაშვილი**



გოჩა გოგრიჭიანს ბოლო დროს ველარ აკავებენ

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:1 | 45 | შეცვალეს | 8 | 2 | 13 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:1 | 90 | | 8 | 1 | 13 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | დორტმუნდი 0:1 | 90 | | 7 | 0 | 13 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ბოხუმი 2:0 | 8 | შეცვალეს | 8 | 1 | 16 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ სავაია | როიტლინგენი | შ | კიკერსი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 8 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ლივერპული 0:4 | 90 | | 6 | 1 | 20 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | სანდერლენდი 0:1 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ბოლტონი 1:2 | 8 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 2 | 16 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | აბერდინი 2:0 | 32 | შეცვლაზე ითამაშა, საგოლე პასი | 10 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ვიტესი 2:3 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 2 | 9 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ნაიმეგენი 0:0 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | გენკი 1:1 | 0 | | 6 | 1 | 7 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ბრიუგე 0:2 | 0 | | 0 | 0 | 17 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ლუგანო 1:2 | 90 | | 13 | 5 | 7 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ლუგანო 1:2 | 88 | გააძევეს | 12 | 5 | 7 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | შ | სენტ გალენი 1:1 | 83 | შეცვალეს | 14 | 5 | 8 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | როსტსელმაში 3:0 | 45 | შეცვალეს, 1 გოლი | 19 | 5 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | სპარტაკი | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ურალანი 4:0 | 90 | 1 გოლი | 18 | 7 | 8 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | ურალანი 4:0 | 0 | | 16 | 0 | 8 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | ზენიტი 0:1 | 0 | სათადარიგო | 6 | -11 | 14 |
| ზურაბ ფოფხაძე | ნ.ნოვგოროდი | ს | ცსკა 0:5 | 90 | გააფრთხილეს | 8 | 1 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ლოკომოტივი 0:3 | 0 | | 0 | 0 | 13 |
| გიორგი დავითნიძე | ურალანი | შ | ალანია 0:4 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 16 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | ტორპედო ზილი | შ | ლ.პეტერბურგი 3:1 | 82 | შეცვალეს, 1 გოლი | 7 | 1 | 2 |
| | ტორპედო ზილი | ს | გაზოვიკი 1:1 | 0 | | 7 | 1 | 2 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | შ | მეტ. ლიპეცკი 1:1 | 90 | 1 გოლი პენ., გააფრთხილეს | 27 | 6 | 18 |
| | ჟემჩუჟინა | ს | ბალტიკა 2:1 | 90 | 1 გოლი პენ. | 28 | 7 | 17 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | ტომი 0:2 | 73 | შეცვალეს | 20 | 0 | 8 |
| | ბალტიკა | შ | ჟემჩუჟინა 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 20 | 0 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | რუბინი 3:0 | 78 | გააძევეს | 21 | 0 | 6 |
| | კრისტალი | ს | სოკოლი 2:6 | 90 | | 22 | 0 | 7 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | ს | ლადა 1:1 | 0 | | 5 | 0 | 12 |
| | ვოლგარი | შ | შინიკი 2:2 | 0 | | 5 | 0 | 8 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | | ტური გამოტოვა | | | 4 | 0 | 2 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | | ტური გამოტოვა | | | 9 | 7 | 2 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | დნიპრო 0:1 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 11 |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | ზაპოროჟია 1:1 | 67 | შეცვალეს | 7 | 1 | 7 |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | შ | ზაპოროჟია 1:1 | 90 | | 4 | 1 | 7 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 9 | 4 | 12 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 9 | 0 | 12 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | ვორსკლა 0:1 | 81 | შეცვალეს | 11 | 2 | 12 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 7 | 1 | 12 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | ვორსკლა 0:1 | 90 | | 4 | 1 | 12 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | ვორსკლა 0:1 | 0 | | 4 | 1 | 12 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ორლენი 1:1 | 45 | შეცვალეს | 4 | 0 | 14 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | შ | პოლიციასი 7:0 | 0 | ნაკრებში იყო გამოძახებული | 16 | 3 | 1 |
| | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 90 | | 17 | 3 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | პოლიციასი 7:0 | 0 | ნაკრებში იყო გამოძახებული | 15 | 4 | 1 |
| | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 45 | შეცვალეს, 1 გოლი | 16 | 5 | 1 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | შ | პოლიციასი 7:0 | 90 | 4 გოლი | 15 | 8 | 1 |
| | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 8 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | პოლიციასი 7:0 | 90 | | 16 | 4 | 1 |
| | სკონტო | შ | დინაბურგი 2:0 | 77 | შეცვალეს | 17 | 4 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | ს | სკონტო 0:7 | 28 | შეცვალეს | 16 | 1 | 7 |
| | პოლიციასი | ს | ვენტსპილსი 0:1 | 75 | შეცვალეს | 17 | 1 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# არაფრისმთქმელი ქაღალდი?



**2001 წლის 31 მაისს** გერმანიის ეროვნული გუნდი უმწვრთნელოდ დარჩება, თუმცა მხოლოდ ერთი დღით, რადგან რუდი ფიოლერის მომავალი მემკვიდრის ვინაობა უკვე ცნობილია. იგი კრისტოფ დაუმი იქნება, რომელიც თავისი მოვალეობის შესრულებას 1 ივნისიდან შეუდგება. 2001 წლის 31 მაისს კიდევ ერთი გუნდი („ლევერკუზენი") დარჩება უმწვრთნელოდ, რადგან მისი ამჟამინდელი თავკაცი ნაკრების მომავალი დამრიგებელი კრისტოფ დაუმია.

ეროვნული გუნდისგან განსხვავებით, „ლევერკუზენის" მომავალი მწვრთნელის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობას რამდენიმე კანდიდატი უკვე შეურჩევია. უფრო ზუსტად, დღესდღეობით ორ კაცს ასახელებენ. ერთი სწორედ რუდი ფიოლერია, მეორე კანდიდატი კი — მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე „ზაარბრიუკენის" თავკაცი კლაუს ტოპმიოლერი.

უმეტესობა დაუმის შემცვლელად მაინც რუდი ფიოლერს ასახელებს. ეს გასაგებიცაა, რადგან ვიდრე ამ ზაფხულს წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ნაკრების გაძღოლაზე თანხმობას იტყოდა, იგი სწორედ ამ გუნდში მუშაობდა — „ლევერკუზენის" მენეჯერი გახლდათ.

კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, „ლევერკუზენის" მომავალი თავკაცის ვინაობას საზოგადოება ახალ წლამდე შეიტყობს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, ეს საკითხი ამ კვირაშივე გადაწყდეს.

უახლოეს დღეებში „ბაიერის" მმართველთა საბჭოს სხდომაა დაგეგმილი, ბევრი რამ სწორედ იქ გაირკვევა. წინასწარ კი ის არის ცნობილი, რომ საბჭოს წევრთა უმეტესობა ფიოლერს და ნაკრებში მის თანაშემწე მიხაელ სკიბეს დანიშვნას უჭერს მხარს. დიახ, ახალ მწვრთნელს ახალი თანაშემწის მოყვანაც მოუწევს, რადგან ლევერკუზენელთა მეორე მწვრთნელი როლანდ კოხი დაუმს მიჰყვება ეროვნულ გუნდში.

სწორედ ამიტომაც ძალიან ბევრს ჰგონია, რომ „ლევერკუზენი" და ქვეყნის საფეხბურთო კავშირი ერთგვარ როქს მოახდენენ — დაუმი კოხითურთ ნაკრებს მიაშურებს, ფიოლერი კი სკიბესთან ერთად „ლევერკუზენში" წავა.

ეს ყველაფერი ქაღალდზე იქნება, თორემ რეალურად ყველაფერი ძველებურად დარჩებაო — ამის მთქმელებიც მოიძებნებიან გერმანიაში.

ვინ იცის...

# რანიერის სიტყვა და საქმე

**„ჩელსიში"** მისვლისას კლაუდიო რანიერიმ განაცხადა, ბლომად ცვლილებებს ელოდეთო. რომც არ ეთქვა, „ჩელსის" ახლანდელი მე-15 ადგილი პრემიერლიგაში მწვრთნელს მაინც აიძულებს, სიახლეებზე იფიქროს.

რანიერიმ შინაურით დაიწყო და პირველი თანამემამულე კრისტიან პანუჩი ჩაწერა შავ სიაში — „ინტერიდან" ერთწლიანი იჯარით აყვანილ მცველს ახლავე შეუძლია შინ დაბრუნება. ოფიციალური ვერსიით, ფეხბურთელი მწვრთნელის ტაქტიკურ სქემას ვერ მოერგო, თუმცა ამბობენ, მისი შერისხვის სხვა მიზეზიც არსებობსო. თურმე დღე არ გავა, პანუჩიმ თანაგუნდელებს გასახდელში საქმე არ გაურჩიოს, რითაც გუნდში განხეთქილება შეაქვს.

ბოლოს გავიხსენოთ, რომ თავის სადებიუტო მატჩში, „სენტ გალენთან" უეფას თასზე, ჩვენებურმა რატი ალექსიძემ სწორედ კრისტიან პანუჩი შეცვალა.

# ვეა სიტის გაეყარა



**ლიბერიელი** ფეხბურთელი ჟორჟ ვეა ინგლისურ „მანჩესტერ სიტიში" ხეირიანად არც მისულა და უკვე გუნდიდან წავიდა. ერთ დროს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელისა და პრემიერლიგაში წლეულს დაბრუნებული „სიტის" ორი დღის წინ გზები გაიყარა.

სიტელებმა ლიბერიელი ვეტერანი თავდამსხმელი წლევანდელი სეზონის წინ დიდი ამბით შეიძინეს. ვეასთან ერთად გუნდში კოსტა-რიკელი პაოლო ვანჩოპეც მივიდა. მანჩესტერელთა მთავარი მწვრთნელი ჯო როილი იმედოვნებდა, ლიბერიულ-კოსტარიკული დუეტით ძლიერი თავდასხმის ხაზს შექმნიდა, მაგრამ ამაოდ. საწყისი ტურების შემხედვარე მწვრთნელმა ვეას გუნდის ძირძველი ფორვარდი, შოტლანდიელი პოლ დიკოვი ამჯობინა. როილი არც ლიბერიელის გატანილმა გოლმა დააკმაყოფილა. და აი, შედეგიც — ვეამ გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა და შესაბამისი ნაბიჯიც გადადგა ანუ „მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი გაწყვიტა.

„ამ მდგომარეობაში თუ აღმოვჩნდებოდი, ვერც წარმოვიდგენდი. საერთოდ არ მათამაშებენ, მე კი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ მიზიდავს. ამიტომ გუნდის თავკაც ჯო როილს შევხვდი და ჩემს მომავალზე ველაპარაკე. საუბრის ბოლოს შევთანხმდით, რომ მე გუნდიდან წავიდოდი. ეს ამ ვითარებიდან ყველაზე კარგი გამოსავალია" — განაცხადა 34 წლის ლიბერიელმა, რომელსაც მეორე დღესვე მარსელის „ოლიმპიკის" წარმომადგენელი დაუკავშირდა და ფრანგულ კლუბში გადასვლა შესთავაზა.

## აზიის თასი

12 ოქტომბრიდან ლიბანის სამ ქალაქში — ტრიპოლიში, ბეირუთსა და სიდონში აზიის მორიგი ჩემპიონატი, ანუ აზიის თასი მიმდინარეობს. კადაფის ქვეყანაში მასპინძლებთან ერთად კონტინენტის თერთმეტმა საუკეთესო ნაკრებმა მოიყარა თავი.

ცხადია, ფავორიტები როგორც ყველგან, აქაც არიან. ჩემპიონობის უპირველეს მაძიებლად ირანის ეროვნული გუნდი ითვლება, ყველა უძლიერესი სპარსიც აქაა — ალი დაეი, მეჰდი მაჰდავიკია, ქარიმ ბაგერი, ხოდადად აზიზი... ძლიერი გუნდი ჩაიყვანა იაპონიამაც, ჰიდეტოში ნაკატას მეთაურობით. აქვეა ყოფილი საბჭოეთიდან აზიაში უძლიერესი უზბეკეთის ეროვნული გუნდიც.

ერთი სიტყვით, ლიბანში გახურებული თამაშებია. ჯერ მხოლოდ ჯგუფური ეტაპის მატჩები მიმდინარეობს.

### A ჯგუფი

I ტური

**ერაყი 2:0 ტაილანდი**

1:0 ხატირი (28), 2:0 მაჰმუდი (59)

**ლიბანი 0:4 ირანი**

0:1 ბაგერი (19), 0:2, 0:3 ქატილი (75, 87), 0:4 დაეი (90)

II ტური

**ლიბანი 2:2 ერაყი**

0:1, 0:2 ხალაფი (4, 22), 1:2 ჩამრური (28), 2:2 შუეიჯი (77)

**ირანი 1:1 ტაილანდი**

0:1 პიტურატანა (12), 1:1 დაეი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| ერაყი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ტაილანდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ლიბანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |



REUTERS

იაპონელმა ნაოჰირო ტაკაჰარამ უზბეკებთან ჰეთ თრიქი შეასრულა

### B ჯგუფი

I ტური

**ქუვეითი 0:0 ინდონეზია**

**სამხრეთ კორეა 2:2 ჩინეთი**

1:0 იუნგ-პიო (29), 1:1 მა მინგიუ (35), 2:1 იუნგ-იო (67), 2:2 ფან ჟუი (65პ)

II ტური

**ქუვეითი 1:0 სამხრეთ კორეა**

1:0 ალ-მუტავა (42)

**ჩინეთი 4:0 ინდონეზია**

1:0 ლი მინგი (1), 2:0 შენ სი (7პ), 3:0 იან ჩენი (15), 4:0 კი ჰონგი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 |
| ქუვეითი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| სამხრეთ კორეა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ინდონეზია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:4 | 1 |

### C ჯგუფი

I ტური

**ყატარი 1:1 უზბეკეთი**

1:0 ბლოში (60), 1:1 კასიმოვი (73)

**იაპონია 4:1 საუდის არაბეთი**

1:0 იანაგისავა (22), 2:0 ტაკაჰარა (37), 3:0 ნანამი (53), 4:0 შინჯი ონო (88), 4:1 როუზო (90ს.ე.)

II ტური

**იაპონია 8:1 უზბეკეთი**

1:0 მორიოკა (7), 2:0 შუნსუკე (14), 3:0, 4:0 ტაკაჰარა (17, 20), 5:0 შუნსუკე (24), 5:1 სერგეევი (28), 6:1 შუნსუკე (49), 7:1 ტაკაჰარა (57), 8:1 მიდეაკი (78)

**საუდის არაბეთი 0:0 ყატარი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 2 | 2 | 0 | 0 | 12:2 | 6 |
| ყატარი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| საუდის არაბეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| უზბეკეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:9 | 1 |

# პუშკაში ავად გამხდარა

**ეჰ, იყო დრო**, ფერენც პუშკაში საფეხბურთო მინდორზე ბრწყინავდა, ხალხი სტადიონზე საგანგებოდ მის სანახავად დადიოდა. ახლა კი...

ფერენც პუშკაშთან რომ მიხვიდეთ და ჰკითხოთ, 50-იან წლებში რას აკეთებდითო, ეგებ ვერც გიპასუხოთ. უნგრული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას მძიმე სენი შეჰყრია, ისეთი, რომლის განკურნებაც შეუძლებელია. პუშკაშს ალცჰაიმერი ჰქონია, სკლეროზის რთული ფორმა, რომელიც თურმე ტვინის უჯრედების სიკვდილსა და საბოლოოდ ადამიანის დალუპვას იწვევს.

„საშიში არაფერია, მას სხეულის სხვადასხვა ორგანოების ტკივილი აწუხებს, ისევე, როგორც მისი ასაკის ყველა ადამიანს" — უარყო გავრცელებული ინფორმაცია სახელოვანი ფეხბურთელის მეუღლემ, თუმცა ის კი დაადასტურა, რომ რამდენიმე დღის წინ მისი ქმარი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ამასობაში ხმა დაირხა, 73 წლის პუშკაში საავადმყოფოში დიდხანს ვერ გაჩერდება, რადგან მის ოჯახს ამის ფინანსური საშუალება არ აქვსო. ამის თქმა იყო და მთელი მადრიდი დაფაცურდა ფულის შესაგროვებლად. ქველმოქმედების სურვილი ბევრმა გამოთქვა, მაგრამ...

„ძალიან გაკვირვებული ვარ. არ ვიცი, როგორ ვრცელდება ასეთი ამბავი. მინდა აღვნიშნო, რომ არანაირი დახმარება არ გვჭირდება" — ჯიუტად იმეორებს თავისას ფეხბურთელის მეუღლე, თუმცა დიდ მადლიერებასაც გამოთქვამს მისი ოჯახისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისა და ყურადღების გამო.

შეგახსენებთ, რომ პუშკაში 50-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. იგი ბუდაპეშტის „ჰონვედის", მადრიდის „რეალისა" და უნგრეთის ნაკრების ლიდერი იყო. საბჭოთა ოკუპაციის გამო სამშობლოდან გაქცეულ ფერენც პუშკაშს თავის დროზე ესპანეთის მოქალაქეობაც კი უბოძეს.

## ფეხბურთის რუკასთან



**შოტლანდიურმა „სელტიკმა"** „დანდის" მეკარე რობერტ დუგლასი 1,5 მილიონ გირვანქად შეიძინა. კლუბებს შორის მოლაპარაკება რამდენიმე კვირას გაგრძელდა და შეთანხმებით დასრულდა. აღსანიშნავია, რომ დუგლასის ყოფილმა გუნდმა, „ლივინგსტონმა" ტრანსფერის შემდეგ გარკვეული თანხა მიიღო. ეს მეკარის „ლივინგსტონიდან" „დანდიში" გადასვლის დროს გაფორმებული კონტრაქტით იყო გათვალისწინებული.

**ინგლისურმა „ევერტონმა" „ჰართსის" მცველ გარი ნეისმიტთან გააფორმა კონტრაქტი და არ არის გამორიცხული, 21 წლის ფეხბურთელმა პრემიერლიგის მომავალ ტურში „ნიუკასლის" წინააღმდეგ ითამაშოს. თავად ნეისმიტმა განაცხადა: „ჩემი მთავარი ამოცანა გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაა. პრემიერლიგა საოცნებო ტურნირია, აქ წარმატების მიღწევის დიდი შესაძლებლობა მაქვს. თუ თავს გამოვიჩენ, ნაკრებში ხშირად მოხვედრაზეც შემეძლება ფიქრი". სააგენტოების ცნობით, ლივერპულურმა კლუბმა შოტლანდიელებს ნეისმიტის სანაცვლოდ 1,75 მილიონი გირვანქა გადაუხადა. „ევერტონში" ისრაელის ნაკრების ნახევარმცველი იდან ტალიც ჩაირიცხა, მისმა კლუბმა ფეთახ თიკვას „მაკაბიმ" კი მილიონი დოლარი მიიღო.**

**საუდის არაბეთის** მწვრთნელი, ჩეხი მილან მაკალა აზიის თასზე იაპონიასთან 1:4 დამარცხების შემდეგ თანამდებობიდან დაითხოვეს. ნაკრებს ამ გათამაშებას პრინცი სულთანი ჩაამთავრებინებს, რომელიც იმავდროულად ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელია. მას ასისტენტობას ნასარ ჯავარი გაუწევს. საუდელები სამი დღის შემდეგ უზბეკეთთან ჯგუფის ბოლო შეხვედრას ჩაატარებენ.

**ირლანდიელი მცველი რიჩარდ დანი „ევერტონიდან" „მანჩესტერ სიტიში" გადავიდა. მანჩესტერულმა კლუბმა მის ხელში ჩასაგდებად 3 მილიონი გირვანქა გაიღო. 21 წლის ფეხბურთელი „მეინ როუდზე" გუშინ ჩავიდა პირადი საკითხების შესათანხმებლად. „სიტის" თავკაცმა ჯო როილმა იმედი გამოთქვა, რომ დანი ახალ კლუბში წარმატებებს მიაღწევს.**

**ნორვეგიის** ნაკრების მწვრთნელი ნილს იოჰან სემბი გადადგომას აღარ აპირებს, რადგან ფეხბურთელებისა და ფედერაციისგან მხარდაჭერა იგრძნო. „არ იქნება სწორი, ახლა გემიდან რომ გადავხტე" — განაცხადა 41 წლის სპეციალისტმა. ნორვეგიის ნაკრებს შინ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე 1989 წლის შემდეგ არ წაეგო, წინა კვირაში კი ვიკინგები ოსლოში უკრაინამ 1:0 დაამარცხა.

**შვედური „ელფსბორგის" ფეხბურთელებს, ფრედერიკ ბერგლუნდს და ანდერს სვენსონს, რომლებმაც ჩემპიონატში ერთად 26 გოლი გაიტანეს, ახლა კარიერის გაგრძელება უცხოეთში სურთ. შვედეთის ნაკრების ნახევარმცველ სვენსონს „ლიდსი", „სანდერლენდი", „ლილი" და „რენი" ეპატიჟება, ბერგლუნდის გადაბირების სურვილი კი „მონაკომ" გამოთქვა.**

# გიჟები

## ფანთა მხეცობამ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა



სოფიელმა ფანებმა სტადიონი ასე დაარბიეს

**ბულგარეთის** ჩემპიონატის სოფიურ დერბიში ცსკა და „ლევსკი" ხვდებოდნენ ერთმანეთს. მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა, თუმცა მთავარი თამაში და მისი შედეგი როდია — სტადიონის მახლობლად ტრაგედია დატრიალდა: 36 წლის მავანი პიროვნება, რომელსაც ფეხბურთთან იქნებ სულაც არაფერი აკავშირებდა, უბედური შემთხვევის მსხვერპლი შეიქნა. სწორედ იმ დროს, როდესაც შეხვედრა დამთავრდა, იგი მეგობრებთან ერთად სტადიონის ახლოს მდებარე კაფეში იჯდა, სტადიონიდან გამოსულმა ერთ-ერთმა ფანმა კი იქ კვამლდენი ბომბი შეაგდო. შედეგად, საწყალი ახალგაზრდა საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ცხადია, დაშავდნენ სხვებიც. ამის გარდა, გადარეულ გულშემატკივრებს გამვლელ ავტობუსებშიც შეუყრიათ ბომბები. შედეგად, ოთხი ადამიანი დაზარალდა.

მატჩის შემდეგ ავტობუსის გაჩერებაზე რვა გიჟმაჟი მოგროვდა და დიდი ცეცხლის გაჩაღება განიზრახა. მათ არ იკმარეს ის, რომ შეხვედრის დროს 30 მაშხალა გაისროლეს, მინდორზე სკამები გადაყარეს, სტადიონის ტაბლო დააზიანეს. საქმეში პოლიცია ჩაერია. ამან კი, ცხადია, მეტი აურზაური გამოიწვია. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, გამოძიება მიმდინარეობს, მაგრამ ამით საქმეს რა ეშველება?

CHAMPIONS LEAGUE

# ლიდსი სტამბოლში ჩავიდა

## დღეს ჩემპიონთა ლიგის IV ტური

*ინტუიცია გვკარნახობს, რომ ჩემპიონთა ლიგაში ოთხშაბათის თამაშებმა სამშაბათის მატჩები უნდა დაჩრდილოს. აბა, „მილანი“ — „ბარსელონა“ და „ლიდსის“ ავადმოსაგონარ სტამბოლში დაბრუნებაა, რაც არის!*

**„მილანს“** „ბოლონიასთან“ მატჩში დემეტრიო ალბერტინი და ოლივერ ბირჰოფი რომ ჰყოლოდა, ეგებ არც დამარცხებულიყო, მაგრამ ალბერტო ძაკერონიმ სხვაგვარად გადაწყვიტა, ჯობს „ბარსელონასთან“ მატჩის წინ დაისვენონო. ძაკერონის კვირას პაოლო მალდინი და ხოსე შამოტიც არ ჰყოლია, ოღონდ სულ სხვა მიზეზით — კაპიტანს გრიპი ჰქონდა, ხოლო არგენტინელი დაჭიმულ კუნთს მკურნალობდა. თუ ისინი დღეისთვის ვერ მომჯობინდნენ, ლუიჯი სალა და როკე ჟუნიორი მათ შესაცვლელად მზად არიან.

„ბარსელონას“ შეებრძოლებიან მილანელი ოლიმპიელებიც. „ლიდსთან“ სირცხვილნაჭამ დიდას კრისტიან აბიატი შეენაცვლება, ნახევარდაცვაში ალბერტინისა და ფრანჩესკო კოკოს ჯენარო გატუზო და მასიმო ამბროზინი შეუერთდებიან, ხოლო ანდრეი შევჩენკოსა და ბირჰოფის მხარდამხარ სტუმართა კარს მათივე თანამემამულე ხოსე მარიც შეუტევს.

ბარსელონელთა პრობლემების თაობაზე ვიცით. ადრე დაშავებულ ხოსეპ გვარდიოლას წინა კვირაში პატრიკ კლუივერტი, მარკ ოვერმარსი, დანი, ხერარდ ლოპესი, ბუდევინ ზენდენი და მიხაელ რაიციგერი შეუერთდნენ. თუმცა გეხსომებათ, რომ განახევრებულმა „ბარსელონამ“ პრიმერადივიზიონის მეხუთე ტურში „სოსიედადი“ გაანადგურა, ხოლო ხავიმ გვარდიოლას ფუნქციებს თავი ბრწყინვალედ გაართვა.

სად „სოსიედადი“ და სად „მილანი“, მაგრამ ლორენს სერა ფერერი ამბობს, იმ მოგებამ რწმენა შეგვმატა და დაგვანახა, რომ ტრავმირებულთა ღირსეულად შემცვლელები ბლომად გვყავსო. ამ აზრს იზიარებს დემეტრიო ალბერტინიც: „ბარსელონას“ საოცარი გარდასახვის უნარი აქვს — რამდენიმე მატჩს ცუდად ჩაატარებს, მერე კი ერთბაშად ათამაშდება. მისი ეს თვისება არ უნდა დავივიწყოთ და ფხიზლად ვიყოთ“.

დღეს „ბარსა“ ზუსტად იმავე შემადგენლობით აპირებს თამაშს, რომლითაც შაბათს ბასკებს შავი დღე აყარა.



REUTERS სტამბოლიდან

დევიდ ოლირი სტამბოლის აეროპორტში: მედიის და პოლიციის გარემოცვაში

„ლიდსს“ არ დავიწყებია სტამბოლში წინა სტუმრობის ამბავი. „ბეშიქთაშსაც“ ახსოვს სამი კვირის წინანდელი სირცხვილი, როცა ლიდსში 0:6 წააგო. გახსენებათა ჯაჭვს თუ გავყვებით, ეგებ უსიამოვნო მოლოდინმა შეგვიპყროს, ამიტომ პირდაპირ შემადგენლობებზე საუბარს შევუდგეთ.

პასკალ ნუმას ძვირად დაუჯდა ლიდსში უხეშობა — უეფას სადისციპლინო კომისიამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდა, რომელთაგან პირველი დღევანდელი იქნება. ასევე დისკვალიფიცირებულია გურაზარ ერმანი, ხოლო ულუსალ ფაზლი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. ამას გასულ უქმეებზე „ტრაბზონსფორისგან“ ძლევაც დავუმატოთ და „ბეშიქთაშის“ იტალიელი მწვრთნელის, ნევიო სკალას თვალებში შიშსაც ამოვიკითხავთ — სტამბოლში „ლიდსთან“ მარცხს მას არ აპატიებენ და თუ ასე არ მოხდა, თურქები ცუდად გვცნობია.

არანაკლები პრობლემები აქვთ ინგლისელებსაც. ქრონიკული ტრავმები ლამის „ლიდსის“ სავიზიტო ბარათად ქცეულა: მაიკლ დაბერი სეზონის ბოლომდე ვერ დაეხმარება გუნდს, კაპიტან ლუკას რადებეს ბარსელონაში ნატკენმა კისერმა შეახსენა თავი, ჯეისონ უილკოქსს ფეხი აქვს მოტეხილი, დევიდ ბეტიც კარგა ხანს ვერ მომჯობინდება, ხოლო ნაიჯელ მარტინს მყესები დაუზიანებია... ბედად, ალან სმიტსაც დისკვალიფიკაცია აქვს.

დევიდ ოლირის ყველაზე მეტად მეკარის საკითხი აღელვებს, რადგან მარტინის შემცვლელ 20 წლის პოლ რობინსონს მხოლოდ ხუთჯერ ღირსებია „ლიდსის“ კარის დაცვა. მიუხედავად ამისა, რობინსონი იმედიანადაა: „არც მეტოქის მეშინია და არც სტამბოლელი მაყურებლისა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად იქნება“.

რამდენიმე სიტყვა სხვა მატჩებზეც: „იუვენტუსს“ დისკვალიფიცირებული ჰყავს ზინედინ ზიდანი და ამბობენ, კარლო ანჩელოტი მის პოზიციაზე ალესანდრო დელ პიეროს დააყენებსო. ტრავმირებულია პაოლო მონტერო, ხოლო ფილიპო ინძაგის გრიპისგან თავი დაუღწევია.

„დეპორტივოს“ დაუბრუნდა ტრავმამოშუშებული ჯალმინია, მაგრამ ხავიერ ირურეტას საუბედუროდ ფრანი, ალდო დუშერი და მაურო სილვა დაშავდნენ.

„ბაიერნმა“ ლიგის წინა ტურში „პარი სენ ჟერმენთან“ წააგო, ხოლო ბუნდესლიგის წინა ტურში „კოტბუსთან“ დამარცხდა. გერმანელებს 287 წუთია, გოლი არ გაუტანიათ. ოტმარ ჰიცფელდი ამბობს, კმარა, დროა, „ბაიერნმა“ მოიგოსო. და თუ დღეს გერმანელებს მართლაც სურთ გამარჯვება, მათ ეს



REUTERS სტამბოლიდან

„ბეშიქთაშის“ ლიდსში განადგურების მოთავე ლი ბოიერი სტამბოლშიც კარგ ხასიათზე ჩავიდა

ჯოვანი ელბერის, პაულო სერჟიოს, შტეფან ეფენბერგისა და იენს იერემისის გარეშე უნდა მოახერხონ. ისე, ამ ფეხბურთელების ტრავმების ამბავი ახალი სულაც არაა. „ბაიერნის“ მეტოქე პსჟ კი ერთადერთი გუნდია ლიგაში, რომელსაც დაშავებული თუ დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს.

„მანჩესტერს“ დაუბრუნდნენ გარი ნევილი და დევიდ ბექჰემი. გაურკვეველია მხოლოდ ენდი კოულის საკითხი, რომლის თამაშის ალბათობაზე სერ ალექს ფერგიუსონმა მოკლედ თქვა: „ვნახოთ“. უფრო რეალურია, რომ ინგლისელებს თავდასხმაში იორკი-შერინგემის წყვილი ჰყავდეთ.

G ჯგუფის მეორე მატჩში „ანდერლეხტს“ სხვა კიეველებთან ერთად კალაძე და დემეტრაძეც ეთამაშებიან, თუმცა უკრაინელთა გუნდს სეზონის ბოლომდე გენადი მოროზი და ვიტალი კოსოვსკი გამოაკლდნენ. აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ 1 ოქტომბრის მერე თამაში არ ჩაუტარებია.

**გიორგი დარჯანია**

## ინგლისი

IX ტური

**მიდლსბრო 1:3 ნიუკასლი**

0:1 შირერი (38), 0:2 გომა (56), 0:3 დაიერი (88), 1:3 დინი (90)

მიდლსბრო: კროსლი, ფესტა, პალისტერი, კუპერი, ფლემინგი (სტამპი 46; მარინელი 58), გორდონი, კარამბეუ, ინსი, მასტო (დინი 75), რიკარდი, ბოკშიჩი

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

ნიუკასლი: გივენი, შარვე, გომა, ა. ჰიუზი, დომი, სოლანო, ლი, სპიდი, დაიერი, კორდონე (ლუა ლუა 75), შირერი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

გაფრთხილება: კუპერი, ჰიუზი, კარამბეუ

31 436 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 9 | 5 | 3 | 1 | 23:8 | 18 |
| არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 15:9 | 18 |
| ნიუკასლი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:8 | 16 |
| ლესტერი | 9 | 4 | 4 | 1 | 7:5 | 16 |
| ლივერპული | 9 | 4 | 3 | 2 | 16:13 | 15 |
| ლიდსი | 8 | 4 | 2 | 2 | 14:10 | 14 |
| ასტონ ვილა | 8 | 3 | 3 | 2 | 11:8 | 12 |
| იფსვიჩი | 9 | 3 | 3 | 3 | 12:11 | 12 |
| ჩარლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:16 | 12 |
| სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:11 | 12 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 |
| სიტი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| ქოვენთრი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:15 | 11 |
| მიდლსბრო | 9 | 2 | 4 | 3 | 15:15 | 10 |
| ჩელსი | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 10 |
| საუთჰემპტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 12:13 | 10 |
| ევერტონი | 9 | 2 | 3 | 4 | 12:16 | 9 |
| ვესტ ჰემი | 9 | 1 | 5 | 3 | 11:12 | 8 |
| ბრედფორდი | 9 | 1 | 3 | 5 | 4:14 | 6 |
| დერბი ქაუნთი | 9 | 0 | 5 | 4 | 14:23 | 5 |

## უკრაინა

მე-11 ტური: ტავრია — მარიუპოლი 1:1; კარპატი — სტალი 2:1; დნიპრო — კრივბასი 1:0; მეტალურგი — ცსკა 1:1; ვორსკლა — ნივა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 11 | 7 | 2 | 2 | 12:8 | 23 |
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 20 |
| შახტარი | 8 | 6 | 1 | 1 | 26:7 | 19 |
| კარპატი | 11 | 6 | 0 | 5 | 19:15 | 18 |
| მეტალურგი | 10 | 5 | 3 | 2 | 12:10 | 18 |
| ტავრია | 10 | 4 | 4 | 2 | 13:10 | 16 |
| მარიუპოლი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 |
| ცსკა | 10 | 3 | 5 | 2 | 11:8 | 14 |
| ზაპოროჟიე | 10 | 4 | 1 | 5 | 12:16 | 13 |
| მეტალისტი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:15 | 12 |
| კრივბასი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:12 | 11 |
| ნივა | 11 | 2 | 3 | 6 | 12:21 | 9 |
| ვორსკლა | 10 | 1 | 1 | 8 | 3:14 | 4 |
| სტალი | 11 | 1 | 1 | 9 | 8:21 | 4 |

## ლიტვა

34-ე ტური: ჟალგირისი — კარედა 2:3; დაინავა — ატლანტასი 0:1; პოლონია — ინკარასი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 33 | 23 | 7 | 3 | 100:26 | 76 |
| კაუნასი | 31 | 21 | 8 | 2 | 93:21 | 71 |
| ატლანტასი | 33 | 21 | 3 | 9 | 67:37 | 66 |
| ეკრანასი | 32 | 17 | 7 | 8 | 53:25 | 58 |
| კარედა | 34 | 16 | 9 | 9 | 52:45 | 57 |
| ნევეჟისი | 32 | 10 | 12 | 10 | 29:39 | 42 |
| დაინავა | 33 | 7 | 8 | 18 | 31:64 | 29 |
| პოლონია | 33 | 6 | 6 | 21 | 27:79 | 24 |
| ინკარასი | 33 | 4 | 6 | 23 | 23:85 | 18 |
| ბანგა | 32 | 2 | 6 | 24 | 17:71 | 12 |

## დანია

მე-12 ტური: ლიუნგბიუ — ბრონდბიუ 3:0; ოლბორგი — ჰერფიოლგე 2:2; აკადემისკი — სილკებორგი 0:1; ჰადერსლევი — ვიბორგი 0:4; კოპენჰაგენი — ორჰუსი 4:0; ოდენსე — მიდტიულანდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდტიულანდი | 12 | 7 | 3 | 2 | 21:12 | 24 |
| ლიუნგბიუ | 12 | 8 | 0 | 4 | 21:18 | 24 |
| ბრონდბიუ | 12 | 7 | 2 | 3 | 33:13 | 23 |
| კოპენჰაგენი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:7 | 23 |
| სილკებორგი | 12 | 6 | 5 | 1 | 16:14 | 23 |
| ვიბორგი | 12 | 5 | 4 | 3 | 16:8 | 19 |
| ოდენსე | 12 | 5 | 1 | 6 | 19:13 | 16 |
| ოლბორგი | 12 | 4 | 2 | 6 | 17:20 | 14 |
| აკადემისკი | 12 | 3 | 4 | 5 | 16:17 | 13 |
| ჰერფიოლგე | 12 | 3 | 2 | 7 | 15:27 | 11 |
| ორჰუსი | 12 | 3 | 1 | 8 | 12:26 | 10 |
| ჰადერსლევი | 12 | 0 | 2 | 10 | 11:40 | 2 |

## ნორვეგია

25-ე ტური: ლილესტრიომი — ბრანი 1:2; რუსენბორგი — ბრინი 9:0; სტარტი — ბოდიო გლიმტი 2:2; ტრომსიო — ჰაუგესუნდი 5:2; ვიკინგი — მოსი 1:2; მოლდე — სტაბეკი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 25 | 16 | 5 | 4 | 60:25 | 53 |
| ვიკინგი | 25 | 13 | 5 | 7 | 50:38 | 44 |
| ბრანი | 25 | 13 | 5 | 7 | 49:40 | 44 |
| სტაბეკი | 25 | 12 | 5 | 8 | 58:32 | 41 |
| ტრომსიო | 25 | 12 | 5 | 8 | 47:45 | 41 |
| მოლდე | 25 | 11 | 7 | 7 | 46:43 | 40 |
| ლილესტრიომი | 24 | 10 | 7 | 7 | 38:25 | 37 |
| ოდ გრენლანდი | 24 | 10 | 5 | 9 | 36:30 | 35 |
| მოსი | 25 | 8 | 7 | 10 | 37:43 | 31 |
| ბოდიო გლიმტი | 25 | 6 | 10 | 9 | 47:55 | 28 |
| ბრინი | 25 | 6 | 6 | 13 | 31:60 | 24 |
| ვოლერენგა | 24 | 4 | 9 | 11 | 29:40 | 21 |
| სტარტი | 24 | 5 | 6 | 13 | 37:59 | 21 |
| ჰაუგესუნდი | 25 | 4 | 4 | 17 | 32:62 | 16 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. VIII ტური

**ნიურნბერგი 2:1 გლადბახი**

1:0 შტოილასი (33), 2:0 იობანსონი (46), 2:1 ძასნი (48)

## შვედეთი

23-ე ტური: ჰალმსტადი — ფრიოლუნდა 2:0; ტრელებორგი — აიკ 2:4; ჰაკენი — ჰელსინგბორგი 3:1; ელფსბორგი — გიოტებორგი 3:0; იორებრო — გაის 0:2; იორგრიტე — სუნდსვალი 1:0; ჰამარბი — ნორჩიოპინგი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 23 | 15 | 4 | 4 | 44:21 | 49 |
| ელფსბორგი | 23 | 13 | 2 | 8 | 41:33 | 41 |
| აიკ | 23 | 12 | 4 | 7 | 34:27 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 23 | 12 | 3 | 8 | 44:28 | 39 |
| იორგრიტე | 23 | 11 | 3 | 9 | 29:25 | 36 |
| გიოტებორგი | 23 | 9 | 8 | 6 | 35:30 | 35 |
| ტრელებორგი | 23 | 8 | 8 | 7 | 25:24 | 32 |
| ნორჩიოპინგი | 23 | 7 | 10 | 6 | 37:26 | 31 |
| იორებრო | 23 | 8 | 6 | 9 | 37:35 | 30 |
| ჰამარბი | 23 | 8 | 6 | 9 | 28:34 | 30 |
| სუნდსვალი | 23 | 6 | 7 | 10 | 28:35 | 25 |
| ჰაკენი | 23 | 4 | 11 | 8 | 33:41 | 23 |
| გაის | 23 | 3 | 8 | 12 | 21:37 | 17 |
| ფრიოლუნდა | 23 | 2 | 6 | 15 | 15:55 | 12 |

## ჩეხეთი

მე-10 ტური: პლზენი — ტეპლიცე 0:2; ბლშანი — იაბლონეცი 4:0; სინოტი — სიგმა 3:1; ლიბერეცი — ბანიკი 3:0; დრნოვიცე — პრჟიბრამი 0:1; ბოჰემიანსი — სპარტა 4:2; სლავია — ბრნო 2:1; ბუდეიოვიცე — ჟიჟკოვი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 10 | 7 | 2 | 1 | 20:6 | 23 |
| სპარტა | 8 | 7 | 0 | 1 | 24:7 | 21 |
| სინოტი | 9 | 4 | 4 | 1 | 16:7 | 16 |
| ბოჰემიანსი | 10 | 3 | 6 | 1 | 15:9 | 15 |
| სიგმა | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 |
| სლავია | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| ტეპლიცე | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| პრჟიბრამი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:11 | 13 |
| ჟიჟკოვი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:17 | 11 |
| ბანიკი | 10 | 2 | 4 | 4 | 8:15 | 10 |
| ბლშანი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:11 | 9 |
| დრნოვიცე | 10 | 3 | 0 | 7 | 10:17 | 9 |
| პლზენი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:22 | 7 |
| იაბლონეცი | 9 | 1 | 3 | 5 | 8:18 | 6 |
| ბუდეიოვიცე | 7 | 1 | 2 | 4 | 6:15 | 5 |
| ბრნო | 7 | 1 | 1 | 5 | 7:12 | 4 |

## იტალია

სერია C1/B

მე-7 ტურის მატჩი: მესინა — ნოჩერინა 1:1

## პოლონეთი

მე-10 ტური: შლიონსკი — ვისლა 0:1; პოლონია — რაძიონკოვი 2:1; სტომილი — ზაგლებე 1:3; პოგონი — ვიძევი 3:0; ოდრა — გროცლინი 2:1; კატოვიცე — ლეგია 1:0; რუხი — პლოცკი 1:1; ამიცა — გურნიკი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 10 | 8 | 1 | 1 | 25:6 | 25 |
| პოგონი | 10 | 7 | 2 | 1 | 15:6 | 23 |
| პოლონია | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 20 |
| ლეგია | 10 | 5 | 4 | 1 | 11:5 | 19 |
| ამიცა | 10 | 5 | 3 | 2 | 18:12 | 18 |
| ზაგლებე | 10 | 5 | 1 | 4 | 15:12 | 16 |
| ოდრა | 10 | 4 | 2 | 4 | 10:13 | 14 |
| სტომილი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:16 | 13 |
| ვიძევი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:18 | 12 |
| პლოცკი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:13 | 11 |
| გროცლინი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | 11 |
| კატოვიცე | 10 | 1 | 7 | 2 | 4:6 | 10 |
| შლიონსკი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:15 | 9 |
| რუხი | 10 | 2 | 3 | 5 | 10:16 | 9 |
| რაძიონკოვი | 10 | 2 | 0 | 8 | 9:19 | 6 |
| გურნიკი | 10 | 1 | 2 | 7 | 9:16 | 5 |

## არგენტინა

მე-10 ტური: რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 1:1; ესტუდიანტესი — რასინგი 1:1; ბელგრანო — ნიუელს ოლდ ბოიზი 5:1; ველეს სარსფილდი — ჩაკარიტა ხუნიორსი 1:0; ტალერესი — ინდეპენდიენტე 2:1; ურაკანი — უნიონი 0:1; კოლონი — სან ლორენსო 3:2; როსარიო სენტრალი — ლოს ანდესი 6:2; ალმაგრო — ხიმნასია ლა პლატა 0:1; ლანუსი — არგენტინოს ხუნიორსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 11 | 8 | 3 | 0 | 24:10 | 27 |
| რივერ პლეიტი | 10 | 6 | 3 | 1 | 21:9 | 21 |
| ლა პლატა | 10 | 6 | 3 | 1 | 20:14 | 21 |
| ტალერესი | 10 | 6 | 2 | 2 | 17:10 | 20 |
| კოლონი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:12 | 17 |
| სან ლორენსო | 10 | 5 | 1 | 4 | 18:12 | 16 |
| ესტუდიანტესი | 9 | 4 | 4 | 1 | 12:8 | 16 |
| ველესი | 10 | 4 | 4 | 2 | 11:8 | 16 |
| ურაკანი | 10 | 4 | 3 | 3 | 12:9 | 15 |
| ჩაკარიტა | 10 | 3 | 3 | 4 | 6:9 | 12 |
| უნიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:10 | 12 |
| ოლდ ბოიზი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:14 | 12 |
| ბელგრანო | 10 | 1 | 7 | 2 | 15:14 | 10 |
| არგ. ხუნიორსი | 10 | 1 | 7 | 2 | 9:10 | 10 |
| ლოს ანდესი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:27 | 9 |
| ლანუსი | 10 | 2 | 2 | 6 | 14:17 | 8 |
| როსარიო | 10 | 1 | 4 | 5 | 15:20 | 7 |
| ინდეპენდიენტე | 10 | 1 | 4 | 5 | 7:12 | 7 |
| რასინგი | 10 | 0 | 5 | 5 | 5:15 | 5 |
| ალმაგრო | 10 | 0 | 4 | 6 | 4:14 | 4 |

## უნგრეთი

XII ტური

A ჯგუფი

ფერენცვაროში — ნიირშეგი 2:0; ტატაბანია — ჰონვედი 2:0; შოპრონი — დიორ ეტო 2:1; ჰალადაში — დუნაფერი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტატაბანია | 12 | 7 | 4 | 1 | 25:15 | 25 |
| დუნაფერი | 12 | 6 | 5 | 1 | 30:17 | 23 |
| შოპრონი | 12 | 6 | 1 | 5 | 20:21 | 19 |
| ფერენცვაროში | 12 | 5 | 3 | 4 | 21:19 | 18 |
| დიორ ეტო | 12 | 5 | 2 | 5 | 17:18 | 17 |
| ჰონვედი | 12 | 2 | 5 | 5 | 16:20 | 11 |
| ჰალადაში | 12 | 2 | 4 | 6 | 13:22 | 10 |
| ნიირშეგი | 12 | 3 | 0 | 9 | 8:18 | 9 |

B ჯგუფი

პეჩი — ნადიკანიჟა 5:1; ზალაეგერსეგი — უიპეშტი 0:2; მტკ — ვაშაში 1:2; დებრეცენი — ვიდეოტონი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 12 | 8 | 3 | 1 | 29:8 | 27 |
| უიპეშტი | 12 | 6 | 3 | 3 | 28:16 | 21 |
| დებრეცენი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:16 | 20 |
| ვაშაში | 12 | 5 | 4 | 3 | 17:10 | 19 |
| ვიდეოტონი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:18 | 15 |
| ზალაეგერსეგი | 12 | 2 | 7 | 3 | 9:17 | 13 |
| პეჩი | 12 | 2 | 2 | 8 | 10:20 | 8 |
| ნადიკანიჟა | 12 | 2 | 2 | 8 | 10:35 | 8 |

## რუმინეთი

მე-9 ტური: ჩაჰლაული — დინამო 3:3; რაპიდი — ნაციონალი 2:2; სტიაუა — ასტრა 1:3; პეტროლული — როკარი 1:1; ბაკეუ — ბრაშოვი 1:1; გაც მეტანი — ფორესტა 1:1; არჯეში — გლორია 1:1; ოცელული — უნივერსიტატეა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტატეა | 9 | 5 | 3 | 1 | 12:6 | 18 |
| სტიაუა | 9 | 5 | 2 | 2 | 19:15 | 17 |
| პეტროლული | 9 | 5 | 2 | 2 | 14:10 | 17 |
| ოცელული | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 15 |
| ბრაშოვი | 9 | 4 | 3 | 2 | 5:3 | 15 |
| როკარი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:14 | 14 |
| არჯეში | 9 | 4 | 2 | 3 | 9:12 | 14 |
| რაპიდი | 9 | 3 | 3 | 3 | 10:9 | 12 |
| დინამო | 9 | 3 | 3 | 3 | 15:15 | 12 |
| ბაკეუ | 9 | 3 | 3 | 3 | 14:14 | 12 |
| ფორესტა | 9 | 3 | 3 | 3 | 12:13 | 12 |
| ასტრა | 9 | 3 | 1 | 5 | 9:11 | 10 |
| გლორია | 9 | 2 | 3 | 4 | 7:10 | 9 |
| ნაციონალი | 9 | 2 | 2 | 5 | 13:15 | 8 |
| ჩაჰლაული | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | 6 |
| გაც მეტანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:10 | 5 |

# ყველა ფიცი ფიცია?

*საჭიროა გუნდში დისციპლინა? ცხადია, ოღონდ ხშირად ივიწყებენ ხოლმე. დასაშვებია თუ არა მსაჯის ცემა? ცხადია, არა, ოღონდ...*

*ქვემოთ ამ ორ პატარა ამბავში ამაზე ვისაუბროთ.*

## დასასჯელი მე ვარ მხოლოდ

**ალბანეთის** ჩემპიონის, „ტირანას" უნგრელი მწვრთნელი მიკლოშ ტემეშვარი როგორი სპეციალისტია, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ მისებრ მოწესრიგებული ალბანთა ქვეყანაში არავინაა. კლუბში მისვლის პირველივე დღეს მან ფეხბურთელები შეკრიბა და ახალი წესები გააცნო, რომლებსაც „ტირანაში" ისეთივე ძალა აქვთ, როგორიც კონსტიტუციას (ნორმალურ ქვეყნებში). ეგრეთ წოდებული „ტემეშვარის კანონები" „ხამურაბის კანონებთან" (ბაბილონელი მეფე იყო) შედარებით მეტად მარტივია და სულ რამდენიმე პუნქტს შეიცავს: ვარჯიშზე დაგვიანებისთვის — ჯარიმა, ყვითელი ბარათის მიღებისთვის — ჯარიმა, წითელი ბარათისთვის — ჯარიმა. ესაა და ეს.

ორიოდე დღის წინ უცნაური შემთხვევა მოხდა. ტემეშვარის ჩვევად აქვს, ბაზაზე ვარჯიშის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მიდის და იქაურობას ამოწმებს. იმ დღეს დაიგვიანა, რის გამოც ვარჯიშის დაწყება ორი წუთით გადაიდო.

რა არის ორი წუთი? თითქოს არაფერი, ბევრი ვერც შეამჩნევდა, ტემეშვარისთვის კი ორწუთიანი დაყოვნება თავისივე კანონის დარღვევაა. ჰოდა, მწვრთნელმა უყოყმანოდ ამოიღო ჯიბიდან ფული და მაგიდაზე დადო, მერე თავის თარჯიმანს მიუბრუნდა და იგივეს გაკეთება მოსთხოვა.

მოგვიანებით თარჯიმანმა განმარტა, გზად საცობში მოვხვდითო, თუმცა ტემეშვარის თავის მართლება, ჩემგან დამოუკიდებელმა მიზეზმა შემაფერხაო, აზრადაც არ მოსვლია.

ჩვენს კლუბებში როგორაა დისციპლინის საქმე?

## პრეზიდენტო, შე ფეხმოტეხილო

**სანამ** მთავარ სათქმელს მივადგებოდეთ, ბრაზილიის ჩემპიონატის სტრუქტურა გავიხსენოთ. წლეულს ჩემპიონატს ჟოაო აველანჟის თასი უწოდეს და 116 გუნდი თამაშობს, რომლებიც სამ დივიზიონად არიან დაყოფილნი. პირველი დივიზიონის 12, მეორე დივიზიონის 3 და მესამე დივიზიონის ერთი საუკეთესო გუნდები შემდეგ ეტაპზე გადიან და მერვედფინალებში განაგრძობენ ბრძოლას.

სახელოვან „ფლამენგოს" არცთუ სახარბიელოდ აქვს საქმე. ის ჯერჯერობით მე-15 ადგილზეა და შესაძლოა პირველი დივიზიონის თორმეტ საუკეთესოს შორის ვერ მოხვდეს.

წინა ტურში (ტურის ნომერსაც წესიერად ვერ გაიგებს კაცი: ზოგს 19 მატჩი გაუმართავს, ზოგს — 15) „ფლამენგო" „რესიფეს" მასპინძლობდა. ყველაფერი კარგად დაიწყო, დენილსონმა მასპინძლები დააწინაურა. მერე მონასტერი აირია, მსაჯმა ოსკარ რობერტო დე გოდოიმ დენილსონი და ატირსონი კამათისთვის გააძევა. ცხრა ფლამენგოელმა მეტოქის ზეწოლას ვეღარ გაუძლო და 1:2 დამარცხდა.

მასპინძლები გაცოფდნენ, მეტადრე კი მათი პრეზიდენტი ედმუნდო სანტუშ სილვა. როგორი საქმეა, დენილსონსა და ატირსონში 30 მილიონი დოლარი გადაუხდია, მსაჯი კი მათ მინდვრიდან აგდებს და გუნდს მე-15 ადგილიდან თავის დაღწევის შანსს არ აძლევს.

მოკლედ, წამოხტა ეს პატივცემული კაცი და გაეკიდა მსაჯს — ცხადია, მადლობის გადასახდელად არა. მსაჯმა საფრთხე იგრძნო და გასახდელისკენ გაიქცა. უკვე გასახდელის კიბეებზე რომ მირბოდნენ, პრეზიდენტს ფეხი დაუცდა, დაგორდა და კოჭი მოიტეხა.

ცალკე ტკივილმა და ცალკე ბოლმამ ისე გაამწარა სილვა, რომ დაიფიცა, გოდოის ფეხი არ იქნება „ფლამენგოს" მატჩებზეო. ნეტავ, აასრულებს სიტყვას?

**გიორგი დარჯანია**

# ილოცე, ფრაიბურგო!



ანდრეას მიოლერი ზეგ მესამე ბავშვს, კვირას კი სამ ქულას ელის

**კვირას** ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეცხრე ტურში „ქართული" „ფრაიბურგი" გათამაშების ლიდერ გელზერკირხენის „შალკეს" მასპინძლობს. ამ მატჩამდე შესაძლოა „შალკესთვის" ერთი კარგი ამბავი მოხდეს. კერძოდ, შალკელთა ვეტერანი ფეხბურთელი, გერმანიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ანდრეას მიოლერი პარასკევს მესამე ბავშვს ელოდება, თან „ფრაიბურგს" ემუქრება, პატარის დაბადება კარგი თამაშით უნდა „დავასველოო".

„ექიმებმა მითხრეს, ბავშვი პარასკევს გაჩნდებაო. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. პირველი ორი გოგო რომ მეყოლა, მაშინ დღე ზუსტად გამოიცნეს, არც ახლა შეცდებიან. ასე რომ, პარასკევს სამშობიაროში ვიქნები, კვირას კი მინდორზე. შვილის შეძენის შემდეგ მთელი ჯიგრით ვითამაშებ და „ფრაიბურგს" შავ დღეში ჩავაგდებთ" — ენაწყლიანია მიოლერი.

ეტყობა, ანდიმ ბავშვის სქესიც წინასწარ იცის, თორემ არა გვგონია, მესამე გოგო რომ შეეძინოს, მინდორზე გასვლისა და ჯიგრიანად თამაშის სურვილი გაუჩნდეს.

ჰოდა, ილოცე, „ფრაიბურგო", ექიმების პროგნოზი მცდარი აღმოჩნდეს და... ანდრეასის ძე (იქნებ ასულმა) მიოლერმა დაბადება ნავარაუდევს ორი დღით მაინც გადააცილოს.



რომის პაპი იოანე პავლე II

# ფეხბურთი და რელიგია

## რომის პაპი ლაციოელია

**ვატიკანში** კათოლიკეთა უპირველეს სულიერ წინამძღვარს, რომის პაპს იოანე პავლე მეორეს იტალიის ჩემპიონის „ლაციოს" დელეგაცია ეწვია პრეზიდენტ სერჯო კრანიოტისა და მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონის ხელმძღვანელობით. მიწვეულნი იყვნენ რომაული კლუბის ფეხბურთელებიც: ერნან კრესპო, ფერნანდო კოუტუ, ფაბრიციო რავანელი და პაოლო ორლანდონი ოჯახებითურთ.

„ეს იყო ჩემს ცხოვრებაში უმშვენიერესი დღე — აღნიშნა მსოფლიოში მეორე ძვირადღირებულმა ფეხბურთელმა ერნან კრესპომ — ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე მას ხელს ჩამოვართმევდი. მეამაყება, რომ კათოლიკეთა სულიერი მამის გვერდით ვიდექი".

პაპს „ლაციოს" ფორმა აჩუქეს. ახლა პავლე მეორეს გუნდში თავისი ნომერი აქვს — 80-ნომრიან სამოსს ვოიტილა აწერია, რომის პაპის გვარი.

ეს შეხვედრა რომის კათოლიკური ეკლესიის იუბილესადმი მიძღვნილი ცერემონიალის ერთ-ერთი ნაწილი გახლდათ.

# დაზარალებული დასაჯეს

**მსაჯმა** ორი წამის განმავლობაში ორჯერ ჩასტვინა — მატჩის დაწყების ნიშნად და მაშინ, როცა ჯიბიდან წითელი ბარათი ამოიღო. თურმე ასეც ხდება.

უსწრაფესი გაძევების ახალი რეკორდი ინგლისში დამყარდა, იქაურ სამოყვარულო ლიგაში. „კროს ფარმ პარკ სელტიკის" მოთამაშემ ლი ტოდი არბიტრ პიტ კერლის გვერდით იდგა, როცა მისი სასტვენის ხმამ ლამის ყური გაუხეთქა. წარმოიდგინეთ ფეხბურთელის მდგომარეობა, არც ის გაგიკვირდეთ, რომ თავისთვის ჩაიბურტყუნა: „უჰ, შენი"... სწორედ ამ სიტყვებისთვის აუფრიალეს წითელი ბარათი. ეს კიდევ არაფერი, ტოდს 30 გირვანქა ჯარიმა დაეკისრა და 35-დღიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო.

ფეხბურთელი აღშფოთებულია და ჩივილს აპირებს: „კინაღამ დავყრუვდი და უნებურად რაღაც ჩავილაპარაკე. მსაჯი კიდევ ამტკიცებს, შეურაცხყოფა მომაყენაო. გამაგიჟებს ეს კაცი, ნეტავ, ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, რას იზამდა?"

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08
Fax: 94 33 80

# პიპო კრეფს სოკოებს, კითხულობს ტრილერებს

**პიაჩენცაში** დაბადებული ფილიპო ინძაგი იტალიის მასშტაბით ჯერ კიდევ „ატლანტაში" გამოირჩა, განსაკუთრებით ძლიერი სეზონი კი 1996-97 წლებში ჩაატარა. მერე ისე მოხდა, რომ პერსპექტიული ფორვარდი „იუვენტუსმა" ჩაიგდო ხელში. „ბებერ ქალბატონს" იმხანად მარჩელო ლიპი წვრთნიდა, რომელმაც პიპო ტურინში გადაიბირა და შეტევის ხაზში ალესანდრო დელ პიეროს შეუწყვილა.

აი, რას ფიქრობს პიპო ინძაგიზე „იუვენტუსის" ამჟამინდელი თავკაცი კარლო ანჩელოტი: „ფილიპოს საუკეთესო თვისება გოლის გატანის უტყუარი ალღოა, თუმც ბოლოხანს მან დაამტკიცა, რომ მხოლოდ მეტოქის კარის დალაშქვრა არ ეხერხება და თანაგუნდელებსაც ჩინებულ ასისტენტობას უწევს."

27 წლის ფეხბურთელს თურმე თევზაობა და სოკოს კრეფა იტაცებს. იგი ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით სპორტულ ჟურნალებსა და ტრილერებს. ზაფხულის არდადაგებს უფრო ხშირად სარდინიაზე ატარებს. ტოპმოდელთა შორის ფილიპოს რჩეული მეგან გეილია, რომელიც, სხვათა შორის, მის თანაგუნდელსა და კაპიტანს, ანტონიო კონტესაც ძლიერ ხიბლავს. ისე, კონტესა და ინძაგის გემოვნება სხვა რამეშიც ემთხვევა — მულტპერსონაჟებიდან პიპოსაც მიკი მაუსი მოსწონს.

თუ ინძაგის თამაში გიტაცებთ და გსურთ, მას რაიმე ჰკითხოთ, „იუვენტუსის" საინტერნეტო გვერდი მოძებნეთ. იქ არა მარტო პიპოს, თქვენს რჩეულ ნებისმიერ ტურინელ ფეხბურთელს სთხოვთ აზრის გამოთქმას. იუვენტუსელებიც არ დაიზარებენ და გიპასუხებენ. ამას წინათ ფანებისთვის საინტერესო საკითხებზე „სუპერპიპომ" ისაუბრა. პირველი კითხვა მას 14 წლის მავანმა მალეომ დაუსვა.

***ამ სეზონში რას ელით და საერთოდ, „იუვენტუსში" რამდენ ხანს დარჩებით?***

წლევანდელი სეზონი ისეთივე რთული იქნება, როგორიც ყველა წინამორბედი. ჩვენ, როგორც ყოველთვის, სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ. თუმცა, გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგაში ვთამაშობთ და იქაც გვსურს წარმატების მიღწევა. საამისოდ დიდი მუშაობაა საჭირო. ცხადია, გზად წინააღმდეგობებიც შეგვხვდება. ჩამოვთვალო, იტალიის ჩემპიონობისთვის რამდენი გუნდის იბრძვის? რაც შეეხება „იუვენტუსში" დარჩენას, მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, ამ კლუბს არასდროს მივატოვებდი.

9 წლის გეორგიოს უფრო სხვა რამ აინტერესებს:

***რეალურად თუ არის იმის შანსი, რომ ჩემპიონთა ლიგა და სკუდეტო მოიგოთ? ოთახში ვისთან ერთად ცხოვრობთ? ოჯახის მოსანახულებლად ხშირად მიდიხართ? და საერთოდ, ქუჩაში ჩვეულებრივად გავლა თუ შეგიძლიათ? ალბათ, ძალიან ხშირად გაჩერებენ. თუნდაც ავტოგრაფისთვის.***

დავიწყოთ იმით, რომ ჩემპიონთა ლიგის და იტალიის ჩემპიონატის ერთად მოგება ურთულესი საქმეა. ორივე უმაღლესი დონის ტურნირია, მაგრამ „იუვენტუსს" ამის მიღწევა ძალუძს. ახლა მეორე კითხვა... ოთახში არავისთან ერთად არ ვცხოვრობ. მარტო ყოფნას ვამჯობინებ, ბავშვობიდან ასე დავეჩვიე. ოჯახიც ძალიან მენატრება. ვახერხებ მათ მონახულებას. ტურინში კი ისე ვერ გამივლია, ვინმემ არ შემაჩეროს. განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში, ხალხმრავალ ადგილებში მამჩნევენ. გულშემატკივართა ყურადღება ძალიან მსიამოვნებს.

***თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?***

— სამწუხაროდ, თავისუფალი დრო ცოტა მრჩება. თუმცა როგორც კი მომენტს ხელთ ვიგდებ, მეგობრებთან მივდივარ. ხანდახან კი უბრალოდ შინ ვარ და ტელევიზორს ვუყურებ, ანაც ვკითხულობ.

**ნიკა ზუბლაძე**



ფილიპო ინძაგის გოლების გატანა, თევზაობა და სოკოს კრეფა უყვარს

იყიდება
ბილიარდის მაგიდა
(1.50×2.80)
კარგ მდგომარეობაში

☎ 95 00 66

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. მე-13 ტური** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 012 | ფულემი-კრისტალ პალასი | 1,35 | 3,6 | 6,5 |
| 23.45 | 013 | უიმბლდონი-ბლექბერნი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. მე-13 ტური** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 037 | ბრაიტონი-ჰარტლპული | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| | | **ჩეხეთი** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 20.00 | 038 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **თურქეთი** | | | |
| | | **19 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 039 | ანთალია-გაზიანთეფი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **ნორვეგია** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 22.00 | 042 | სტარტი-ლილესტრიომი | 1,8 | 3,3 | 2,5 |
| | | **ჰოლანდია. თასის 1/16 ფინალი** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 043 | დენ ბოსხი-როზენდალი | 1,8 | 3,3 | 3,4 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | |
| 23.00 | 044 | ცვოლე-ბრედა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 23.00 | 045 | ნაიმეგენი-სპარტა | 1,5 | 3,6 | 5,0 |
| 23.00 | 046 | სიტარდი-გრონინგენი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 047 | ჰელმონდი-ალკმაარი | 3,4 | 3,3 | 1,9 |
| 23.00 | 048 | მაასტრიხტი-უტრეხტი | 3,3 | 3,3 | 1,8 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა. მე-4 ტური** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 23.45 | 509 | დეპორტივო-იუვენტუსი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.45 | 510 | პანათინაიკოსი-ჰამბურგი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.45 | 511 | ბაიერნი-პსჟ | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 512 | ჰელსინგბორგი-რუსენბორგი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 23.45 | 513 | ანდერლეხტი-დინამო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 514 | მანჩესტერი-ეინდჰოვენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 515 | მილანი-ბარსელონა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 516 | ბეშიქთაში-ლიდსი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | | **აზიის თასი** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 19.00 | 519 | ირანი-ერაყი | 1,7 | 2,0 | 4,4 |
| 21.45 | 520 | ლიბანი-ტაილანდი | 1,5 | 3,5 | 4,4 |
| | | **ჰოკეი** | | | |
| | | **18 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 909 | კოლუმბუსი-კოლორადო | 3,4 | 4,0 | 1,4 |
| 24.00 | 910 | პიტსბურგი-კაროლინა | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 911 | დალასი-სან ხოსე | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 24.00 | 912 | მინესოტა-ტამპა ბეი | 1,9 | 4,0 | 2,2 |
| 24.00 | 913 | ჩიკაგო-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,1 |
| 24.00 | 914 | ვანკუვერი-კალგარი | 1,8 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 915 | ფინიქსი-ფლორიდა | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| | | **19 ოქტომბერი** | | | |
| 24.00 | 916 | ოტავა-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 917 | ფილადელფია-მონრეალი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 24.00 | 918 | ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 2,1 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 919 | დეტროიტი-ნეშვილი | 1,3 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 920 | სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 921 | ედმონტონი-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,1 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

**დროებით შეჩერებულია კროკოს ბიუროს მუშაობა**

**ქუთაისში**

**მუშაობის განახლების თარიღი წინასწარ გამოცხადდება**

## კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# სუპროლიგა 2000-2001: მონაწილენი

## სუპროლიგა — A ჯგუფი — სუპროლიგა

### ცეპტერი

ვროცლავი, პოლონეთი

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| დაინიუს ადომაიტისი | 202 | 1974 | ლიტვა |
| ალექსანდარ ავლიაში | 196 | 1972 | იუგოსლავია |
| რობერტ კოსელიუკი | 182 | 1969 | პოლონეთი |
| იაცეკ კრჟიკალა | 190 | 1976 | პოლონეთი |
| სებასტიან ზვოლაკი | 193 | 1982 | პოლონეთი |
| რაიმონდს მიგლინიეკსი | 190 | 1968 | ლატვია |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| არტურ ბაიერი | 194 | 1983 | პოლონეთი |
| ტომაშ ციელებაკი | 204 | 1976 | პოლონეთი |
| დომინიკ ტომჩიკი | 204 | 1974 | პოლონეთი |
| ადამ ვოიციკი | 208 | 1969 | პოლონეთი |
| მაციეკ ზიელინსკი | 199 | 1971 | პოლონეთი |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| რაფალ ბიგუსი | 215 | 1976 | პოლონეთი |
| შონ მარქსი | 210 | 1975 | ინგლისი-ახალი ზელანდია |
| ჯოზეფ მაკნაული | 208 | 1972 | აშშ |

**მწვრთნელი: ანდრეი ურლეპი**

### ულქერი

სტამბოლი, თურქეთი

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტუტკუ აჩიკი | 194 | 1980 | თურქეთი |
| ჰარუნ ერდენაი | 190 | 1968 | თურქეთი |
| ორჰან გიულერი | 194 | 1977 | თურქეთი |
| სერქან ერდოგანი | 189 | 1978 | თურქეთი |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| მილან გოლიოვიჩი | 203 | 1971 | იუგოსლავია |
| კვადრე ლოლისი | 200 | 1973 | აშშ |
| ჰალუკ ილდირიმი | 200 | 1972 | თურქეთი |
| ქერემ გონლუმი | 209 | 1977 | თურქეთი |
| უფუკ სარიჯა | 194 | 1972 | თურქეთი |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟან გაელ პერსევო | 213 | 1971 | საფრანგეთი |
| ბენჯამინ ჰენდლოგტენი | 212 | 1973 | აშშ |
| ზაზა ფაჩულია | 210 | 1984 | საქართველო |

**მწვრთნელი: მურათ დიდინი**

### პანათინაიკოსი

ათენი, საბერძნეთი

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფერდინანდო ჯენტილე | 190 | 1967 | იტალია |
| ოდედ კატაში | 192 | 1974 | ისრაელი-საფრანგეთი |
| მიხაელ კოხი | 190 | 1966 | გერმანია |
| გიორგოს კალაიძისი | 190 | 1976 | საბერძნეთი |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრაგისკოს ალვერტისი | 205 | 1974 | საბერძნეთი |
| გიორგოს ბალოიანისი | 199 | 1970 | საბერძნეთი |
| დეიან ბოდიროგა | 204 | 1973 | იუგოსლავია |
| ანტონის ფოცისი | 206 | 1981 | საბერძნეთი |
| დერილ მიდლტონი | 202 | 1966 | აშშ-ესპანეთი |
| ჯონი როჯერსი | 203 | 1963 | აშშ-ესპანეთი |
| იანის ვულგარისი | 202 | 1982 | საბერძნეთი |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჟელკო რებრაჩა | 211 | 1972 | იუგოსლავია |
| პატ ბერკი | 210 | 1975 | ირლანდია |
| ანდრეას ლინიადაკისი | 214 | 1981 | საბერძნეთი |

**მწვრთნელი: ჟელკო ობრადოვიჩი**

### მაკაბი

რაანანა, ისრაელი

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიორ არდიტი | 192 | 1967 | ისრაელი |
| რაფი ფლოცკი | 191 | 1980 | ისრაელი |
| გაი კანტორი | 186 | 1974 | ისრაელი |
| კელი მაკარტი | 201 | 1975 | აშშ |
| საიმონ მაილსი | 191 | 1975 | აშშ |
| ორი იცხაკი | 190 | 1981 | ისრაელი |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნადავ ბახარი | ? | 1982 | ისრაელი |
| დრორ კოენი | 200 | 1974 | ისრაელი |
| იანივ გრინი | 201 | 1980 | ისრაელი |
| ჯესი სალტერსი | 198 | 1972 | აშშ |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| იოვო სტანოევიჩი | 207 | 1977 | იუგოსლავია |

**მწვრთნელი: შარონ დრუკერი**

### ალბა

ბერლინი, გერმანია

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იორგ ლუტკე | 200 | 1975 | გერმანია |
| მარკო პეშიჩი | 197 | 1976 | გერმანია-იუგოსლავია |
| დერიკ ფელპსი | 192 | 1972 | აშშ |
| ჰენრიკ როდლი | 200 | 1969 | გერმანია |
| ტომი ტორვარტი | 194 | 1979 | გერმანია |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვენდელ ალექსისი | 204 | 1964 | აშშ |
| სტეფანო გარისი | 199 | 1979 | გერმანია |
| სტიპო პაპიჩი | 205 | 1978 | გერმანია-იუგოსლავია |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| დეიან კოტუროვიჩი | 210 | 1972 | იუგოსლავია |
| თეომან ოზთურქი | 208 | 1967 | გერმანია-თურქეთი |
| სვენ შულცე | 210 | 1978 | გერმანია |

**მწვრთნელი: ემირ მუტაფჩიჩი**

### ცსკა

მოსკოვი, რუსეთი

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ვლადან ალანოვიჩი | 194 | 1968 | ხორვატია |
| რასტი ლარუ | 187 | 1973 | აშშ |
| იურის უმბრაშკო | 196 | 1979 | ლიტვა |
| დმიტრი დომანი | 198 | 1974 | რუსეთი |
| იგორ კუდელინი | 196 | 1972 | რუსეთი |
| ალექსეი სავკოვი | 195 | 1979 | რუსეთი |
| ნიკოლაი პადიუსი | 195 | 1980 | რუსეთი |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდრეი კირილენკო | 205 | 1981 | რუსეთი |
| ალექსანდრ პეტრენკო | 204 | 1976 | რუსეთი |
| ანდრეი ფეტისოვი | 208 | 1972 | რუსეთი |
| ალექსეი მიტნიკოვი | 202 | 1978 | რუსეთი |
| ალექსეი ზვონოვი | 203 | 1982 | რუსეთი |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| გინტარას ეინიკისი | 207 | 1970 | ლიტვა |
| იადგარ კარიმოვი | 210 | 1981 | რუსეთი |

**მწვრთნელი: ვალერი ტიხონენკო**

### ლიეტუვოს რიტასი

ვილნიუსი, ლიტვა

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ერიკ ელიოტი | 182 | 1969 | აშშ |
| ანდრიუს გედრაიტისი | 196 | 1973 | ლიტვა |
| როლანდას იარუტისი | 184 | 1976 | ლიტვა |
| გინტარას კაძიულისი | 190 | 1980 | ლიტვა |
| არვიდას მასიაუსკასი | 192 | 1980 | ლიტვა |
| ანდრიუს სლეზასი | 196 | 1975 | ლიტვა |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| რობერტას იავტოკასი | 195 | 1980 | ლიტვა |
| არნას კაზლაუსკასი | 204 | 1976 | ლიტვა |
| კესტუტის შესტოკასი | 202 | 1976 | ლიტვა |
| რამუნას შიშკაუსკასი | 196 | 1978 | ლიტვა |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| გრეგ გრანტი | 208 | 1972 | აშშ |
| არტურას იავტოკასი | 204 | 1977 | ლიტვა |

**მწვრთნელი: შარუნას საკალაუსკასი**

### სიენა

სიენა, იტალია

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ემილიანო ბუსკა | 190 | 1971 | იტალია |
| ტრევის მეისი | 188 | 1968 | იტალია-აშშ |
| მარკო როსეტი | 202 | 1980 | იტალია |
| გერმან სკარონე | 193 | 1975 | იტალია |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაიან ევანსი | 203 | 1973 | აშშ |
| სილვესტერ გრეი | 200 | 1967 | აშშ |
| დავიდე პესინა | 205 | 1968 | იტალია |
| ანდრეა პილოტი | 197 | 1980 | იტალია |
| რონ როუენი | 197 | 1963 | ირლანდია |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| პაოლო ალბერტი | 206 | 1972 | იტალია |
| რობერტო კიაჩიგი | 210 | 1974 | იტალია |
| ჯოვანი სავიო | 205 | 1968 | იტალია |
| დომენიკო დე ფალკო | 200 | 1983 | იტალია |

**მწვრთნელი: ფაბრიციო ფრატესი**

### ვილერბანი

ვილერბანი, საფრანგეთი

**უკანა ხაზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| პიტერ ჰოფმანი | 198 | 1971 | დანია-აშშ |
| ლორან სკიარა | 195 | 1973 | საფრანგეთი |
| ფრედერიკ მიგელი | 186 | 1981 | საფრანგეთი |
| ლორან პლუვი | 183 | 1973 | საფრანგეთი |
| გი გედეგბი | 187 | 1981 | საფრანგეთი |
| ზახარ პაშუტინი | 196 | 1974 | რუსეთი |

**ფორვარდები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ამარა სი | 200 | 1977 | საფრანგეთი |
| არტურ ლონგი | 203 | 1972 | აშშ |
| ჯიმ ბილბა | 198 | 1968 | საფრანგეთი |
| იან ბონატო | 203 | 1972 | საფრანგეთი |
| ჟან ტომას ლავანში | 202 | 1980 | საფრანგეთი |

**ცენტრები**

| | | | |
|---|---|---|---|
| იოაკიმ ბლომი | 208 | 1976 | შვედეთი |
| დავიდ ფრიგუ | 206 | 1973 | საფრანგეთი |
| ლასანა ტურე | 203 | 1980 | საფრანგეთი |

**მწვრთნელი: გრეგორ ბენიო**

### სპლიტი

სპლიტი, ხორვატია

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდრია ჟიჟიჩი | 195 | 1980 | ხორვატია |
| ჟივკო ბადჟიმი | 202 | 1970 | ხორვატია |
| ალან გრეგოვი | 205 | 1970 | ხორვატია |
| ანტე გრგურევიჩი | 214 | 1975 | ხორვატია |
| ბორის იამანი | ? | 1973 | ხორვატია |
| დრაგო პაშალიჩი | 196 | 1984 | ხორვატია |
| იოშკო პოლიაკი | 190 | 1978 | ხორვატია |
| სრდიან სუბოტიჩი | ? | 1980 | ხორვატია |
| ივან ტომელიაკი | ? | 1979 | ხორვატია |
| როკო უკიჩი | 205 | 1984 | ხორვატია |
| ნიკოლა ვუიჩიჩი | ? | 1978 | ხორვატია |

**მწვრთნელი: იასმინ რეპეშა**

# სუპროლიგა 2000-2001: მონაწილენი

## სუპროლიგა B ჯგუფი სუპროლიგა

### ოსტენდე

ოსტენდე, ბელგია

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| გერიტ მაიორი | 186 | 1980 | ბელგია |
| ჯონ-რობერტ ჰოლდენი | 184 | 1976 | აშშ |
| რალფ ბიგსი | 201 | 1976 | აშშ |
| გერტ კულამი | 196 | 1971 | ესტონეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| კრისტოფ ბეგინი | 205 | 1980 | ბელგია |
| იონას ვან ჰუიმბრუკი | 198 | 1982 | ბელგია |
| ვიმ ვან დე კეერე | 202 | 1978 | ბელგია |
| მაიკლ დოილი | 200 | 1968 | აშშ-საფრანგეთი |
| ბობ მენამა | 200 | 1980 | ბელგია |
| ვირგინიუს პრაშკევიჩუსი | 206 | 1974 | ლიტვა |
| **ცენტრები** | | | |
| პიტ დე ბელი | 208 | 1980 | ბელგია |
| ტომას ვან დენ შპიგელი | 214 | 1978 | ბელგია |

**მწვრთნელი: ლუსიენ ვან კერსხავერი**

### სკავოლინი

პეზარო, იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| მელვინ ბუკერი | 185 | 1972 | აშშ |
| ლარი მიდლტონი | 190 | 1965 | აშშ-იტალია |
| ანდრეა პეჩილე | 185 | 1980 | იტალია |
| ფაბიო ძანელი | 196 | 1976 | იტალია |
| **ფორვარდები** | | | |
| სილვიო გიგენა | 198 | 1975 | იტალია |
| ვალტერ მანიფიკო | 207 | 1961 | იტალია |
| მატეო პანიკი | 205 | 1972 | იტალია |
| ბრედ ტრაინა | 196 | 1977 | აშშ-იტალია |
| მარკო ტუშეკი | 203 | 1975 | სლოვენია |
| **ცენტრები** | | | |
| დემარკო ჯონსონი | 204 | 1975 | აშშ |
| მიქელე მაჯოლი | 212 | 1977 | იტალია |

**მწვრთნელი: სტეფანო პილასტრინი**

### პარტიზანი

ბელგრადი, იუგოსლავია

| | | | |
|---|---|---|---|
| ვულე ავდალოვიჩი | 187 | 1981 | იუგოსლავია |
| მიროსლავ ბერიჩი | 200 | 1973 | იუგოსლავია |
| ნიკოლა ბულატოვიჩი | 210 | 1971 | იუგოსლავია |
| ნენად ჩანაკი | 204 | 1976 | იუგოსლავია |
| ალექსანდარ ჩუბრილო | 207 | 1975 | იუგოსლავია |
| ალექსანდარ გაიჩი | ? | 1983 | იუგოსლავია |
| ალექსანდარ გლინტიჩი | 208 | 1976 | იუგოსლავია |
| ვლადო ილიევსკი | 190 | 1981 | მაკედონია |
| მარკო იოვანოვიჩი | 206 | 1982 | იუგოსლავია |
| მირკო კოვაჩი | 205 | 1983 | იუგოსლავია |
| ნენად კრსტიჩი | 195 | 1983 | იუგოსლავია |
| დრაგან მარკოვიჩი | 191 | 1974 | იუგოსლავია |
| ვესელინ პეტროვიჩი | 193 | 1977 | იუგოსლავია |
| რატკო ვარდა | 212 | 1979 | იუგოსლავია |
| ვლადიმირ ბოგოევიჩი | 194 | 1976 | გერმანია-იუგოსლავია |

**მწვრთნელი: ნენად ტრაიკოვიჩი**

### მაკაბი

თელ ავივი, ისრაელი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| მარკ ბრისკერი | 195 | 1969 | აშშ-ისრაელი |
| ტალ ბურშტეინი | 197 | 1980 | ისრაელი |
| არიელ მაკდონალდი | 187 | 1972 | აშშ-სლოვენია |
| ენტონი პარკერი | 198 | 1975 | აშშ |
| დერიკ შარფი | 180 | 1971 | აშშ-ისრაელი |
| **ფორვარდები** | | | |
| ნადავ ჰენფელდი | 200 | 1968 | ისრაელი |
| ბორკო რადოვიჩი | 202 | 1972 | იუგოსლავია-ისრაელი |
| ელად სავიონი | 198 | 1978 | ისრაელი |
| გურ შელეფი | 200 | 1975 | ისრაელი |
| **ცენტრები** | | | |
| რადისლავ ჩურჩიჩი | 206 | 1965 | იუგოსლავია |
| ნათანიელ ჰაფმანი | 215 | 1975 | აშშ |
| დევიდ შტერნლაითი | 203 | 1973 | აშშ-ისრაელი |

**მწვრთნელი: პინი გერშონი**

### ირაკლისი

სალონიკი, საბერძნეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| დიმიტრის დიამანტიდისი | 194 | 1980 | საბერძნეთი |
| ნიკოს ხაცივრეტასი | 197 | 1977 | საბერძნეთი |
| ვასილი კარასიოვი | 192 | 1971 | რუსეთი |
| არის მარკოპულოსი | 183 | 1982 | საბერძნეთი |
| მეტ სანტანჯელო | 186 | 1977 | აშშ-იტალია |
| **ფორვარდები** | | | |
| გიორგოს ხრიზანტოპულოსი | 202 | 1973 | საბერძნეთი |
| ტონი ფარმერი | 204 | 1970 | აშშ |
| ათანასიოს კამარიოტისი | 201 | 1978 | საბერძნეთი |
| გიორგოს კარაგუტისი | 208 | 1976 | საბერძნეთი |
| პანაიოტის ნანისი | 193 | 1980 | საბერძნეთი |
| სოფოკლის სკორციანიტისი | 205 | 1985 | საბერძნეთი |
| **ცენტრები** | | | |
| საშა ჰუპმანი | 216 | 1970 | გერმანია |
| ლაზაროს პაპადოპულოსი | 210 | 1980 | საბერძნეთი |
| პანტელის პაპაიოაკეიმი | 205 | 1975 | საბერძნეთი |

**მწვრთნელი: მაკის დენდრინოსი**

### ეფეს პილსენი

სტამბოლი, თურქეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| დამირ მულაომეროვიჩი | 195 | 1974 | ხორვატია |
| ომერ ონანი | 194 | 1978 | თურქეთი |
| ვლადო შჩეპანოვიჩი | 196 | 1975 | იუგოსლავია |
| ქერემ თუნჩერი | 191 | 1979 | თურქეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| ერდალ ბიბო | 194 | 1977 | თურქეთი |
| მირსად თურქჯანი | 206 | 1976 | თურქეთი |
| არდა ვექილოღლუ | 205 | 1979 | თურქეთი |
| ალფერ ილმაზი | 195 | 1976 | თურქეთი |
| **ცენტრები** | | | |
| ჰუსეინ ბეშოქი | 212 | 1975 | თურქეთი |
| პრედრაგ დრობნიაკი | 211 | 1975 | იუგოსლავია |
| მეჰმეთ ოქური | 208 | 1979 | თურქეთი |
| ქაია პეკერი | 207 | 1980 | თურქეთი |

**მწვრთნელი: ერგინ ათამანი**

### კრკა

ნოვო მესტო, სლოვენია

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| ვლადიმირ ანზულოვიჩი | 188 | 1978 | ხორვატია |
| ალექსანდრ ჩაპინი | 185 | 1982 | იუგოსლავია |
| საშა დონჩიჩი | 200 | 1974 | სლოვენია-იუგოსლავია |
| ანდრეი გლიჰა | 190 | 1983 | სლოვენია |
| სამო გრუმი | 192 | 1979 | სლოვენია |
| სიმონ პეტროვი | 189 | 1976 | სლოვენია |
| ერვინ ტარანიში | 192 | 1982 | სლოვენია |
| იგორ ივაშკოვიჩი | 195 | 1983 | სლოვენია |
| **ფორვარდები** | | | |
| ბენეტ დევისონი | 202 | 1975 | აშშ |
| დრაგიშა დრობნიაკი | 200 | 1977 | სლოვენია |
| დეიან იევტოვიჩი | 202 | 1970 | სლოვენია-იუგოსლავია |
| მირკო შჩეკიჩი | 204 | 1970 | ხორვატია |
| ნეიჩ სმოდიში | 195 | 1984 | სლოვენია |
| **ცენტრები** | | | |
| ფრანიო არაპოვიჩი | 212 | 1968 | ხორვატია |
| მარტინ მიჰაილოვიჩი | 205 | 1981 | ხორვატია |
| მილოშ მირკოვიჩი | 205 | 1983 | იუგოსლავია |

**მწვრთნელი: ალეშ პიპანი**

### ბაიერი

ლევერკუზენი, გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| ჩაკ ევანსი | 180 | 1971 | აშშ |
| მაიკ ჰანსენი | 185 | 1970 | ესპანეთი |
| გორან კოვაჩევი | 186 | 1979 | გერმანია-იუგოსლავია |
| მაურიციო პრატესი | 192 | 1974 | ფინეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| ჯონ ბესტი | 203 | 1971 | აშშ |
| მარკუ ლარკიო | 203 | 1972 | ფინეთი |
| ალექსანდრ ლოხმანჩუკი | 209 | 1973 | უკრაინა |
| მატიას ვებერი | 198 | 1980 | გერმანია |
| **ცენტრები** | | | |
| ბიორნ გისეკი | 206 | 1975 | გერმანია |
| სტივ ჰაჩისონი | 202 | 1968 | აშშ-გერმანია |
| ჰანსი გნადი | 207 | 1963 | გერმანია |

**მწვრთნელი: კელვინ ოლდემი**

### პო ორტეზი

პო, საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| კორი კარი | 193 | 1975 | აშშ |
| ფრედერიკ ფოტუ | 180 | 1972 | საფრანგეთი |
| ბორის დიავი | 201 | 1982 | საფრანგეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| არტურ დროზდოვი | 199 | 1980 | უკრაინა |
| როჯერ ესტელერი | 193 | 1972 | ესპანეთი |
| დიდიე გადუ | 203 | 1965 | საფრანგეთი |
| ფლორან პიეტრუსი | 198 | 1981 | საფრანგეთი |
| მიშელ პიეტრუსი | 197 | 1982 | საფრანგეთი |
| ვენსან მაზინგი | 202 | 1976 | საფრანგეთი |
| **ცენტრები** | | | |
| ფაბიენ დიუბო | 207 | 1977 | საფრანგეთი |
| ჯეისონ ლოუსონი | 210 | 1974 | აშშ |
| მლადენ ვარგა | 213 | 1983 | ბოსნია |

**მწვრთნელი: კლოდ ბერჟო**

### პლანია

ლულეო, შვედეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| **უკანა ხაზი** | | | |
| ერიკ ვაარა | 183 | 1981 | შვედეთი |
| იონას ფრედრიკსონი | 193 | 1973 | შვედეთი |
| დიმიტრიოს პანაიოტოპულოსი | 192 | 1981 | შვედეთი |
| შონ დირდენი | 190 | 1974 | შვედეთი |
| **ფორვარდები** | | | |
| იოჰან დალენი | 195 | 1980 | შვედეთი |
| ანდრეას ბერგმანი | 193 | 1973 | შვედეთი |
| ანდრე პარნი | 200 | 1977 | ესტონეთი |
| დენის აულანდერი | 197 | 1972 | შვედეთი |
| ანდერს რანდალი | 201 | 1977 | შვედეთი |
| **ცენტრები** | | | |
| ვინსენტ ლუნდალი | 210 | 1971 | შვედეთი |
| იონ პეტერსონი | 203 | 1977 | შვედეთი |

**მწვრთნელი: ბილ მაგარუტი**

საქართველოს ჩემპიონატი

# მეოთხე ზანგიც მოფრინდა მოედანზე კი დამხვდურმა სამმა იფრინა

## 3 ტური

17 ოქტომბერი. ბათუმი

**ბასკო 97:87 მაკაბი**

**I ტაიმი 56:46**
**ბასკო:** უსტიაშვილი (2), როჯერსი (22), კონერლი, ვ. ნაცვლიშვილი (32), ქარაზაკი (14); ნიკოლაძე (12), მ. მარკოიშვილი, ბეჟანიშვილი (5), გ. ნაცვლიშვილი (6), საყვარელიძე, ორმოცაძე (4)
**მაკაბი:** წოწელია (17), ი. შანიძე (20), ტუჯანი (14), ტალაბაძე (11), დაჩუმი (8); ჯაჭიძე, კრიხელი, აკოლაშვილი (2), მანველიშვილი (12), ქოქოსაძე, ფიცხელაური, მჭედლიშვილი (3)
**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე
**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

**გიორგი ბიკაშვილი ბათუმიდან**

**ბათუმი** დილიდანვე ფუსფუსებდა, აქაურები განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ მატჩს. ცნობისმოყვარეობა იკითხებოდა ქომაგთა სახეებზე...

აჟიოტაჟს საბაბიც ჰქონდა — „მაკაბის“ კამერუნელ შავკანიანებს, ტუჯანისა და დაჩუმის, „ბასკოს“ ამერიკელი ზანგები, როჯერსი და კონერლი უნდა შეგებებოდნენ. კალათბურთი ზანგებისააო, უთქვამთ და რა გასაკვირია, შავი კაცების საქმეში ნახვის სურვილი ჰკლავდა „ბასკოს“ დარბაზში შეკრებილ გულშემატკივარს.

ზემოთ ჩამოთვლილთაგან ზღვისპირელებს აქამდე მხოლოდ ჯეფ როჯერსის თამაში ენახათ, „მაკაბისთან“ შეხვედრაში როჯერსს თვისტომ ჯუნიორ კონერლისთან ერთად უნდა ელვაწა „ბასკოსთვის“. ამ მოთამაშის უნარი კი მხოლოდ ქომაგს კი არა, აჭარის კლუბის ხელმძღვანელობასაც ერთობ აინტერესებდა, რადგან კონერლი მატჩის წინა დღეს ჩამოვიდა ბათუმში და „ბასკოს“ მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძისთვის მისი შესაძლებლობები უცნობი იყო. კონერლი ჩემპიონმა სტივენ ოვერსტრიტის ნაცვლად მოიხმო. ამ კაცთან თითქმის მოგვარებული ჰქონდა „ბასკოს“ საქმე, თუმცა ამერიკელს საქართველოში გამომგზავრება ოჯახურმა პრობლემებმა არ დაანება.

ახალწვეული ტომარაძემ ძირითად ხუთეულში დააყენა და ერთი შეხედვითაც ჩანდა, ცენტრზე თამაში დააკისრა. „მაკაბის“ ტრავმირებული ალექსანდრე ფერიაშვილი აკლდა და სავარაუდო იყო, რომ ფარქვეშ უპირატესობას „ბასკო“ დაეუფლებოდა. მაგრამ დაიწყო მატჩი და გამოჩნდა, რომ კორაჩის თასზე მარცხნაწვნევი, მაგრამ „გრონინგენთან“ პაექრობაში გამოწრთობილი „მაკაბი“ იოლად და უბრძოლველად არაფრის დამთმობი იყო.

თამაში, ცოტა არ იყოს, ქაოსურად დაიწყო, თუმც თვითოეული ქულის მოპოვება მეტოქეებს დიდი ძალისხმევის ფასად უჯდებოდათ. „მაკაბიმ“, ისევე როგორც „ბასკომ“, დაცვაში პერსონალური მეურვეობა ირჩია. საწყის წუთებში მეტისმეტად ხისტი თამაშის შემსწრენი გავხდით, რასაც ხშირად მსაჯის სასტვენიც ერთვოდა. ძირითადად მაკაბელ დაჩუმის აჯარიმებდნენ, რომელსაც გუშინ მეტისმეტად რთული მისია, ვახტანგ ნაცვლიშვილის გაუვნებლება დაეკისრა. ზუსტად ხუთ წუთში კამერუნელმა სამი პერსონალური მიიღო, თუმც მწვრთნელთა დავალებას, მაქსიმალურად შეეზღუდა სივრცე ნაცვლიშვილისთვის, უნდა ითქვას, რომ მატჩის დებიუტში თავი გაართვა. შედეგად ფავორიტად მიჩნეული „ბასკო“ ვერა და ვერ მოსწყდა მეტოქეს, „მაკაბი“ წინ და უკან გონივრულად მოქმედებდა, მასპინძლები კი კაცნაკლულის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, რადგან 18 საათი ცაში მყოფი კონერლი დაღლილობისა თუ სხვა მიზეზის გამო ხეირიანს ვერაფერს აკეთებდა მოედანზე.

მატჩი კარგა ხანს ქულა-ქულაში მიდიოდა, რის შემდეგაც შეგირდების თამაშით უკმაყოფილო ტომარაძემ ახალი გზების ძიება იწყო. ცოტა ხანს კიდევ ადროვა და მერე გამოცვალა კონერლი, გამთამაშებლელ დავით უსტიაშვილის ნაცვლად კი გიორგი ნიკოლაძე ჩართო თამაშში. როჯერსმა, მანამდე მსროლელის ფუნქციას ასრულებდა, ნიკოლაძის გამოჩენის შემდეგ ბურთის გათამაშება იწყო და ამან „ბასკოს“ დიდი სარგებელი მოუტანა. დაჩუმის მოედნიდან გასვლის შემდეგ ჩემპიონი ფარზე უპირატესობას დაეუფლა და პირველი შეტევების განხორციელების შანსი მიეცა, რაც კარგად შეირგო და ჯეფ როჯერსის სისხარტისა და სიზუსტის წყალობით „ბასკო“ თოთხმეტი ქულით გაექცა მეტოქეს. პირველი პერიოდის ბოლო წამზე შანიძემ ათამდე შეამცირა სხვაობა — 34:24.

საკუთარ გამარჯვებაში ზედმეტად დარწმუნებული „ბასკო“ ბოლომდე ვერც მერე გაიხსნა. უკეთ თამაშის საშუალებას თბილისელები არ აძლევდნენ მასპინძლებს, „მაკაბი“ დაცვაში შეთანხმებულად განაგრძობდა ქმედებას და შეტევაშიც შეხმატკბილებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რაც მთავარია, ფარქვეშ სტუმრები უფრო ყოჩაღობდნენ, ვიდრე ბათუმელები, ტუჯანი და დაჩუმი რიგრიგობით ხსნიდნენ ბურთს. ამპლუით მსროლელი, მაგრამ იძულებით გამთამაშებლის პოზიციაზე გამწესებული გოჩა წოწელიაც „მაკაბის“ შეტევათა ორგანიზებას იწყებდა. „ბასკომ“ პრესინგს მიმართა, მაგრამ ვერც ამ ხერხით განიმტკიცა უპირატესობა, თუმც პირველი პერიოდის ანალოგიურად ტაიმებს შორის შესვენებაზეც ათქულიანი სხვაობით წავიდა.

წინა ბათუმური შეხვედრებისგან განსხვავებით მატჩი ინტრიგას კვლავ ინარჩუნებდა, ეგაა, „მაკაბის“ წამყვან მოთამაშეებს — ტალაბაძეს, წოწელიას, ტუჯანისა და დაჩუმის ოთხ-ოთხი პერსონალური ჰქონდათ დაგროვილი და სავარაუდო იყო, რომ მათი გავარდნის შემდეგ ბოლოს და ბოლოს გაილაღებდა „ბასკო“. ამისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მაკაბელები მესამე პერიოდში პანტაპუნტით მიჰყვნენ ერთმანეთს: ხუთი ჯარიმის გამო მოედანი ჯერ ტალაბაძემ დატოვა, ორ წუთში წოწელიამ, რამდენიმე წამში კი — ტუჯანიმ. ამანაც ვერ გამოაფხიზლა „ბასკო“, რომელიც სათამაშო უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ სხვაობას ვერ ზრდიდა, რაკი „მაკაბის“ სათადარიგოებიც კარგად ჩაერთვნენ თამაშში — ბასკოელთაგან ყველაზე მონდომებულ ნაცვლიშვილის გარღვევებს, ხან შანიძე პასუხობდა და ხანაც მანველიშვილი.

მეოთხე პერიოდიც იგივე სცენარით წარიმართა, რაც დრო გადიოდა, „ბასკოს“ ქომაგობა მით უფრო რწმუნდებოდა თავიანთი გუნდის გამარჯვებაში, რადგან „მაკაბი“ ჩემპიონთან ტოლფასოვნად პაექრობითაც კმაყოფილი ჩანდა და ძირითადი კალათბურთელების გარეშე დარჩენილს წარმატების იმედიც ფაქტობრივად, გადასწურვოდა. საწაული უნდა მომხდარიყო, რომ წაეგო „ბასკოს“, რომელმაც წინა მატჩებთან შედარებით გუშინ გვარიანად ანერვიულა თავის გულშემატკივარი.

## ესპანეთი

I ტური

**ხირონა — ფორუმი 75:85, ბრეოგანი — ორენსე 84:85, კონსტაბლანკა — კასერესი 59:68, პამესა — ხუვენტუდი 85:66, კანარიასი — კახა სან ფერნანდო 81:76, უნიკახა — კანტაბრია 105:62. ესტუდიანტესი — ბარსელონა, ტაუ — ხიხონი და ფუენლაბრადა — რეალი გადაიდო.**

ესპანეთის სპორტის საბჭომ ქვეყნის საკალათბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე 11 საათით ადრე მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც თურქეთის, სლოვენიის, ჩეხეთის და ლიტვის მოქალაქე-სპორტსმენებზე არ ვრცელდება ბოსმანის წესი. ანუ, ესპანეთში თამაშისას ისინი არ სარგებლობენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის დაწესებული შეღავათებით და უცხოელებად ითვლებიან.

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატში არაევროკავშირელებზე ლიმიტია დაწესებული. ქვეყნის საკალათბურთო ლიგა, რომელიც ატარებს ჩემპიონატს, საბჭოს გადაწყვეტილებას უმალ გამოეხმაურა და გადადო იმ გუნდთა თამაშები, რომლის მოთამაშეებსაც ახალი წესი შეეხოთ. ამის გამო პირველ ტურში „რეალს“, „ბარსელონას“ და „ტაუს“ არ უთამაშიათ.

„რეალში“ თამაშობენ სლოვენიელი მარკო მილიჩი და ჩეხები — ირჟი ზიდეკი და ირჟი სტაროსტა, „ბარსელონაში“ — ლიტველები შარუნას იასიკევიჩუსი და არტურას კარნიშოვასი, „ტაუში“ — ლიტველები საულიუს შტომბერგასი და მინდაუგას ტიმინსკასი, აგრეთვთე თურქეთის პასპორტის მქონე ამერიკელი შერონ მილზი.

ესპანეთის მოთამაშეთა კავშირმა და ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ პროტესტი გამოთქვეს აღნიშნული შეზღუდვის გამო. ამ დღეებში რამდენიმე შეხვედრა გაიმართება, სადაც გაირკვევა კიდეც ზემოხსენებული კალათბურთელების სტატუსი.

## საფრანგეთი

I ტური

**პო ორტეზი — ბეზანსონი 85:72, დიჟონი — სტრასბური 65:59, ანტიბი — ვილერბანი 69:78, ბურჟი — შალონი 79:81, შოლე — მონპელიე 104:65, ევრე ლე ავრი 77:78, ნანსი — გრაველინი 98:85, ლე მანი — რასინგი 89:80**

საფრანგეთის ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები ლოგიკური შედეგებით დასრულდა. ერთადერთი მოულოდნელობა ნორმანდიულ დერბიში მოხდა — პრო A-ში წლეულს აღზევებულმა „ლე ავრმა“ სტუმრად „ევრეს“ სძლია.

სუპერლიგაში საფრანგეთის ორიდან ერთმა წარმომადგენელმა, „პო ორტეზმა“ „ბეზანსონთან“ თავისი ლეგიონერების წყალობით იმარჯვა. ესპანელმა მსროლელმა როჯერ ესტელერმა 22 ქულა მოიხვეჭა, ამერიკელმა ცენტრმა ჯეისონ ლოუსონმა კი 13 ქულას ამდენივე მოხსნა დაუმატა და ფარქვეშ მეტოქეს შავი დღე აყარა. სტუმრებს, მართალია, ძირითადი გამთამაშებელი ჟერმენ კასტანო აკლდათ, მაგრამ მათ იოლად დამარცხებას პოელთა მთავარი მწვრთნელი კლოდ ბერჟო მაინც არ ელოდა, რადგან მის გუნდში ბევრი ახალწვეულია, რომლებსაც ჯერ 20 წელიც არ შესრულებიათ.

ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი, „შალონი“ სტუმრად თამაშობდა ბურჟან-ბრესში და ძალიანაც გაუჭირდა დაგეგმილი ორი ქულის მოპოვება. შალონელთა ამერიკელი სტენლი ჯექსონი, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო ამიერიდან უცხოელად აღარ ითვლება, დასაწყისში საუკეთესო იყო და 21 ქულით შეეწია თავის ახალ გუნდს. თუმცა „შალონი“ გამარჯვებას ოსტროვსკი-გულიაშის წყვილს უნდა უმადლოდეს, რომელმაც ჯამში 35 ქულა და 13 მოხსნა გააკეთა.

გათამაშების ცხრილის სათავეში „შოლე“ მოექცა, რომელმაც ძირითადის რამდენიმე კალათბურთელის არყოფნის მიუხედავად „მონპელიე“ გაანადგურა (104:65). მასპინძელთა ექვსმა მოთამაშემ ათ ქულაზე მეტი მიითვალა, რამაც მათ მწვრთნელ ერიკ ჟირარს ათქმევინა, რომ მისი გუნდი ძალიან კარგად გამოიყურებოდა ფიზიკურად.

ელიტაში დაბრუნებულმა „ლე ავრმა“ რომ სადებიუტო მატჩი მოიგო, ამაში უდიდესი წვლილი მის თავკაცს, მიშელ გომესს მიუძღვის, რომელსაც ადრე „ლიმოჟი“, „პო ორტეზი“ და საფრანგეთის ნაკრებიც კი გაუწვრთნია. ძალიან ახალგაზრდული გუნდი გომესს ისე კარგად დაუმოძღვრავს, სპეციალისტები ამბობენ, პლეი ოფში აუცილებლად გავლნენ ჰავრელებიო. დებიუტანტის რიგებში პირველი ტური მშვენივრად ჩატარეს აშშ-ის ერთ-ერთი უნივერსიტეტიდან ახლახან გადასულმა კენიონ ჯონსმა და მარკუს გორიმ. პირველმა თავისიანებს 29 ქულა და 12 მოხსნა შემატა მეორემ კი გამარჯვების მომტანი საჯარიმო ჩააგდო საფინალო სირენამდე რამდენიმე წამით ადრე.

გასული სეზონის ფინალისტი „ვილერბანი“ ამ ჩემპიონატისთვის ძალიან გაძლიერდა. „მწვანეებმა“ ბონატო, სკიარა, პაშუტინი დაიმატეს და მათი ძალა პირველად „ანტიბმა“ გამოსცადა. მეორე ტაიმის დასაწყისში წინ მასპინძლები იყვნენ (43:39), მაგრამ მერე სწორედ ამ სამეულის ძალისხმევით შეძლეს სტუმრებმა თამაშში გარდატეხის შეტანა და საბოლოოდ მაინც იოლი გამარჯვება იზეიმეს.

გასვლით მატჩებში დამარცხდნენ შარშანდელი სეზონის აღმოჩენა „სტრასბური“ და სახელცვლილი „პარი სენ ჟერმენი“, რომელსაც ამიერიდან „პარი ბასკეტ რასინგი“ ჰქვია, ჩვენ კი „რასინგს“ ვუწოდებთ. პირველმა ვერაფერი დაუპირისპირა „დიჟონს“ ფარქვეშ, რადგან ძირითადის ცენტრი ბრუნო კოკერანი არ ჰყავდა, მეორემ კი „ლე მანთან“ პირველად იწვნია წაგების სიმწარე.

## სლოვენია

IV ტური

**ზაგორიე — ჰელიოსი 87:89, ტრიგლავი — კემოპლასტი 71:67, სავინსკი — კრაშკი ზიდარი 74:78, როგლა — პივოვარნა 61:84, კრკა — ლოკა კავა 104:80**

**სლოვანი 70:78 ოლიმპია**

**სლოვანი:** ბოისა (17), ლაკოვიჩი (12), მარავიჩი (12), პავიჩი (8), ნოვაკი (7), კოვაჩი (4), უგრეხელიძე (4), კოკალი (3), გრბეშიჩი (2), ცქიტიშვილი (1)
**ოლიმპია:** კოვაჩიჩი (22), ბეჩიროვიჩი (9), გოლემაცი (9), ველში (9), მოდრიჩი (8), ბრეზეცი (6), ჯორდანი (5), პარავინია (5), თუკასკასი (5)

დამთხვევაა თუ რა, მაგრამ ლიუბლიანის „სლოვანის“ ქართველმა ფორვარდმა ვლადიმერ ბოისმა თანაქალაქელი „ოლიმპიას“ წინააღმდეგ კვლავ შესანიშნავად ითამაშა. მოგეხსენებათ, ბოისა „ოლიმპიას“ კუთვნილებაა და „სლოვანში“ განათხოვრებულია. სლოვენიის ჩემპიონატის მეოთხე ტურის მატჩში ვლადიმერი თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო 17 ქულით, ექვსი მოხსნით და ერთი ჩაჭრით. იგი დაცვაშიც კარგად გაისარჯა და ოლიმპიელ ფორვარდებს ბევრი ქულების კეთების საშუალება არ მისცა.

სამაგიეროდ „ოლიმპიას“ ჰყავდა ხორვატი ცენტრი ემილიო კოვაჩიჩი, რომელმაც მოიგო კიდეც თამაში. „სლოვანი“ მეტოქეს დიდად დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა, დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კი მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებოდა. აქ აიწყვიტა კოვაჩიჩმა, ზედიზედ სამჯერ ჩააგდო და მატჩსაც წერტილი დაუსვა. „სლოვანის“ ქართველებმა დავით უგრეხელიძემ და ნიკა ცქიტიშვილმა, შესაბამისად ოთხი ქულა და სამი მოხსნა და ერთი ქულა და ერთი მოხსა გააკეთეს. ცქიტიშვილმა ცხრა წუთი ითამაშა, უგრეხელიძემ — ოცი, იგი ხუთი პერსონალურით მოედნიდან კოვაჩიჩმა გაისტუმრა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 4 | 4 | 0 | 347:254 | 8 |
| კრკა | 4 | 4 | 0 | 373:282 | 8 |
| კრაშკი ზიდარი | 4 | 4 | 0 | 321:304 | 8 |
| პივოვარნა | 4 | 3 | 1 | 345:305 | 7 |
| ლოკა კავა | 4 | 2 | 2 | 334:341 | 6 |
| სლოვანი | 4 | 2 | 2 | 300:307 | 6 |
| ტრიგლავი | 4 | 1 | 3 | 311:339 | 5 |
| ჰელიოსი | 4 | 1 | 3 | 309:357 | 5 |
| კემოპლასტი | 4 | 1 | 3 | 331:312 | 5 |
| როგლა | 4 | 1 | 3 | 308:332 | 5 |
| ზაგორიე | 4 | 1 | 3 | 309:381 | 5 |
| სავინსკი | 4 | 0 | 4 | 278:352 | 4 |

## თურქეთი

I ტური

**ბეშიქთაში — დარუშაფაკა 85:79, ფენერბაჰჩე — ანტბირლიკი 88:73, მაიდენოსი — ეფესი 69:82, ტროი — ალთაი 84:76, ტელეკომი — ქარშიაქა 96:84, გალათასარაი — ბუიუქ კოლეჟი 74:73**

**ქომბასანი 62:97 ულქერი**

**ქომბასანი:** გიუნეი, ჩათალოლუკი (7), თუნჩერი (16), ბაირაქი, ალგინი (2), მუეძინოვიჩი (29), სეზგინი (8)
**ულქერი:** ლოლისი (4), გონლუმი (8), აჩიკი (5), გოლიოვიჩი (29), ერდენაი (12), გიულერი (4), ერდოგანი (6), ჰენდლოგტენი (10), ილდირიმი (1), სარიჯა (18)

„პრეზიდენტის თასზე“ გამართული მატჩის არ იყოს, საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია არც თურქეთის ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრაში გამოჩენილა სტამბოლის „ულქერის“ რიგებში. ამის მიზეზი ავადმყოფობა ყოფილა — ზაზა ისრაელში, ერთ-ერთ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნისას გაცივდა, სტამბოლში დაბრუნებულს კი სიცხემ აუწია და „ულქერის“ ვერაფრით დაეხმარა. ამჟამად ფაჩულია გამოჯანმრთელდა და დღეს სუპერლიგის გახსნის მატჩში ითამაშებს — „ულქერი“ სტამბოლში ხორვატიის „სპლიტს“ მასპინძლობს.

ჩემპიონატის საწყის მატჩში კი „ულქერი“ ქონიაში იოლად გაუსწორდა „ქომბასანს“. გუნდის იუგოსლაველმა ახალწვეულმა მილან გოლიოვიჩმა სნაიპერული თვისებები სრულად გამოავლინა და სტამბოლელებს 29 ქულით შეეწია. დანარჩენ მატჩებში მოულოდნელი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით „გალათასარაის“ მიერ დებიუტან „ბუიუქ კოლეჟის“ გაჭირვებით ძლევას.

## დიდი ლიტველი მრთხელაც გაკვეთს

**„პორტლენდ თრეილ ბლეიზერის“** ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი 2000-01 სეზონის რამდენიმე საწყის კვირას გამოტოვებს. ამის მიზეზი მისი ფეხების ქრონიკული ტკივილია. 13 ოქტომბრის ვარჯიში 35 წლის საბონისისთვის უიღბლოდ დასრულდა. მან მარცხენა მუხლი დაიზიანა და თან იმდენად სერიოზულად, რომ სასწრაფოდ მოუხდა ოპერაციის გაკეთება. კვლავ დაალალატეს ფეხებმა საბასი, უკვე ათეულ წელზე მეტია, რაც ისინი პატრონს მოსვენებას არ აძლევენ. გასული სეზონის დამთავრებისთანავე ლიტველმა ტერფის ოპერაციაც გაიკეთა და ახლა თითქოს ესლა აკლდაო, მუხლმაც გვარიანი პრობლემები შეუქმნა. რამდენ კვირას გამოტოვებს საბონისი, ეს მის კლუბს არ დაუკონკრეტებია.

რეგულარული სეზონის დასაწყისისთვის საბონისის არყოლა არცთუ დიდი დანაკარგია „პორტლენდისთვის“. ამ გუნდში მოიძებნება მოთამაშეები, რომლებიც დროებით მაინც შეცვლიან ლიტველს, მაგრამ თუ საბონისმა პლეი ოფების დაწყებამდე ვერ მოახერხა სრულად გამოჯანმრთელება და კარგ ფორმაში შესვლა, შესაძლოა „ბლეიზერსს“ დიდი პრობლემები შეექმნას. „პორტლენდმა“ ლეიკერსელი შაკილ ონილის დასაჯაბნად საგანგებოდ გაიძლიერა წინა ხაზი, აიყვანა თავდამსხმელები — შონ კემპი და დეილ დევისი, მაგრამ ნამდვილი ცენტრის გარეშე „ლეიკერსთან“ ბრძოლა გაძნელდება. საბონისს ხომ შეგნებულად ასვენებდნენ რეგულარული სეზონის თამაშებში, რათა იგი პლეი ოფებამდე საღ-სალამათი მისულიყო, აქ კი საბასმა სულაც სეზონის დაწყებამდე „მოახერხა“ დაშავება.

ისე, საბონისს არასოდეს უჭირდა ტრავმის შემდეგ სასურველი სათამაშო ფორმის აღდგენა, თუმც იგი ყოველთვის ფრთხილობდა, თავისი ვეება სხეულის ადრე დაშავებული რომელიმე ნაწილი ხელმეორედ არ ეტკინა.

შარშან ლიტველი ტერფის ტრავმამ დატანჯა და მან მხოლოდ 66 თამაშში მიიღო მონაწილეობა.

## იტალია

I ტური

**ვარეზე — ფორტიტუდო 62:80, ბენეტონი — კანტუ 100:71, კინდერი — სიენა 90:51, ვიოლა — აველინო 101:96, ტრიესტი — მიულერი 79:90, მონტეკატინი — იმოლა 100:86, სკავოლინი — აგროპორტი 97:62, კორდივარი — ადეკო 84:61, სნაიდერო — რიმინი 86:89**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მწვრთნელები სხვა სამართალს ეძებენ

**ეროვნული** ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე გუნდები სადისციპლინო კომიტეტზე განაწყენდნენ. გუშინ საქართველოს რაგბის კავშირში უმაღლესი ლიგის უკლებლივ ყველა გუნდის მწვრთნელმა შეიტანა საერთო განცხადება, სადაც სადისციპლინო კომიტეტი არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულეს. სტკ-ს წევრები მომჩივანთ აუცილებლად შეხვდებიან და ურთიერთობასაც გაარკვევენ, მანამდე კი დამსჯელი კომიტეტი თორნიკე გეგიძის თავმჯდომარეობით ჩვეულ რიტმში განაგრძობს მუშაობას და მიმდინარე გათამაშებებში მომხდარ დარღვევებზე შესაბამისად რეაგირებს.

სტკ-ზე გადაწყდა, რომ ბათუმის „დათვების" მორაგბე ნიკა აბდალაძე თვრამეტთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს. შეგახსენებთ, რომ „ლოკომოტივი 1" — „დათვების" შეხვედრაში აბდალაძე მთავარ მსაჯს, ნოდარ რობიტაშვილს ეუხეშა, რის გამოც მოედნიდან გააძევეს. მერე თავი იმართლა, ატალახებულ მოედანზე ფეხი დამიცდა და იდაყვი შემთხვევით მოშხვდაო, მაგრამ სტკ-ს წევრებმა მორაგბის არგუმენტი არადამაჯერებლად მიიჩნიეს. ამის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა ასკ — უნივერსიტეტის მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი განიხილა. მოედანზე ატეხილი ჩხუბის მოთავეებს — არმიელ გია ამირხანაშვილს და უნივერსიტეტელ ირაკლი გუნდიშვილს ხელის გაქნევა ძვირად დაუჯდათ, მათ თორმეტკვირიანი იძულებითი დასვენება მოუწევთ.

**ბაჩო სვანიძე**

# ანტიფრანგული

**ერთი სიტყვით** ასე შეიძლება დავახასიათოთ ევროპის თასის მეორე ტური, რომელიც გასულ უქმეებზე გაიმართა. ექვსი ფრანგული გუნდიდან მხოლოდ ერთმა მოიპოვა გამარჯვება და ისიც შინ და გაჭირვებით. რაგბის ქართველ ქომაგებს კარგად მოეხსენებათ, რომ საფრანგეთის კლუბებში ბევრი ჩვენებური გამოდის. ჰოდა, ერთი ასეთი გუნდი ევროპის თასისთვისაც იბრძვის. შესაბამისად, ჩვენც ყველაზე მეტ ყურადღებას „კასტრს" დავუთმობთ ხოლმე.

„კასტრში" ორი ქართველი ირიცხება — ლევან ცაბაძე და პავლე ჯიმშელაძე. პირველი ხშირად ხვდება ძირითად შემადგენლობაში, მეორეს კი ისეთი ძლიერი კონკურენტები ჰყავს თაუნსენდისა და მოლას სახით, საკმაოდ იშვიათად უწევს ხოლმე მინდორზე გამოსვლა დაძაბულ მატჩებში. ახლაც მხოლოდ „ლეონსიომ" ითამაშა, თანაც საკმაოდ კარგად, განსაკუთრებით პირველი ტაიმში.

„მანსტერთან" მატჩი „კასტრმა" მშვენივრად დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე გაიტანა ლელო. ალბუიმ პირველი შერკინებიდან ბურთი კარგად გამოიტანა, შეტევა ლასისის გააგრძელებინა, რომელსაც თავისი მორკინალები და მათ შორის ცაბაძეც დროულად მიეხმარნენ. ბურთი თაუნსენდისთვის განთავისუფლდა, რომელმაც სამმეოთხედელები ჩართო იერიშში და გარიგმაც უწია მეტოქის ჩათვლის მოედანს. რამდენიმე წუთში თაუნსენდმა საჯარიმოც გაიტანა და „კასტრი" 10:0 დაწინაურდა. მერე ოგარამაც მოუტანა თავისიანებს ექვსი ქულა, მაგრამ მე-16 წუთზე ისევ მასპინძელთა მორკინალებმა იყოჩაღეს და თაუნსენდმა კოსტს გაატანინა ლელო. მანამდე „კასტრის" დამრტყმელს ერთი საჯარიმოც გატანა, რაზეც ოგარამაც ერთი ზუსტი დარტყმით უპასუხა და ტაიმი ფრანგებმა 20:9 მოიგეს.

შესვენების შემდეგ კი ირლანდიელები გამხეცდნენ და მეტოქისგან ქვაქვაზე აღარ დატოვეს. მათ სამი ლელო გაიტანეს და ბოლო წუთისთვის ექვს ქულასაც იგებდნენ. თაუნსენდმა კი მხოლოდ ამ ჩამორჩენის განახევრებაღა შეძლო. ახლა „კასტრი" ორი წაგებით მეოთხე ჯგუფის აუტსაიდერია და მეოთხედფინალში რომ გაალწიოს, ფაქტობრივად, ყველა დანარჩენი მატჩი უნდა მოიგოს, რაც უძნელესი კია, ოღონდ შეუძლებელი ნამდვილად არა. პირველ ადგილზე აქ 4 ქულის მომგროვებელი „მანსტერია", დანარჩენებს თითო მოგება და წაგება აქვთ.

სხვა ჯგუფებშიც ასეთივე სიტუაციაა, ანუ ერთ გუნდს ორი მოგება აქვს, ერთს ორი მარცხი, ორ-ორს კი ორ-ორი ქულა მოუგროვებია. მეტად მოულოდნელია ლიდერებს შორის შოტლანდიური „ედინბურგის" გამოჩენა, რომელმაც ტურის სენსაცია გამოაცხო და შეჯიბრის შარშანდელ გამარჯვებულ „ნორთჰემპტონს" სტუმრად აჯობა. მოულოდნელ აუტსაიდერებს შორის კი ფრანგული „ტულუზი" უნდა ვახსენოთ, რომელსაც ფრანგული კლუბებიდან ყველაზე დიდი ბიუჯეტი აქვს და შემადგენლობაც ისეთი, ბევრ მოწინავე ნაკრებს შეშურდება.

ახლა თანმიმდევრობით გაგაცნობთ ჯგუფების მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს: „ედინბურგი" და „ნორთჰემპტონი", „სუონსი" და „აკილა", „სარასენსი" და „ტულუზი", „მანსტერი" და „კასტრი", „გლოუსესტერი" და „რომი", „ლესტერი" და „გლაზგო". მესამე ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება.

**გაიოზ თალაქვაძე**

### ევროპის თასი, II ტური

I ჯგუფი

**ლენსტერი (ირლანდია) 35:9 ბიარიცი (საფრანგეთი)**

ლენსტერი: 4ლ — ოდრისკოლი, ჰორგანი (2), დარსი; 3გ — შეკენუი; 2ს — შეკენუი, მაკჰიუგი; 1ა — ჰიკი
ბიარიცი: 3ს — მაზასი

**ნორთჰემპტონი (ინგლისი) 22:23 ედინბურგი (შოტლანდია)**

ნორთჰემპტონი: 1ლ — როდბერი; 1გ. და 5ს — გრეისონი
ედინბურგი: 2ლ — ბარნსი, პატერსონი; 2გ., 2ს. და 1ა — ჰოდჯი

II ჯგუფი

**სუონსი (უელსი) 18:16 სტად ფრანსე (საფრანგეთი)**

სუონსი: 3ს. და 3ა — ტომასი
სტად ფრანსე: 2ლ — კომბა, ლანდრო; 2ს — დომინგესი

**აკილა (იტალია) 10:39 უოსპსი (ინგლისი)**

აკილა: 1ლ — ნაპოლი; 1გ. და 1ს — ბურგესი
უოსპსი: 6ლ — ჰენდერსონი (2), ლეოტა, ლიუსი, შოუ, ვოლეი; 3გ. და 1ს — კინგი

III ჯგუფი

**კარდიფი (უელსი) 26:17 ტულუზი (საფრანგეთი)**

კარდიფი: 2ლ — ჯენკინსი, ტომასი; 2 გ, 3ს და 1ა — ჯენკინსი
ტულუზი: 2ლ — კაზალბუ, მარფენგი; 2გ. და 1ს — მარფენგი

**სარასენსი (ინგლისი) 55:25 ოლსტერი (ირლანდია)**

სარასენსი: 6ლ — მაკრი, ჰილი (2), ლაჯერი (3); 5გ. და 5ს — კასტენიედი
ოლსტერი: 1ლ — სტიუარტი; 1გ. და 6ს — ჰამფრიზი

IV ჯგუფი

**კასტრი (საფრანგეთი) 29:32 მანსტერი (ირლანდია)**

კასტრი: პლისონი, მოლა, არტიგუსტი, დელმოტი, გარიგი, თაუნსენდი, ალბუი, დიასი, ლასისი, კოსტი, დევიდსონი (კაპ.), შინარო, ცაბაძე, ვინიო, რეჯიარდო
2ლ — გარიგი, კოსტი; 2გ. და 5ს — თაუნსენდი
მანსტერი: 3ლ — კროტი, ჰორგანი, ოგარა; 1გ. და 5ს — ოგარა

**ნიუპორტი (უელსი) 28:17 ბათი (ინგლისი)**

ნიუპორტი: 3ლ — მოსტინი, უოტკინსი, მერინოსი; 2გ. და 3ს — ჰოვარტი
ბათი: 2ლ — კუპერი, ბერნი; 2გ — პერი; 1ს — პრისტონი

V ჯგუფი

**კოლომიე (საფრანგეთი) 6:19 ლიანელი (უელსი)**

კოლომიე: 2ს — კარე
ლიანელი: 1ლ — მ. ჯონსი; 1გ. და 4ს — ს. ჯონსი

**გლოუსესტერი (ინგლისი) 52:12 რომი (იტალია)**

გლოუსტერტერი: 6ლ — შიზანო, ბეიმი (5), 5გ — მონკრიფი (2), ფანულა (3); 4ს — მონკრიფი
რომი: 3ს. და 1ა — სკანავაკა

VI ჯგუფი

**პო (საფრანგეთი) 12:9 პონტიპრიდი (უელსი)**

პო: 4ს — ოკანი
პონტიპრიდი: 3ს — ჯერვისი

**გლაზგო (შოტლანდია) 21:33 ლესტერი (ინგლისი)**

გლაზგო: 2ლ — სიმპსონი, სკოტი; 1გ. და 3ს — ჰეისი
ლესტერი: 3ლ — სტიმპსონი, ბეკი, საჯარიმო; 3გ. და 4ს — სტიმპსონი



სარასენსი — ოლსტერი. მასპინძელთა რიგებში, ტრადიციულად, ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი ლეგიონერი ტომა კასტენიედი (ბურთით) იყო



**მატჩი მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს ჩემპიონის ტიტულისთვის**

საპრიზო 2 მილიონი $



LONDON 2000

V პარტია

კასპაროვი 2 vs კრამნიკი 3



# ხრამის პირას

**შაბათის** მეოთხე პარტია ფეერიული იყო. სვლების ბოლოს კომენტატორებმა იმდენი კითხვისა და ძახილის ნიშნები დასვეს, ათ პარტიას ეყოფოდა, ხოლო გარი კასპაროვი, ბარე ათწლეული იქნება, კატასტროფის პერსპექტივასთან ასე ახლოს არ მდგარა.

ვლადიმირ კრამნიკმა თეთრებით თამაში მატჩში ქულიანი უპირატესობით დაიწყო და მეორე პარტიის მსგავსად ლაზიერები უცებ გაცვალა, რაც წინასწარ შემუშავებულ სტრატეგიას წააგავს — პრეტენდენტი ყოველმხრივ ცდილობს, მეტოქე ენდშპილში გამოსცადოს ხოლმე და ჯერ სამდურავიც არ ეთქმის, მისი მეთოდი ამართლებს. 25-ე სვლამდე კასპაროვი თავს ბრწყინვალედ იცავდა, მაგრამ მერე სულმა წასძლია და კონტრშეტევა დაიწყო. ამან დაღუპა კინაღამ... ათიოდე სვლაში კრამნიკის პოზიციური და მატერიალური უპირატესობა აშკარა იყო, ფიგურა ჰქონდა პაიკში და საქმის მოსაგვარებლად ერთი ხეირიანი დარტყმა სჭირდებოდა, მაგრამ ნერვები კრამნიკსაც ჰქონია და იმათ უმტყუნეს. ორმხრივი შეცდომების კორიანტელში პოზიცია ძლიერ გამარტივდა და თუმცა დიაგრამაზე კრამნიკის მატერიალური უპირატესობა მკაფიოდ ჩანს, ამ პოზიციის მოგება ძლიერ რთული იყო, თეთრებს არც ერთი ფიგურით თამაში არ შეეძლოთ. კასპაროვმა არ მოისვენა და ერთხელაც ლონივრად შეცდა, მის სვლას ნეიტრალურმა კომენტატორმა რომ ერთი კითხვის ნიშანი მიამაგრა, კრამნიკის სეკუნდანტმა (ესპანელი დიდოსტატი მიგელ ილესკასი) სულაც ჯვარი დაუსვა, ამის შემდეგ თეთრები გაუჭირვებლად იგებენო, მაგრამ იმავე წამს კრამნიკმაც მიჰქარა და ბოლო-ბოლო, ენდშპილი ეტლი და მხედარი ეტლის წინააღმდეგ ზავით დასრულდა. რეზიუმე: ორივე მხარეს შაბათს თავის დაღუპვა სურდა და არც ერთი დაიღუპა, რაც გასაკვირია.

კვირას წინადღის გასავათებულ მეტოქეებს ბრძოლის თავი აღარ ჰქონდათ. კასპაროვმა თეთრი ფიგურების გამოყენება არ ინდომა და კრამნიკიც არ გაჯიქებულა — შავებით ყაიმი ასეთ მატჩში მაქსიმუმად ითვლება.

**დავით გულუა**





# ვანკუვერისა ითვლება, ტორონტოსი არა?!

16 ოქტომბერი

**ვანკუვერი — ტორონტო 5:2**

**3:1 0:0 2:1**

**1:0 ნესლუნდი 3'51 (4); 2:0 მორისონი 7'23 (2); 2:1 ხრისტიჩი 10'37 (1); 3:1 დ. სედინი 17'56 (2); 3:2 კოროლიოვი 57'39 (1); 4:2 ჰ. სედინი 58'03 (1); 5:2 ნესლუნდი 58'53 (5)**

მსაჯებმა ვანკუვერს ყველა გოლი ჩაუთვალეს, ტორონტოს კი დააკლეს და საბოლოო შედეგიც ამიტომ აღმოჩნდა ასეთი. მართლაც, ლამის მსოფლიოს რეკორდი დამყარდა — სტუმრებს ერთბაშად სამი გოლი გაუუქმეს, ხოლო იგორ კოროლიოვისა მხოლოდ ვიდეოჩანაწერის შემდეგ „დაიჯერეს". არადა, ვერ ვიტყვით, უსამართლობას ჰქონდა ადგილიო. არც ტორონტოს მოთამაშეებს გამოუთქვამთ პრეტენზიები მსაჯობაზე. როგორც ამ მეტოქეთა თითქმის ყოველი მატჩისას, დონალდ ბრაშირი და ტაი დომი ამჯერადაც წაეკიდნენ ერთმანეთს. ინიციატორი კვლავ ტორონტოელი დომი იყო, რომელიც ამ ხერხით ცდილობდა პარტნიორების გამხნევებას (სტუმრები ამ მომენტისთვის 1:2 აგებდნენ). ბრაშირმაც ტრადიციას არ უღალატა და ისევ იმარჯვა, თანაც მისი უპირატესობა აშკარა იყო. ეტყობა, დომს სიბერე შეეპარა, ბრაშირი კი, რაც მარტი მაკსორლისგან ვერაგი დარტყმა იგემა, თითქოს უფრო ძლიერი და აგრესიული გახდა. გამოყოფთ აგრეთვე 19 წლის ტყუპ სედინებს, რომლებმაც თანდათან მოუმატეს. მათგან 15 წუთით უმცროსმა, ჰენრიკმა, გოლს პასიც დაამატა.

**რეინჯერსი — ანაჰაიმი 3:4**

**0:1 1:2 2:1**

**0:1 მ. მაკინისი 10'39 (2); 0:2 პ. კარია 29'05 (1); 0:3 ნაზაროვი 29'37 (1); 1:3 ლეფევრი 31'04 (1); 2:3 ფლერი 50'10 (3); 2:4 ლეკლერკი 52'20 (1); 3:4 ჰლავაჩი 59'03 (1)**

როგორც კი ანაჰაიმელთა ლიდერი პოლ კარია (1+1) გამოირჩა, გუნდმაც მოგება იზეიმა. რეინჯერსი ამ უქმეებზე პიტსბურგთან გადატანილი უმძიმესი ბრძოლის შემდეგ ინერტულად გამოიყურებოდა. მარკ მესიეს გუნდი მესამე პერიოდში კი გააქტიურდა, მაგრამ გვიან იყო.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

**პატრიკ რუა (კოლორადო)**



**ჩემპიონატის** პირველ კვირაში, ფაქტობრივად კი, 12-დღიან მონაკვეთში, განსაკუთრებული ყურადღება იმ მოთამაშეებმა მიიპყრეს, რომლებიც უკვე თავიანთი კლუბების სიმბოლოებადაც კი იქცნენ. ლოსანჯელესელი ლუკ რობიტაილი პარტნიორ ზიგმუნდ პალფისთან ერთად 12 (6+6) ქულით ბომბარდირებს ლიდერობს, სუპერჩეხმა იარომირ იაგრმა თავის 728 ნჰლ-ურ თამაშში პირველი პოკერი გააკეთა (ოთხი შაიბა შეაგდო რეინჯერსის კარში), მთავარი გმირი კი მაინც კოლორადოელი პატრიკ რუა გახდა. სახელოვანმა მეკარემ, რომელსაც 5 ოქტომბერს 35 წელი შეუსრულდა, სეზონი მშვენივრად დაიწყო და ხუთი მატჩის შემდეგ გაიმეორა ლიგის ერთ-ერთი უძველესი რეკორდი, რომელიც ტერი სავჩუკს ეკუთვნოდა (447 მოგება). კოლორადოს თავკაც ბობ ჰარტლის თქმით, ახლა შეიძლება რუა სპორტის უდიდეს ვარსკვლავებს ამოვუყენოთ გვერდში, კერძოდ მაიკლ ჯორდანს.

**საუკეთესო ექვსეული. 4-15 ოქტომბერი**

***პატრიკ რუა*** *(კოლორადო, 1);* ***ედ ჟოვანოვსკი*** *(ვანკუვერი, 1) —* ***რობ ბლეიკი*** *(ლოს ანჯელესი, 1);* ***ლუკ რობიტაილი*** *(ლოს ანჯელესი, 1) —* ***ჯესონ ელისონი*** *(ბოსტონი, 1) —* ***ზიგმუნდ პალფი*** *(ლოს ანჯელესი, 1)*



REUTERS კოლინიდან

# ქმის შურისძიება

**კრის ბერდის** სეკუნდანტებმა ბრძოლის შეწყვეტა პირველად მეცხრე რაუნდის შემდეგ მოითხოვეს. მეორედ კი მეთერთმეტეს შემდეგ, მაგრამ გულადმა ამერიკელმა იუკადრისა, ნოკდაუნები ვერ გამტეხავსო და ზარის ბოლო შემოკვრამდე იჩხუბა. იგი ვერც მეტოქის უძლეველობამ შეაშინა და ვერც საკუთარმა ჩალურჯებულმა თვალებმა — გამარჯვებული ქულებით გამოვლინდა.

ამრიგად, გერმანიაში, კიოლნის რინგზე პრესისგან ასე გახმაურებული „ძმის შურისძიება“ შედგა. უკრაინელმა მძიმეწონოსანმა ვლადიმირ კლიჩკომ WBO-ს ჩემპიონის ქამარი დაიბრუნა, თანაც, მიუხედავად იმისა, რომ შურისძიება ულირს და მავნე საქმედ გამოაცხადა, ალალი ძმის, ვიტალის მცემელი გალახა.



REUTERS კოლინიდან

კლიჩკომ ზომიერი ტემპით და ღონიერი დარტყმებით ჩაატარა მთელი ბრძოლა, რომლის მეექვსე რაუნდშიც მისი უპირატესობა თვალსაჩინო გახდა. ბერდი, თუმც ზოგადად ხელის ელვისებური მოძრაობით გამოირჩევა, ვერაფერს უპირისპირებდა, რის გამოც მამამისმა ულრიალა კიდეც: „შენ ვერაფერს აკეთებ... მიდი, ხელი გაანძრიე“. საცემად განწირული ვაჟის პასუხი გახლდათ: „ხო, ვიცი“.

მაგრამ ცოდნა ერთია და... ბოლოსკენ კლიჩკოს დაღლა დაეტყო, მაგრამ ამერიკელმა ვერც ამით ისარგებლა.

**ტუტა სიხარულიძე**

# ბრავო, ბორის!

ჰანოვერში მაგარი ტელეშოუ მიდის ლაიონელ რიჩისა და მისი ჯგუფის მონაწილეობით; რიჩი თავისი რიგიანი ხმით მღერის, მედოლე დოლს როზგავს, კლავიშებიანი ინსტრუმენტიც მოქმედებს, გიტარაზე... სდექ! ეს ვინღაა? ვაა, ბორის ბეკერი! ყოჩაღ, ბრავო და ბის ბორის! გიტარაც თურმე რა მარჯვედ გცოდნია.



REUTERS ჰანოვერიდან



REUTERS სიეტლიდან

# გადასარევია პირდაპირ!

არ შეიძლება მსოფლიოში ყველაზე მდიდარი კაცი ასეთი ნორმალური იყოს. მას უნდა აწუხებდეს განდიდების მანია, ოფიციანტს ჯიბეში ათას დოლარს უკუჭავდეს და მსოფლიოში ყველაზე ლამაზი ქალები ისე უნდა ეხვეოდნენ, ვითარცა ბუზები თაფლიან გეჯას. ბილ გეიტსი კი ტრიბუნის ჩვეულებრივ სექტორში ზის, ჩვეულებრივი პერანგი აცვია, გვერდს ისე რა ცოლი უმშვენებს და ბეისბოლს უყურებს, ბანკში კი 100 მილიარდი უდევს. გადასარევი და გაუგებარია...

# მზეთუნახავი ფეხბურთზე

ვინც გაბედავს და იტყვის, რომ „სარბიელის“ დღევანდელი „აქეთურ-იქითურის“ მთავარი ღირსება ეს კდემამოსილად მდგარი გოგო კი არა, სხვა ვინმე ან რამეა, ჩვენ უყოყმანოდ პირში მივახლით, რომ სასტიკად ცდება. რას ამბობთ?! გაერთიანებული სამეფოს წლევანდელი პირველი ლამაზმანია, ლუიზ ლეიკინი. იგი მისულა „ფულემის“ სტადიონზე ფეხბურთის სანახავად და ტაიმებს შორის შესვენებისას ხალხისთვის დაუნახვებიათ. ახლა მანქანაზე შემდგარი ვიღაცას ხელს ართმევს, ის ვიღაცა არ ჩანს და ძალიანაც კარგი...



THE SUN

# დევიდის ტკბილი წუთები

„მანჩესტერისა“ და „ლესტერის“. თამაშში დევიდ ბექემი... ჭამით მონაწილეობს. დამჯდარა ტრიბუნაზე და კექსით პირს იტკბარუნებს. სხვა სიამოვნება ბექემისთვის ამ ორიოდე დღის წინ მოედნის ყურება გახლდათ: მისმა გუნდმა 3:0 მოიგო.



REUTERS ლესტერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 37 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge